

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მ. სურგულაძე

**ძველი ქართული
კალენდრული ტერმინები**



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1978

ხელნაწერთა ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ პალეოგრაფიულ შესწავლას და, კერძოდ, ხელნაწერებში დატულ პალეოგრაფიული ტერმინების მნიშვნელობათა გათვალისწინებას. წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილი და მეცნიერულად შესწავლილია ძველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობის ძეგლებში, აგრეთვე ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დატული პალეოგრაფიული ტერმინები. ტერმინთა წარმომავლობისა და შინაარსის ზუსტი განსაზღვრისათვის ავტორი ბშირად მიმართავს პარალელურ უცხოენოვან (ბერძნულ, სომხურ, არაბულ) მასალას. მასალა განხილულია ისტორიულ ასპექტში, ნაჩვენებია ტერმინთა შინაარსის ევოლუცია ფეოდალიზმის პერიოდის მანძილზე, საზოგადოებაში მიმდინარე კულტურულ და ისტორიულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში.

ს --- 7 02 02 --- 149-78
M 607 (06)-78

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

შესავალი

პალეოგრაფია იკვლევს კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, დამწერლობის განვითარების ისტორიას. ყოველი ერის დამწერლობის ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში წარმოადგენს პალეოგრაფიის უმთავრეს თეორიულ ამოცანას. პალეოგრაფიის შესწავლის ობიექტია ყოველგვარი წერილობითი ძეგლი, განურჩევლად მისი შინაარსისა და ფორმისა.

წერილობითი ძეგლების პალეოგრაფიული შესწავლა მათ სწორ ამოკითხვას, დაწერის დროისა და ადგილის განსაზღვრას, გრაფიკული თავისებურებებისა და ორიგინალობის დადგენას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, პალეოგრაფიას უდიდესი პრაქტიკული ღირებულება აქვს ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებებისათვის. აქ იკვეთება მისი, როგორც „დამხმარე“ დისციპლინის როლი.

თავის ობიექტს პალეოგრაფია სწავლობს ადებული ეპოქის საზოგადოებრივ სისტემაში მოქმედ კანონზომიერებებთან მჭიდრო კავშირში, ითვალისწინებს დამწერლობის განვითარების მატერიალურ წინამძღვრებს¹.

წერილობითი ძეგლების პალეოგრაფიული ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას, მათი გარეგნული მონაცემების გარდა, მათი შემსრულებლების შესახებაც იძლევა. იგი უჩვენებს შემსრულებელთა დამოკიდებულებას არა მარტო საკუთარი შრომის პროდუქტისადმი, არამედ შემკვეთისადმი, ააშკარავებს შემსრულებელთა სოციალურ წრეს და მათ ინტელექტუალურ დონეს. ამგვარად იკვეთება პალეოგრაფი-

¹ Л. В. Черепнин. Русская палеография. М., 1956, გვ. 5.

ის ე.წ. „სოციოლოგიური ასპექტი“², რომლის უგულვებელყოფა ფაქტიურად გამოიწვევდა დამწერლობის განვითარების ისტორიული პირობების გაუთვალისწინებლობას.

პალეოგრაფიის წინაშე დასმული ამოცანების სწორად გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პალეოგრაფიული ტერმინების შინაარსის ახსნას.

პალეოგრაფიული ტერმინები შემონახულია ძველი მწერლობის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ძეგლებში, გადამწერთა ანდერძებსა და ხელნაწერთა მინაწერებში.

პალეოგრაფიული ტერმინების თავდაპირველი შინაარსისა და მათი შემდგომი ცვლილებების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია დამწერლობის განვითარების ისტორიული ეტაპების განსაზღვრისათვის.

პალეოგრაფიული ტერმინების სწორ გაგებას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტექსტოლოგიური და კოდიკოლოგიური მუშაობის დროს. ცნობილია, რომ ტექსტის გადაწერა წარმოადგენდა არა მექანიკურ, არამედ სრულიად შეგნებულ, გააზრებულ პროცესს³. ამიტომაც, გადამწერთა მიერ გამოყენებული ტერმინები გასაგებს ხდის მათი შრომის მიზნებსა და ამოცანებს, არკვევს ხელნაწერთა შედგენილობასაც და ააშკარავებს გარკვეული სამწერლო კერების ლიტერატურულ ინტერესებს.

როგორც ცნობილია, ხელნაწერთა შედგენისა და გაფორმების წესები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ეს ცვლილებები მრავალი ფაქტორით იყო გაპირობებული. მათ ასახვა ჰპოვეს თვით გადამწერთა საქმიანობის წესებში და მათ მიერ ნახმარ ტერმინოლოგიაში.

2. Л. В. Ч е р е п н и н, К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин, Источниковедение отечественной истории, сб. статей, в. 1, 1973, гв. 43-44.

3 Д. С. Л и х а ч е в. Текстология, М.-Л., 1962, гв. 53.

აღნიშნული მიზეზების გამო პალეოგრაფიული ტერმინებისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა. განსაკუთრებით ძლიერია იგი იმ ერთა სამეცნიერო წრეებში, რომელთა ხელნაწერი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ გამომზეურებისა და მეცნიერული შესწავლის პროცესშია.

პალეოგრაფიული ტერმინების ჩვენებისა და დადგენის ცდები ძირითადად პალეოგრაფიის ზოგად კურსებშია მოცემული⁴. მაგრამ ამ ტიპის ნაშრომებში ტერმინების შესწავლა ერთგვარ აღწერით ხასიათს ატარებს.

თვით ბერძნულ პალეოგრაფიასაც კი, რომელსაც კვლევის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, დიდხანს არ გააჩნდა მტკიცედ დადგენილი ტერმინოლოგია, ამის გამო, როგორც ბერძნული პალეოგრაფიის მკვლევარები აღნიშნავენ, ზოგიერთ ნაშრომს იმპრესიონისტული იერი აქვს მიღებული⁵.

⁴ ივ. ჯაგაძის შვილის ნაშრომს დართული აქვს პალეოგრაფიის დარგში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოგრაფია. იხ. ივ. ჯაგაძის შვილის „ქართული პალეოგრაფია“; თბილისი, 1948, გვ. 23–25. ეს ბიბლიოგრაფია შეიძლება შეივსოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით: B. Groningen, Short manual of Greek palaeography, Leiden, 1955; R. Devreesse, Introduction, a l' etude des manuscrits Grecs, Paris, 1954; L. Politis, Παλαιογραφικά Ἑλληνικά, Thessalonike, 1971; А. Д. Люблинская, Латинская палеография, М., 1969; А. Г. Орманн, Arabische Paläographie, Vien, 1967; Л. В. Черепнин, Русская палеография, М., 1956; Ա. Արքիաშյան. Հայկական պալեოგრაփիա երևան, 1948.

⁵ A. Bataille, Pour une terminologie Paleographie Grecque. Paris, 1954, გვ. II.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებიც სპეციალურად ბერძნული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიისადრე მია მიძღვნილინ.

ქართული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის მეცნიერული შესწავლა იწყება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომით „ქართული პალეოგრაფია“. ეს ნაშრომი დღემდე უმნიშვნელოვანესია, რაც კი შექმნილა. ქართული პალეოგრაფიის დარგში. მასში დასმული და შესწავლილია ქართული პალეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაჩვენებია გზები, რომლითაც უნდა წარიმართოს ქართული პალეოგრაფიის განვითარება. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი პალეოგრაფიულ ტერმინებსაც. მოცემულია ყველა ძირითადი ტერმინი, რომელიც ასახავს ქართული დამწერლობის განვითარების გზებს, ხელნა-

6 ბერძნული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის შესახებ იხ. A. B a t a i l l e-ის დასახ. ნაშრომი. ავტორი ეხება ბერძნული პალეოგრაფიის ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოწვეულია ზუსტი პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის უქონლობით. ნაშრომის მიზანია ბერძნულ ასოთა ყოველ გრაფიკულ თავისებურებას, ყოველ სიახლეს ასოთა მონახულობაში, თავისი სახელი გამოუძებნოს. შექმნას ე.წ. „გრაფოლოგია“, რათა შესაძლებელი გახდეს ბერძნული დამწერლობის განვითარების ხანგრძლივი და რთული პროცესი ტერმინების საშუალებით გამოიხატოს. ამისათვის ავტორი მკითხველს სთავაზობს მის მიერ შედგენილი ტერმინების ვრცელ სიას. ტერმინები ამოკრებილია ბერძნული ეპიგრაფიკული მასალიდან და პაპირუსებიდან, რომლებიც მიეკუთვნებიან არაუგვიანეს ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეს. იშვიათად, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, ავტორი მიმართავს ნეოლოგიზმებსაც.

სპეციალურად ბიზანტიური ეპოქის ხელნაწერებში დაცულ ტერმინოლოგიას იკვლევს შრომა: B. A t s a l o s, La terminologie du livre—manuscrit a' l' époque Byzantine, Ἑλληνικά, παράρτημα 2 L Thessalonike, 1971.

წერთა შექმნის პროცესს და მის შემადგენელ ნაწილებს, გარკვეულ
ლია მრავალი ტერმინის წარმომავლობა და შემოსაზღვრულია მათი
გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები. მაგრამ, როგორც თვით
მეცნიერი აღნიშნავს, ქართული პალეოგრაფიის მრავალი საკითხი,
შემდგომ კვლევას და სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს, მათ შო-
რის ზოგიერთი ტერმინის წარმომავლობისა და შინაარსის საკითხიც,
რომელთა ასახსნელად მკვლევარს საკმარისი მასალა არ გააჩნდა.

უკანასკნელ ათეულ წლებში ქართული ხელნაწერებისადმი გაც-
ხოველებული ინტერესის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა მიე-
ნიჭა ხელნაწერთა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლას. მო-
ნოგრაფიულად იქნა დამუშავებული ქართული პალეოგრაფიის ცალკე-
ული საკითხები⁷. ხელნაწერებზე უშუალო დაკვირვების შედეგად აჩ-
ლებურად აიხსნა ზოგიერთი პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელო-
ბა⁸.

ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობის ძეგლების
ახალმა პუბლიკაციებმა; ხელნაწერთა ვრცელმა მეცნიერულმა აღწე-
რილობებმა პალეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ტერმინო-
ლოგიური მასალა გამოავლინა, რამაც საშუალება მოგვცა ნაწილობ-
რივ შეგვეცხოვეთ და დაგვეზუსტებინა ადრე არსებული ცოდნა ქარ-
თული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის შესახებ.

7 მხედველობაში გვაქვს შემდეგი ნაშრომები: თ. ხ ა ე ო მ ი ა, ნუს-
ხური დამწერლობის გარდამავალი ხელი (XI საუკუნე), (საკან-
დიდატო დისერტაცია), თბილისი, 1954; ც. ჯ ა ნ კ ი ე ვ ი, და-
ქარაგმების წესები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (საკან-
დიდატო დისერტაცია), თბილისი, 1966; რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქარ-
თული ფილიგრანოლოგიის ძირითადი საკითხები (საკანდიდატო
დისერტაცია), თბილისი, 1967 ლ. ქ ა ჯ ა ი ა, პუნქტუაცია X-XII
საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში (საკანდიდატო დისერტა-
ცია) თბილისი, 1969.

8 ცალკეულ გამოკვლევებს პალეოგრაფიულ ტერმინთა შესახებ შე-
ვებებით ქვემოთ.

წერის პროცესის ამსახველი ტერმინები

წერის პროცესის გამოსახატავად ქართულ ენაში რამდენიმე ტერმინი იხმარებოდა. ისინი ეტიმოლოგიურად განსხვავებული წარმომავლობისა იყვნენ, მაგრამ გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ პირობებში მათ ერთი და იგივე პროცესის აღნიშვნა დაეკისრათ. ამ ტერმინთა შემცველი მაგალითების გამოვლენა და მათზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დადგინდეს მათ შორის სემანტიკური ზღვარი. თითოეული ტერმინის თავდაპირველი შინაარსისა და მისი ევოლუციის გათვალისწინება, შესაძლებელია, ინტერესმოკლებული არ იყოს ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების კვლევის დროს.

წერა: იგი წერის პროცესის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია. მისგან სხვა ტერმინებიც წარმოდგებიან, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებულ ცნებებს გადმოსცემენ. თითოეული მათგანი გარკვეულ ინტერესს ქმნის და კვლევის განსაზღვრულ სფეროში ექცევა. მაგრამ მათი ყოველი კონკრეტული მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია თვით ტერმინ „წერის“ ვრცელი სემანტიკური ველის გათვალისწინება.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „წერა“ არის კალმის მოსმა, დახატვა¹. საბასეული ახსნის უზუსტობას ყურადღება მიაქცია ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი აღნიშნავს: „ეს განმარტება ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა არ არის. როგორც წერტილი თავდაპირველად ჩხვლე-

1 ს.ს.ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1V₂, თბილისი, 1966, გვ.370.

ტას ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგ ტერმინად იქნა ქცეული, წერის მნიშვნელობასაც თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა. ბერძნული *kerben*— ენათესავენ, ჯერ ამოფხავენას ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ—წერას. ამგვარად, წერის თავდაპირველი მნიშვნელობა არის გამოსარკვევი“².

„წერის“ მნიშვნელობებს სხვადასხვა თვალსაზრისით სხვა მეცნიერებიც შეეხნენ. გ.ჩიტაია ქართული სამიწათმოქმედო იარაღების კლასიფიკაციის დროს პირველ რიგში კავწერასა და კავს ამოყოფს, რომელთა დანიშნულებას მიწის გაქექვა—აწერა წარმოადგენდა³.

„კავწერას“ მსგავს იარაღად თვლის ნ.ბერძენიშვილი „საწერას“, იგი აღიშნავს: „საწერა“ მიწის პირს კი არ ანგრევს, არამედ სერავს და ფათრავს მას. მისი ნაკვალევი წარმოადგენს არა ორნატს, არამედ „ნაწერას“, „საწერა“ და „კავწერა“ მიღებულია ზმნა „წერასაგან“ ე.ი. მიწის გაწერისაგან, რაც ძველადვე წვეტიანი იარაღის საშუალებით ხდებოდა⁴.

ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ტერმინ „წერას“ ყურადღება მიაქცია ს.ჯანაშიამაც. მისი აზრით, „წერა“ თავდაპირველად ნიშნავდა ჰრას, კვეთას. აქედან წარმოდგება წერაქვი, ე.ი. ქვის საკვეთი ხელსაწყო, აგრეთვე წერეული, საწერელი - . . .“ იგი ითვალისწინებს აგრეთვე „წერისა“

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 47

3 გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახენელი. ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ.გვ. 248, 258, 269; მ ი ს ი ვ ე, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე V-VI, 1940, გვ. 481; მ ი ს ი ვ ე, რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი. თბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ.გვ. 185, 187.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის. საქართველოში. ისტ. ინსტიტუტის შრომები, 1956, I I, გვ. 292.

და „წერტვის“ მნიშვნელობებს და ასკენის, რომ ორივე ეს ტერმინი (ე.ი. წერა და წერტვა) „განეკუთვნება იმ ღროს, როცა წერა მაგარ მასალაზე ამოკრა — ამოკვეთის პროცესს წარმოადგენდა“⁵.

ღიალექტოლოგიური მასალის შეჯერების საფუძველზე ი. ქავთარაძე უჩვენებს, რომ „წერას“ კრისა და კვეთის მნიშვნელობა დღემდე შერჩენია.⁶

„წერა“ რომ მიწის გაღარვა—გასერვას აღნიშნავდა, გარდა ეთნოგრაფიული და ღიალექტოლოგიური მასალისა, ქართული წერილობითი მონაცემებითაც მოწმდება. ასე მაგალითად, მოციქულთა მიმოსვლის აპოკრიფულ ვერსიაში ვკითხულობთ: „... ამისა შემდგომად გამოწერა სახე ჯუარისაჲ ქუეყანასა ზედა“⁷.

ბერძნულ ტექსტში შესატყვისი ადგილას ნათქვამია: Καὶ μετὰ ταῦτα ἐξάρσθη τῆσιν ἐκκλησίᾳς καὶ ἐποίησεν οἰκονομηθῆσαι τὴν ἐκκλησίαν⁸.

„გამოწერის“ ბერძნულ შესატყვისი χάρσσω ნიშნავს კაწრვას, ხაზვას, ხაზის გაღლებას.

საინტერესო მაგალითია სვიმეონ მესევეტის ცხოვრებაშიც: „ხოლო ნეტარი სვიმონ იხარებდა სულითა წმიდითა და მზიარულითა პირითა ჰრქუა მემტილესა მას: აჰა ესერა მე მოვსწერ მტილსა თითითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა და რაჟამს მოვიდეს მკეცი შემოსვლად მტილსა მას, იგუემოს და დაეცეს მკუდარი“⁹.

5 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები 111, თბილისი, 1959, გვ. 192.

6 ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბილისი, 1959, გვ. 385.

7 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, თბილისი, 1959, გვ. 41.

8 B o n n e t. Acta apocrypha, Lipsiae, 1898, გვ. 114.

9 კიმენი 1, გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1918, გვ. 302.

აქ „მოვსწერ“ ნიშნავს: შემოვსერავ, რასაც ადასტურებს ცხოვრების ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილი 'Ἦδὸν ἔγὼ περιχαρᾶ—
κᾶν τοὺς κήπους ἐκείνους τᾶ δακτύλῳ τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ υἱοῦ τοῦ Θεοῦ, καὶ τὸ ἐπιχειροῦν θηρίον ἐν αὐτοῖς εἶσε—
λθεῖν πληγῇ ἀοράτῳ πεσεῖται 10.

მართლაც, „მოწერის“ შესატყვისად ნახმარი περιχαρᾶκῶა ნიშნავს შემოსერვას, შემოზღუდვას.

იგივე შემოსერვას უნდა ნიშნავდეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახმარი ტერმინი „გარეშეწერა“ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სამონასტრო მიწების მოზომევაზე: „ხოლო ჩუენ გუენება, რაათა გარე—შეწერიოთ შემოვლათ სიმრგულე მათ ადგილთათა“ 11.

„წერის“ ხმარებას ხაზის გავლების, ამოკრა—ამოკვეთის მნიშვნელობით ადასტურებს აგრეთვე ქართული ორნამენტის ხალხური სახელწოდებანი: „მირგვალა ჩაწერილი“, „მირგვალა წრეები“ და სხვ.¹² როგორც ვარაუდობენ, ამ სახელწოდებებში დაცული უნდა იყოს გამოსახულების შესრულების უძველესი ტექნიკური წესი. სახელდობრ, მაგარ მასალაზე ამოკრა—ამოკვეთა¹³. ამ მოსაზრებას ადასტურებს „წერის“ ხმარება შემდეგ მაგალითშიც: „ერთ მხარეს ერთი მეფე ესაფლავა, პირდაპირ — დედოფალი, მისი მეუღლე, ერთს საფლაგზე

10) La vie ancienne de S. Syméon Stylite le Jeune, Publ. par P. Van den Ven, t. I, 1962, გვ. 156.

11) ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ ზ მ ე ლ ი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ძეგლები 1, გვ. 328.

12) ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, თბილისი, 1939, გვ. 9, 22.

13) И. К. С у р г у л а д з е, Астральная символика в грузинском народном орнаменте, Автореферат, Тбилиси, 1967, გვ. 7.

ე წ ე რ ა აჩრდილი, მეორეზე აღარც აჩრდილი“¹⁴.

გამოსახულების „წერით“ შესრულების პროცესს თავის მხრივ გაველენა უნდა მოეხდინა „წერის“ სემანტიკურ ველზე. გარდა კრი-სა და კვეთისა, წერას დაეკისრა ხატვის ცნების გამოხატვა (ოგუ-ლისხმება ხატვა ზოგადად, სხვადასხვაგვარი ტექნიკით): „და შევი-და არიოსპაგოს საკურთხეველად, იგი ხოლო მარტოა ადგილსა, რო-მელსა წ ე რ ი ლ იყო ღმერთი უცნაური და ღმერთი ღმერთთა“¹⁵

როგორც ცნობილია, ორნამენტი გარკვეულ რელიგიურ კონცეპცი-ას გადმოსცემს და, ამდენად, იგი იდეოგრამას წარმოადგენს¹⁶ ასეთ იდეოგრამათა შესრულების აღსანიშნავად „წერის“ ხმარებამ ერთგ-ვარი „იდუური“ საფუძველი შეუქმნა ამ ტერმინს, რათა ქართული დამწერლობის შემოღების შემდეგ ასო—ნიშანთა გამოყვანის პრო-ცესი აესახა. ხოლო რადგან „წერა“ მაგარ მასალაზე ამოჭრა—ამო-კვეთას ნიშნავდა, ეს პროცესი რეალურად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ასოთა მაგარ მასალაზე ამოჭრა—ამოკვეთა“.¹⁷

„წერის“ ამგვარი მნიშვნელობით ხმარების კვალი წერილობით ძეგლებშიც არის დაცული¹⁸. მაგალითად:

14 ს.ს.ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში, თხზულებანი 1, თბილისი, 1959, გვ. 185.

15 ცხოვრება დიონისიოსი, ხელნაწ. А-19, 179 რ.

16 И.В.И с т р и н, Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 62; И.М.Д ь я к о н о в, Предисловие к книге Дирингера Алфа-вит, М., 1969, გვ. 9.

17 ს.ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

18 კრისა და ხატვის ცნებებთან წერის ეტიმოლოგიური კავშირი მარტო ქართული მოვლენა არ არის. იგი ცნობილია ძველი დამწე-რლობის მქონე მრავალი ხალხის ენაში. ამის შესახებ იხ. И.Л о-у к о т к а, Развитие письма, М., 1957, გვ. 17. А.М е й е, Введе-ние в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 338; В.И.А б а е в, Осетинский язык и фольклор, М., 1949, გვ. 69.

„შემდგომად“ ათისა დღისა მოვიდა იგი . . . და კ ე ე ს ა ზ ე -
დ ა დ ა წ ე რ ა ესრეთ: შემინდვე, მამაო, რამეთუ არაოდეს მილო-
ცავს . . .“¹⁹

„და პრქუა უფალმან მოსეს: აღმოვედ ჩემდა მთად, და იყავ მუნ,
და მოგცნე შენ ფ ი ც ა რ ნ ი ი გ ი ქ ვ ი ს ა ნ ი, შჯული და მცნე-
ბანი ჩემნი, რომელი დ ა ვ წ ე რ ე შჯულისდებად მათთა“.²⁰

„ . . . და ცოდვაჲ იუდაჲსი დაწერილ არს წიგნსა შინა რკინისა
ფრცხილითა ადამანტიისაჲთა“.²¹

ასოთა „წერის“ სანაცვლოდ ზოგან პირდაპირ გვხვდება ასოთა
„კვეთა“: „ესერა ესმა წმიდასა მას ქერივისა მისგან, გარდამოხდა
გამოჩინებული ცხენისაგან და მოვიდა ს უ ტ ი ს ა მიმართ
და დ ა ს წ ე რ ა მას ზედა თჯითა თითითა ესევეთარნი ასონი,
ვითარმედ „ს უ ტ ი ესე ქერივისა აღმართედ მეორედ ს უ ტ ა დ მარჯუ-
ნის კერძოსა ტაძრისასა . . . ეტვირთნეს წმიდისა მის ხელითა გ ა -
მ ო კ უ ე თ ი ლ ნ ი ი გ ი ასონი, ვითარცა წ ე რ ა ქ ვ ი თ ესრეთ
ღრმათ ა მ ო კ უ ე თ ი ლ ნ ი ი გ ი ა ს ო ნ ი, ვითარცა იხილა მან
სამეფომან კაცმან და აღმოიკითხნა. . . აქებდა და წმიდისა მის
მოწამისა წ ა რ წ ე რ ი ლ ი ბრძანება ყოველივე შეუგულეებლად
აღასრულა“.²²

მოყვანილ მაგალითებში „წერა“ აღნიშნავს მაგარ მასალაზე
(ქვა, თიხა, რკინა) ასოთა გამოყვანას ამოჭრა—ამოკაწრვის წესით.

19 ი ო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს, გამოცემა,
თბილისი, 1960, გვ. 49.

20 გამოსლვათა, თავი კდ, იბ. ხელნაწ. H — 1207, 143r.

21 იერემია, 17, 1, ოშკის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტის
Rt X1, № 1.

22 მოთხრობა საკვრულეებთა წმიდისა მთავარ—მოწამისა გიორ-
გისა, წიგნში: გ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, პეტერ-
ბურლი, 1882, გვ. 64.

ამ მნიშვნელობით „წერის“ გამოყენება კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რადგან იგი მიუთითებს ქართული დამწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სახელდობრ, იმ ხანაზე, როცა „წერა“ იხმარებოდა კონკრეტულად მაგარ მასალაზე წერის მნიშვნელობით, ხოლო მისი გააზრება; როგორც საერთოდ წერისა (ყოველგვარ მასალაზე), მეორეულია.

ძველ ქართულში „წერის“ ძირითად ფუნქციას თვით წერის პროცესის გამოხატვა წარმოადგენს. თუმცა, ზოგჯერ, წერა და მისგან ნაწარმოები სხვა ტერმინები წერის სხვა მნიშვნელობებსაც ამჟღავნებენ. ერთ-ერთი ამგვარი ტერმინია „გამოწერა“.

ეს ტერმინი სისტემატურად გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, როგორც ორიგინალურში, ისე ნათარგმნში. მოგვეყავს მაგალითები: „ვითარცა – იგი მხატვართა მიამსგავსიან გ ა მ ო წ ე რ ი თ ხატთა მეფეთასა სახითა და შემკულებითა მათითა, და უწოდით ხატსა მას მეფეც, ესრჯთვე ბუნებაჲ კაცისაჲ, რამეთუ შექმნა იგი მთავრად . . . ცხოველთა ზედა . . . “²³

ბერძნულ დედანში სათანადო ადგილას ნათქვამია: “Ὁσπερ γὰρ κατὰ τὴν ἀναγραφὴν συστήθειαν οἱ τὰς εἰκόνας τῶν κρατούντων κατασκευάζοντες, τὸν τε χαρακτῆρα τῆς μορφῆς ἀναμύσσοιεν, καὶ τὴν περιβολὴν τῆς πορφύριδος τῆν βασιλικὴν ὄντιον συμπαραγράφουσι καὶ λέγεται κατὰ συστήθειαν καὶ ἡ εἰκὼν, βασιλεὺς²⁴.

მოყვანილ კონტექსტში „გამოწერა“, რომელიც ბერძნულ συμπαράγραφω — შესატყვისადაა ნახმარი, ხატვას ნიშნავს.

იმავე ძეგლში ვკითხულობთ: „ხატსა, რომელი გ ა მ ო ი წ ე რ ი ს კელოვანთაგან მხატვართა, რაჲთა განაკვრვენ კაცნი, და გამოხატის

23 უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“.

ი. ა. ბ. უ. ლ. ა. დ. ი. ს. გამოც., თბილისი, 1964, გვ. 149.

24 M i g n e, P. G. t. 44, გვ. 136.

ერთი „შინა თავსა ორი ხატი, ეგრეთვე მგონიეს კაცისათვის. . .“ 25.

ბერძნულშია „ . . . Καί μοι συγκεχωρήσθε κατὰ τινὰ πλαστικὴν ἑσ-
ματοποιῶν διαγράφαι τῷ λογῶ τῆς ἀμφωπίστης εἰκόνα . . .“ 26

აქაც „გამოწერა“ ხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი, ბერძნული
διαγράφω — ბაღალა. διαγράφω —ს, ისევე, როგორც συμπαράγραφω—
ერთ—ერთ მნიშვნელობას ხატვა წარმოადგენს. „გამოწერა“ ხატვის
მნიშვნელობით გვხვდება ბასილი დიდის „ექუსთა ღლეთაჲს“ უძველეს
რედაქციასში: „უკუეთუ გიხილავს ღამესა წმიდასა შუენიერებაჲ იგი
ვარსკულავთაჲ მიუთხრობელი, განგიზრახავს განმზადებელისა მისთ-
ვის ყოველთაჲსა, თუ ვინ მოწერნა ცანი ესევეითართა ყუავი-
ლითა . . .“ 27.

აქ, მართალია, საქმე ფიგურალურ გამოთქმასთან გვაქვს და „გა-
მოწერა“ რეალურ მოქმედებაზე არ მიუთითებს, მაგრამ მთავარი
ისაა, რომ იგი გააზრებულია როგორც ხატვა. ბერძნულში ძის შესა-
ტყვისად არის διαποικίλλω რაც მორთვას და მოხატვას ნიშნავს: εἶ-
ποτε οὐκ ἐν αἰθρίᾳ συκτεριστῆ πρὸς τὰ ἀῤῥήματα κάλλη τῶν ἀστρῶν
ἐσατενίσας ἔγνωσαν ἔλαβες τοῦ τεχνίτου τῶν ὄλων τίς ὁ τοῖς ἀψθεσι
τούτοις διαποικίλλας τὸν οὐρανὸν καὶ ὅπως ἐν τοῖς ὀραμένοις πλέον
τοῦ περπνοῦ τὸ ἐναγκαῖόν ἔσται 28.

ხატვის მნიშვნელობით ამ ტერმინის ხმარებას ადასტურებს ე.მა-
ქავარიანი 29.

მაგრამ სიტყვა „გამოწერა“ მხოლოდ ხატვის ცნებას არ აღნიშ-

25 უძველესი რედაქციები . . . გვ. 186.

26 Migne, P.G. t. 44, გვ. 192.

27 უძველესი რედაქციები . . . გვ. 77.

28 Migne, P.G. t. 29, გვ. 117.

29 ე.მაქავარიანი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკუ-
ლობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ; პალეოგრაფი-
ული ძიებანი 11, თბილისი, 1969, გვ. 108.

ნავს ძველ ქართულში. იგი შეიძლება ნიშნავდეს ხაზვასაც. მაგალითად, მისგან ნაწარმოები მიმღობა „მომწერელი“ აღნიშნავს მხაზველს. ამ მნიშვნელობით „მომწერელი“ გვხვდება ასტერი ამასიელის „შესხმაჲ ფოკაჲსას“ ქართულ თარგმანში: „არა უკუჲ ვერცა ვარო სკულავთ მრიცხველობისა სურვილსა განსწურთის სიტყუაჲ ოდენ სასწრაფოისა მიმართ, არა თუ ჯელოვნად სფეროჲსა მომწერელმან მასწავლელმან წინაშე თუალთა დაუღვას ცისა მოძრაობაჲ“³⁰.

ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი სხვაგვარად არის გადმოცემული, „მომწერლის“ შესატყვისი იქ საერთოდ არ მოიპოვება. მაგრამ მხოლოდ ქართული თარგმანიც ცხადად უჩვენებს, რომ აქ ლაპარაკია სფეროს შემომხაზველზე.

ხაზვის ცნებას გადმოსცემს აგრეთვე „მიწერა“ სვიმეონ მესვეტის ცხოვრებაში: „და ამას სიტყუასა ზედა იხილა ანგელოზი უფლისაჲ და აქუნდა ჭელთა მისთა საზომი და ზომდა და მ ი ს წ ე რ და გარემოს მისა ადგილსა მას, ვითარცა სახესა მონასტრისასა და მას შინა გამოსახვიდა სახესა წმიდათა ეკლესიათა“³¹.

ბერძნულში „მისწერდას“ შეესაბამება $\delta\iota\alpha\chi\alpha\rho\acute{\alpha}\sigma\sigma\omega\alpha\ \kappa\alpha\iota\ \tau\alpha\upsilon\tau\alpha\ \xi\iota\text{-}\pi\acute{\alpha}\nu\ \theta\epsilon\omega\rho\epsilon\iota\ \text{''}\alpha\gamma\gamma\epsilon\lambda\omicron\nu\ \text{K}\upsilon\rho\iota\omicron\nu\ \mu\acute{\epsilon}\tau\rho\nu\ \kappa\alpha\tau\acute{\epsilon}\chi\omicron\nu\tau\alpha\ \kappa\alpha\iota\ \delta\iota\alpha\chi\alpha\rho\acute{\alpha}\sigma\sigma\omicron\upsilon\tau\alpha\ \text{''}\iota\chi\eta\ \mu\omicron\nu\alpha\sigma\tau\eta\rho\iota\omicron\nu\ \kappa\alpha\iota\ \acute{\epsilon}\nu\ \alpha\upsilon\tau\acute{\eta}\ \acute{\theta}\iota\alpha\varsigma\ \acute{\epsilon}\kappa\kappa\lambda\eta\sigma\iota\alpha\varsigma\ \dots$ ³²

„გამოწერა“ ფილეკტიმონის წამებაში ტაძრის გარეგანი აღმკულობის აღსანიშნავად არის ნახმარი.

„და ვითარცა მიწ წია მეფე იგი ტაძარსა მას კერპთასა, ჰრჭუა წმიდასა მას: ჰხედავა ვითარ პირად—პირად გამოწერილ და აღმკულ არიან შტნებული ესე და ფოლოცნი ესე მარმარინოფენილნი, სუეტნი და სუეტის თაგნი — ოქროცხიბულნი“³³.

30 ა ს ტ ე რ ი ა მ ა ს ი ე ლ ი, შესხმაჲ ფოკაჲსი. მ.კ ა ხ ი ძ ი ს გამოც. ენიშკის მოამბე, XI V, 1944, გვ. 227

31 სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, კიმენი, 1, გვ. 256.

32 La vie ancienne de S.Syméon Stylite le Jeune, გვ. 74.

33 კიმენი 1, გვ. 133.

კონტექსტის მიხედვით „გამოწერილი“ უნდა გულისხმობდეს ქვის (მარმარილოს) გამოჩუქურთმებას, ამავე დროს იგი მასალის მხატვრული დამუშავების წესზე, სახელდობრ, ქვის ამოჭრა—ამოკვეთაზეც მიუთითებს.

სულხან—საბა ორბელიანი ევროპაში მის მიერ ნანახი ეკლესიის აღწერისას ხმარობს „მოწერილს“:

„მომცრო ეკლესია იყო, მაგრამ უცხოდ შემკული იყო, სულ მოწერილი მარმარილოთ იყო აშენებული კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები“ 34.

ი.ქავთარაძე ამ ტერმინს მოყვანილ კონტექსტში შემდეგნაირად ხსნის: „მოწერილი თავისებურად მოხატული, ოქროს მსგავსი ხაზებიანია, ეტყობა მარმარილოს ჯიშის დასახასიათებლად გამოყენებული“ 35.

ვფიქრობთ, „მოწერილში“ ამ შემთხვევაშიაც არა მარმარილოს ჯიში, არამედ მისი დამუშავება, კერძოდ, ამოჩუქურთმება იგულისხმება.

მსგავსი მნიშვნელობითაა ნახმარი „გამოწერა“ ნისიმეს ცხოვრებაში: „და იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პილოჯს ძეულითა და სპილენძითა და კედელნი გ ა მ ო წ ე რ ი ლ ნ ი ხითა დანაკის კუდისაჲთა, ყოვლითურთ გამოხატულნი“ 36.

აქ ნათქვამია, რომ ციხის კედლები დაფენილი იყო აბანოსით, სპილოს ძელითა და სპილენძით, ამავე დროს დანაკის კუდით გამოწერილი ანუ გამოძერწილი, მოჩუქურთმებული.

ნისიმეს ცხოვრების არაბულ ვერსიაში „გამოწერილის“ შესატყვი-

34 ს.ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1, გვ. 203

35 ი.ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 386

36 კიმენი 1, გვ. 202

სად გვხვდება 37

وكان قصر هو مقشا بال... والمجاز والنخل وكانت جدرانها مسوية
არაბ. ნიშნავს გამოსახულს, მოხატულს. მის შესატყვი-
სად „გამოწერილის“ ხმარება შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი
აქაც, ისევე როგორც წინა მაგალითებში, მაგარ მასალაზე (ამ შემ-
თხვევაში ხეზე) მხატვრული ელემენტის დამუშავების ტექნიკას
უჩვენებს.

ამასვე ადასტურებს დაბადების ერთი ადგილი: „და მოსძარცუა
ყოველმან ერმან საყურე ოქროსა ყურთაგან ცოლთა მათთასა. და
ძოიღეს არონის მომართ. და მიითულა ჳელთაგან მათთა, და გამოუქ-
მნა იგი გამოწერით და უქმნა მათ“³⁸.

მოგვყავს პარალელური ბერძნული და სომხური ტექსტები: Καὶ
ἔπλασεν αὐτὰ ἐν γράφῃ, καὶ ἐποίησεν αὐτὸ μίχρον χανευτὸ³⁹

ხლ ემსკაყაღ ხ ძხთაგ მთგა, ხლ ძიღლხაგ ყაყნ ფანღყაყა ყიღიიქ
ხლ აყაყ იფ ძიღლანღი.⁴⁰

ბერძნული γράφῃ ნიშნავს საკრეთელს, ხოლო ἔπλασεν ἐν γράφῃ-
ნი — გამოძერწა საკრეთლით. მსგავსი მნიშვნელობა აქვს სომხურ
ფანღყაყ-ს, ჩამოსხმა, ძერწვა, კრა.

ამრიგად, ქართული „გამოწერა“ მაგარი მასალის (ლითონის) მხატ-
ვრული დამუშავების წიხს გულისხმობს.

37 სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი № 542,
99. ხელნაწერის ნომერს ვუთითებთ ა. ა ტ ი ა ს აღწერილო-
ბის მიხედვით: (ამ ხელნაწერის მიკროფილმი დატულია აღმო-
საველეთმცოდნეობის ინსტიტუტში). A. S. A t i y a. The Arabic
manuscript of mount Sinai, Baltimore, 1968.

38 ხელნაწ. H — 1207, 161r.

39 Ἐξῆδος, 32, 4, Τα Διβλία, ἔν μοσχα, 1821.

40 ხლქ იღ. Աստուածա քիմչ սատխანი հիմ ხლ ნոր կփա կարամաց,
Հაփորագա: քիմ, ի վնხփիկ, 1805.

ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ „გამოწერა“ ძველ ქართულში მხოლოდ ხატვის ცნებას არ გამოხატავს. ხატვის იდეის გადმოცემა ამ ტერმინის ხმარების მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენს „გამოწერა“ ნიშნავს საზოგადოდ გამოსახულების შესრულებას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მისი გამოყენება ავლენს გამოსახულების შესრულების უძველეს ტექნიკურ წესებს.

ეს ფაქტები სრულიად კანონზომიერ ახსნას პოულობს სიტყვა „წერის“ სემანტიკის ფონზე.

ამგვარად, ისტორიულად სიტყვამ „წერა“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვცა: 1. გაქრა, გაკაწრვა; 2. გამოსახულების გამოყვანა, ხატვა და 3. წერა. ამ უკანასკნელი მნიშვნელობის გამო „წერა“ წარმოადგენს პალეოგრაფიულ ტერმინს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წერა და მისგან წარმომდგარი ტერმინები (გამოწერა, მიწერა, გარეშეწერა), ხშირად ამჟღავნებენ წერის ძველ სემანტიკურ მხარეებს.

„წერა“, როგორც ეპიგრაფიკული ტერმინი, ნიშნავდა ქვაზე წარწერის გამოყვანას. ქართული წარწერების უმრავლესობა შესრულებულია სწორედ „წერით“, ანუ ამოქრით. არსებობდა წარწერათა შესრულების მეორე წესიც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „ასოების მოყვანილობა და ნაკეთი წარწერის ეზოზე უფრო ამადლებული იყო და გამოქანდაკებით იყო გამოყვანილი“⁴¹.

წარწერათა შესრულების ამ ორგვარმა წესმა განსხვავებული ასახვა ჰპოვა ტერმინოლოგიაშიც. ასოთა ამოქრას, გარდა „წერისა“ ეწოდებოდა „აღმოკოდით წერა“. იგი გვხვდება ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „ჰოვნაჲ სტეფანესი“; „და ვპოვეთ ძეგლი ერთი, რომელსა წერილ იყო ჰებრაელებრ . . . და ზედაწერილი იგი მათი აღმოვიკითხეთ; და წერილი იყო ეს რეთ აღმოკოდით: ქელელიელ, ნასოამბ, გამალიელ, აბიბას“⁴²

41 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

42 სინური მრავალთავი. 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 69.

რელიეფური წარწერების შესრულებას კი ეწოდებოდა „გამოქანდაკებით წერა“; ეს ტერმინი ივ. ჯავახიშვილს დადასტურებული აქვს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა და იობის წიგნის ქართულ თარგმანში. ამ ტერმინის ბერძნული შესატყვისია γλῦφ α⁴³.

„გამოქანდაკებით წერის“ ნიმუშებს წარმოადგენს ბოლნისის სიონის ორი წარწერა⁴⁴, ურბნისის ორი წარწერა⁴⁵, კუმურდოს ტაძრის 964 წლის⁴⁶, კყონდიდის ეკლესიის დასავლეთ ფასადის⁴⁷ და აბასთუმნის წარწერები⁴⁸.

X
X X

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ყოველი წერილობითი ძეგლი თავისი შესაფერისი, „საკადრისი ჳელით“ უნდა ყოფილიყო აღწერილი⁴⁹. ხელი ნაწერის ინდივიდუალურ მანერას უჩვენებდა. ხელის ღირსებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავდა: საწერი მასალის რაოდე-

43 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

44 ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი) შეადგინა ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე. მ., თბილისი, 1949, ტაბ. 1, 11.

45 პ. ზ. ა. ქ. ა. ი. ა., ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965, ტაბ. XXXVI, სურ. 1, 2, 3.

46 ვ. ც. ი. ს. კ. ა. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1959, გვ. 10, ტაბ. 1.

47 ე. თ. ა. ყ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ნაწ. 11, ტფილისი, 1914, გვ. 10.

48 თ. ბ. ა. რ. ნ. ა. ვ. ე. ლ. ი., აბასთუმნის ერთი წარწერის დათარიღებისათვის, „მაცნე“ 5, 1969, გვ. 139.

49 ივ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ნობა და ხარისხი, შრომის პირობები და გადამწერის ინდივიდუალური თვისებები. კარგ პირობებში გადაწერილი ხელნაწერის „ჯელი“ იყო „გაწყობილი“: „აქა მელანი წამიჭდა და კალამი. მისთვის ჰელი ავი მოვიდა და არცა ჰელი გაეწყო“⁵⁰.

გადამწერები საკმაოდ ხშირად იძულებულნი იყვნენ მიემართათ მასალისა და დროის ეკონომიისათვის. ამის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ასოთა ზომის შემცირება და ხელის აჩქარება. ეს ვითარება სათანადოდ აისახა გადამწერთა ტერმინოლოგიაშიც.

შევეხებით მათ ცალკე:

წ მ ი დ ა (ჰ ე ლ ი თ) წ ე რ ა. იგი გვხვდება XY ს. გადაწერილი „მარხვანის“ მინაწერში: „ქალაღის სიძვირისათვის წ მ ი დ ა ჰ ე ლ ი დ ა ვ ს წ ე რ ე“⁵¹. ეს ხელნაწერი დაზიანებული ყოფილა და XVI ს. განუახლებიათ. ტექსტის ძველი ნაწილი საშუალო ზომის, აუჩქარებელი ნუსხურით არის ნაწერი, ხოლო აღმდგენელის ხელი წვრილი და მკიდროა. მასვე ეკუთვნის მინაწერი. იგი ყოველთვის არ იცავს ერთ კალიგრაფიულ სტილს. ზოგჯერ, სტრიქონებს ჩვეულებრივზე მეტად აახლოებს ერთმანეთთან, ცელის ასოთა სიდიდესაც განსაკუთრებული წვრილი ხელით არის შესრულებული მინაწერიანი გვერდი. როგორც თვითონ ამბობს, ასეთი ხელით წერა გამოიწვია საწერი ქალაღის უკმარისობამ.

წ მ ი დ ა დ წ ე რ ა გვხვდება უფრო ადრეც, სახელდობრ, იოვანე მოციქულის აპოკრიფულ ცხოვრებაში: „და ჰრქუა იოვანე: მიძიე ეტრათი სხუაჲცა დასაწერელად გამოცხადებისა ამის. და მოილო ეტრათი სოსიპატრე და მრქუა მე იოვანე: შვილო, და სახც ესე და წ მ ი დ ა დ დ ა წ ე რ ე მას შინა გამოცხადებაჲ ესე“⁵².

50 ხელნაწ. A — 186, 1688r.

51 ხელნაწ. S — 1249, 167r.

52 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ. გვ. 89.

წმიდად წერას ბერძნულში შეესატყვისება καθαρωγραφία: Καὶ τῆ ἐπαύριον εἶπεν, Ἰωάννης πρὸς Σωσίπατρον. τέκνον, ζήτησον μοι μεμβράνας καλλὰς εἰς κ α θ α ρ ο γ ρ α φ ῖ α ν τοῦ ἄγιου ἐσαγγελίους⁵³. καθαρωγραφία ნიშნავს სწორად, ზუსტად, შეურყვანელად წერას. სომხურში გვაქვს სრფაყები: ասս Հռհաննես ցՄուսիպատրոս սոգ որդեսկ Պրոխորես, գմագալաբո և միսո ճնես, եւ սրբագրես ի դրաս գաւետաբանդ գայդ⁵⁴.

სრფაყები გამართვას, გასწორებას ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მოცემულ მაგალითში „წმიდად წერას“. ეს ტერმინი ამ შემთხვევაში ეხება ნაწერის არა გარეგნულ, არამედ შინაარსობრივ მხარეს. „წმიდა“ ასეთი სპეციფიკური მნიშვნელობით გიორგი მთაწმიდლის ანდერძშიც გვხვდება: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილი არიან და კეთილად, ხან მეტნიცა და საბაწმიდურნიცა“⁵⁵.

ამრიგად, „წმიდად წერა“ ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. სწორად წერა; 2. წვრილი, მკიდრო ხელით წერა.

სწრაფასა შინა მწერალი (სწრაფასა შინა წერა) გვხვდება XI ს. სინური ხელნაწერის ანდერძში: „სახელითა. . . მე, გლახაკმან ჯოჯიკეულმან სწრაფასა შინა მწერალი არავინ მახლვიდა და თუით თავისა ჭელითა დაეჩხრიკე. ძალი არა მაქუნდა, სრულად ვერ დავსწერდი, მარგალიტი ოდენ დავწერე და სხუათა საკითხთაგან ნაწყუედები დავწერე“⁵⁶. ხელნაწერი თავიდან ბოლომდე შესრულებულია წვრილი, მაგრამ თანაბარი, აჩქარებული ნუსხურით. თვით ანდერძი (90v – 91r), აუჩქარებელი ლამაზი

53 Th. Zahn. Acta Ioannis, Erlangen, 1880, გვ. 156.

54 Թանգարան, Հայկական հիմ եւ մոյ դպրութեանց, վնստիկ, 1898, გვ. 289.

55 ხელნაწ. Q – 883, 141v.

56 Sin – 51, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო.

ნუსხურით არის დაწერილი. ხელნაწერი შეიცავს იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებებს. როგორც ანდერძიდან ირკვევა, გადამწერს დედნის ტექსტი შეუმცირებია და აჩქარებული ხელით უწერია, ე.ი. „სწრაფასა შინა წერა“ შემოკლებით და აჩქარებით წერას ნიშნავს.

წ უ რ ი ლ ქ ე ლ წ ე რ ა გვხვდება XVII ს. ხელნაწერის მინაწერში: „ქალაღი არა მქონდა და მისთვის წ უ რ ი ლ ქ ე ლ ვ ს წ ე რ ე ძმაო“⁵⁷. აქაც, ისევე როგორც S – 1249-ის გადამწერი, წერილი ხელით წერის მიზეზად ქალაღის სიმცირეს ასახელებს.

წ უ რ ი ლ ა დ წ ე რ ა გვხვდება აგრეთვე პარხლის მრავალთავის (A – 95) ანდერძში. ხელნაწერი მთლიანად გადაწერილია დინჯი, მკიდროდ ჩასხმული ნუსხურით. საშუალოზე ოდნავ მცირე ასოებით.

წ უ რ ი ლ ა დ ჩ ა ს ხ მ ა ნიშნავს იგივეს, რასაც „წურილად წერა“: „დღეაჲ წ ვ რ ი ლ ა დ ჩ ა ს ხ მ უ ლ ი ი ყო და სრული ნაკუთი მას ზედა ექმენ. მცირეა, წრკლად ნაწერისათჳს შემინდევით, საყუარელნო“⁵⁸.

ბ შ ი რ ა დ წ ე რ ა გვხვდება მკიდრო, სწრაფი ნუსხურის ალსანიშნავად⁵⁹.

მ ს ხ უ ი ლ ა წ ე რ ა. ზოგი ხელნაწერი გადაქარბებულად მსხვილი ხელით არის ნაწერი. ასეთია, მაგალითად Jer – 76. ხელნაწერი თავიდან ბოლომდე გადაწერილია მსხვილი, კვადრატული ფორმის, ოდნავ დახრილი ნუსხურით. გადამწერი სამი უნდა იყოს. მაგრამ არც ერთის ხელი საერთო კალიგრაფიულ სტილს არ არღვევს. ანდერ-

57 ხელნაწ. S – 1163, 9 v.

58 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა №17, თბილისი, 1947, გვ. 39.

59 ეს ტერმინი დამოწმებულია ხელნაწერებში H – 1221, 107r H – 1345, 210 v.

ძში ნახმარია გამოთქმა „მსხუილა წერა“. „ესე მ ს ხ უ ი ლ ა მით
დ ა ვ წ ე რ ე თ, რომ ზოგნი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ნ ი იყუნენ“⁶⁰.

როგორც ანდერძი განმარტავს, გადამწერები „მსხუილა წერდ-
ნენ“ მოხუცებულობისა და თვალნაკლულობის გამო.

ს უ ბ უ ქ ა დ წ ე რ ა : გვხვდება 1535 წ. გადაწერილი სადღე-
სასწაულოს (A — 139) ანდერძში. ამ ანდერძს იმეორებს აგრეთვე
XY11 საუკუნის ხელნაწერი S — 1324.

„სუბუქი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა. کب ნიშნავს:
სწრაფი, მჩატე, მსუბუქი. ასეთივე მნიშვნელობით არის ეს სიტყვა
შესული სულხან—საბას ლექსიკონში: სწრაფი, მალი, მჩატე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სუბუქად წერა“ ნიშნავს სწრაფწე-
რას. მაგრამ ხელნაწერთა გრაფიკა ასეთი დაშვების საშუალებას არ
იძლევა. ხელნაწერები ნაწერია აუჩქარებელი, თანაბარი ნუსხურით.
ტერმინის მნიშვნელობას ყველაზე კარგად ხსნის თვით ანდერძის ტე-
ქსტი: „წმიდანო ღვთისანო, ამას ჯუარისა სატფურებასა არა დი-
დად დღესასწაულობს, ამისთვის ს უ ბ უ ქ ა დ ს წ ე რ ი ა განგე-
ბაცა“⁶¹. ე.ი. ჯვრის სატფურებას რადგან არავინ დღესასწაულობს,
ამიტომ მისი განგების დაწერის საჭიროებაც არ არსებობსო. ამისა-
თვის გადამწერს ეს განგება დაუწერია „სუბუქად“, ე.ი. ზერელედ,
შემოკლებით.

ჩ ხ ი ბ ე ა // ჩ ხ ა ბ ე ა. XY11—XY11 საუკუნეების ხელნაწერთა
ანდერძებში გვხვდება ტერმინები: „ჩხაბვა“, „მჩხაბავი“. მაგალითად
1718 წელს გადაწერილი მეტაფრასის ანდერძში ვკითხულობთ: „ლო-
ცვა ყავთ მამისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე თარგმნა, არამედ ბილ-
წისა და არაკეთილის, ფრიად ცოდვილის ხუცეს—მონაზონის, ამის
მ ჩ ხ ა ბ ა ე ი ს არსენისათჳს . . . ლოცვა ყავთ, ნუ მწყევთ, ძმანო,
რამეთუ გამოუცდელი ვიყავ წერასა, არამედ ვერ ურჩ ვეჭმენ იკორ-

60 Jer — 76, 2 44 r. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო.

61 ხელნაწ. A — 139, 362 v, S — 1324, 41 v.

თის წინამძღვარს ქრისტეფორეს . . . "62.

თვით წერის პროცესს ეწოდებოდა „ჩხაბვა“: „მე, ყოვლად უღირსმან მონაზონმან გრიგოლ, დ ა ვ ჩ ხ ა ბ ე სამღვდელმთავრო საგალობელი“63.

უფრო იშვიათად, ეს ტერმინი შეიძლება განსხვავებული ფორმით შეგვხვდეს: ჩ ხ ი ბ ვ ა, მ ჩ ხ ი ბ ა ვ ი. ეს ფორმები გვხვდება XVI საუკუნით დათარიღებული სახარების გადამწერის მინაწერში: „ღმერთო, შეიწყალე ამის სიბერის დროს მ ჩ ხ ი ბ ა ვ ი მთავარეპისკოპოსი ევდემონ. ვინცა მომიჯსენოთ, თქუენცა მოგიჯსენოსთ ღმერთმან. . .“64 და 1800–1801 წელს ხელნაწერის გადამწერის ანდერძში: „მე მღვდელმა დავით ვ ჩ ხ ი ბ ე სარწმუნოების წიგნი ესე.“65

სულხან–საბა ორბელიანის ლექსიკონში „ჩხიბვა“ და „ჩხაბვა“, თავიანთ მიმღეობებითურთ, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებად არის მიჩნეული. კერძოდ, „ჩხაბვა“ ნიშნავს ავ წერას, „მჩხიბავი“ – ავად მწერალს, ხოლო „ჩხიბვა“ – გრძნებით შეკრავას, „მჩხიბავი“ – გრძნების შემკრავს. 66

თუმცა საბასთან „ჩხიბვასა“ და „ჩხაბვას“ განსხვავებული შინაარსი აქვთ, ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ მათ შორის ასეთი მკაცრი სემანტიკური ზღვარი არ არსებობდა.

ყველაზე ადრეულ ძეგლს, რომელშიც ხსენებული ტერმინი დასტურდება, წარმოადგენს X111 საუკუნის ეტრატის გრაფილი. ამ ხელნაწერის პირველი კედის კიდეზე მიწერილია: „ამისსა მ ჩ ხ ი ბ ა ვ ს ა გაბრიელსა შეუენდენ ღმერთმან“67. ამ მაგალითში ტერმინის ად-

62 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა 1, № 110 გვ. 271.

63 იქვე, ტ. 11, № 407 გვ. 96.

64 ცსსა ხელნაწერი, ფ. 1446, №319, 62 v.

65 ხელნაწ. S – 2884, 11 r.

66 ს.ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. თხზულებანი 1 ყ₂, გვ. 343.

67 ხელნაწ. A – 922.

რეული სახე უნდა იყოს დატული.

„ჩხიბვა“ საერთო ქართველური ძირია და ნიშნავს ხლართვას. სვანურში მას შეესატყვისება ლი-შხბ-ი (* < ლი-შხებ-ი), რაც უღრის კერვას.⁶⁸

კერვა ძველ ქართულში, ისევე როგორც „ჩხიბვა“, გრძნეულ, მაგიურ მოქმედებას გამოხატავდა. ამის ნიმუშს ვხვდებით „ბალავარიანში“: „ჰრქუა კაცმან მან სამეუფომან . . ., მითხარ, რაჟარს შენ თანა სარგებელი იგი, რომელსა შენ იტყ ? ჰრქუა ვნებულმან მან: მე კაცი ვარ ს ი ტ ყ ვ ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ი. ჰრქუა მას სეფეკაცმან მან: ვითარ შე ჰ კ ე რ ა ვ ს ი ტ ყ უ ა თ ა? ჰრქუა ვნებულმან მან: უკუეთუ იყოს სიტყუათა შინა წყულუებაჲ, შე ე ვ კ ე რ ო, რაჟთა არა მოიწიოს მის მიერ ვნებაჲ“⁶⁹.

სულხან-საბას ლექსიკონში ახსნილია აგრეთვე სიტყვა „ჩხიბი“: „გრძნებით შესაკრავი“⁷⁰.

ჩხიბი ამ მნიშვნელობით გვხვდება „ვისრამიანში“: „მერმე ძიძამან სპილენძი და რვალი მოიღო და გრძნებითა რაითმე ტილისში შექმნა ორი. ერთი მოაბადის სახე და ერთი ვისისი, შეულოცა რამე და რკინითა ერთმანერთსა ზედა მაგრად შეაქედნა. ძიძა, მაგალითად, გრძნეული იყო და ესე ორი ჩ ხ ი ბ ი ასრე ვითამე შექმნილი იყო, რომელ ვირემცა იგი ერთგან დაქედილი იყვნენ, მოაბად ვისსა ზედან შეკრული იყო და, თუ ვინ გაჰსნიდა, მასვე წამსა გაიჰსნებოდა“⁷¹. აქ „ჩხიბი“ არის ის საგანი, რითაც გრძნეული მაგიურ პრო-

68 გ. შ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 58.

69 სიბრძნე ბალაჰვარისა, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1957, გვ. 12.

70 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი 1 ყ, გვ. 326.

71 ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო ლ უ ა მ. თბილისი, 1962, გვ. 70.

ცეს ასრულებს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში „გრძნების შეკვრის“ ერთ-ერთ საშუალებად მაგიური ნახატების შესრულება იყო მიჩნეული.⁷² მაგიურ მხატვრობასთან დაკავშირებული სიტყვები დამწერლობის მქონე ხალხთა ენებში წერის პროცესის გამომხატველ ტერმინებად იქცა. ამ რიგის სიტყვებს მიეკუთვნება, როგორც ჩანს, „ჩხიბვა“⁷³ წარმართული რწმენის ბატონობის ხანაში „ჩხიბვა“, ისევე როგორც კერვა, გარკვეულ მაგიურ აქტს გამოხატავდა. ამიტომაც, ქრისტიანული მწერლობის ძეგლებში მჩხიბავეი ცრუს, მატყუარას და ბოროტების მომტანს ჰქვია.

ასეთი მნიშვნელობა აქ: ლ ამ სიტყვას პოლონიის ეპისკოპოსის ეპიფანე კვიპრელის ცხოვრებაში: „... არა ვიდრე ხვდე ამიერით, არცა დასჯდე, არცა მშვედობით იყო, ვიდრემდე არა მომცე ვეცხლი ჩემი, მ ჩ ხ ი ბ ა ო ეპიფანე“⁷⁴.

უფრო აშკარად „მჩხიბავის“ მნიშვნელობა ჩანს ბერძნულ ტექსტში: Οὐκ ἐξέρχη οὐ καμῆνῃ οὐκ εἰρησέεις ἕως οὐ τὸν ἄργυρον δῶς οὐ ἐχρήσα παρ' ἐμοῦ ἔπιθεῖα Ἐπιφάνει ⁷⁵.

ბერძნული ἔπιθεῖα, რომლის ქართული თარგმანია „მჩხიბავი“, ნიშნავს ცრუს, მატყუარას.

ავის განმზრახველს, ცრუსა და რჯულის შემცოდეს ნიშნავს „მჩხიბავი“ შემდეგ კონტექსტიც: „ხოლო სახარებანი იგი ბასრობით ეტყვედ მათ: შეეღობილ ხარ სამე და წერწყმედილ. უკუეთუ ნანდჯუ ჰგონებთ, ვითარმედ მ ჩ ხ ი ბ ა ვ ი ს ა იმის მიერ ბოროტი რაჟმე მოიწია თქვენ ზედა“ ⁷⁶

72 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 154.

73 И.К. С у р г у л а д з е, დასახ. ნაშრ. გვ. 7.

74 საკითხავეი წიგნი ძველ ქართულ ენაში, 11, გამოსცა ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ძ ათბილისი, 1966, გვ. 124.

75 Mi g n e, P. G. t. 41, გვ. 81.

76 სვიმეონ მესტეტის ცხოვრება, Sin-46, 171v, (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო).

საინტერესოა, როგორ გაიაზრება „ჩხიბვა“ (ან „ჩხაბვა“), როგორც პალეოგრაფიული ტერმინი? ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში მან დაიწვა ერთი მხრივ ძველი, წერას მნიშვნელობა, მეორე მხრივ კი დაემატა უფრო გვიან შეძენილი აზრი: ცრუ, მატყუარა. ასე, რომ იგი ნიშნავს ცრულ წერას, ცუდად წერას, „ავად წერას“⁷⁷.

ამრიგად, „ჩხიბვა“ // „ჩხაბვა“ ხელნაწერთა ანდერძებში ნიშნავს ცუდად წერას.

77 სავალდებულო არ არის, რომ ხელნაწერები, რომლებშიც ეს ტერმინები დასტურდება, ცუდი ხელით იყოს დაწერილი. ზოგჯერ, შეიძლება ისინი გადამწერთა თავმდაბლობას გამოხატავდნენ.

საწერი მასალა და იარაღები

ბერძნული χάρτης თავდაპირველად საწერად განკუთვნილ პაპირუსის ფურცელს ეწოდებოდა, შემდეგ, საერთოდ ყოველგვარ ფურცელს. ამ მნიშვნელობით შევიდა ეს სიტყვა მეზობელი ერების ენებში. არაბული *ḥarf*, სომხური *խարխ*, ქართული ქარტა: „მაშინ მოიღო სპარსთა მეფემან ქარტა და დაწერა ჰელითა თვსითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა და ჩინება საზღვართა“¹.

ქარტისაგან დამზადებულ წიგნებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში გრაგნილის ფორმა ჰქონდათ, ერქვათ βίβλος ან βιβλίον. უფრო გვიან კი ხმარობდნენ ტერმინს τόμος, ეს უკანასკნელი გრაგნილის ერთ ფურცელს, ან ერთ გრაგნილს ეწოდებოდა². ქართულში ეს ტერმინიც არის შემოსული მისი კნინობითი ფორმიდან τομάριον.³

ძველ ქართულ ტექსტებში ტომარი და ქარტა ერთმანეთის შონაცვლედ გვხვდება: „და ღამესა შინა ერთსა განვიდა გარე წმიდაჲ ივი ბერი სენაკით თვსით, და იხილნა ანგელოზნი ზეცით გარდამოსულნი, და ერთისა მათგანისა ჰელთა ტომარი დიდი დაწერილი ორკერძოჲთვე; და ჰრქუა ერთმან მათგანმან მოყუასსა თვსსა: ვის მისცემ

- 1 ქართლის ცხოვრება, 1, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც. თბილისი, 1955, გვ. 183.
- 2 E. M. Thompson, The Greek and Latin palaeography, London, 1906, გვ. 54.
- 3 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი, თსუ შრომები, XXXIX, 1950, გვ. 76.

ქ ა რ ტ ა ს ა ამას, პავლეს განშორებულსა ეგვიპტისა უდაბნოჲსა-
სა, ანუ პიმენს მართოდ მყოფსა?“⁴.

საწერ მასალად ტყავის გავრცელება ემთხვევა წარმატული ლი-
ტერატურის ქრისტიანულით შეცვლის პროცესს. ტყავს, როგორც სა-
წერ მასალას, მანამდე გაბატონებულ კილზე უფრო კარგი თვისებე-
ბი აღმოაჩნდა: სილბო, გამძლეობა. გარდა ამისა, ტყავისაგან დამ-
ზადებული კოდექსის ფორმის ხელნაწერი წიგნი ბევრად უფრო მო-
ხერხებული იყო ქრისტიანული კულტმსახურებისათვის, ვიდრე გრაფ-
ნილისა. ამიტომაც, ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლები, მცირე
გამონაკლისის გარდა, პერგამენტზეა შექმნილი⁵.

კილისაგან დამზადებული ქარტები ქრისტიანობის გაბატონების
შემდეგაც არსებობდა. მათ იყენებდნენ კანცელარიებში. 1 V-V სს.
საიმპერატორო და საქალაქო ქარტიები კილზეა შესრულებული. ხო-
ლო პაპის კანცელარიაში კილმა XI ს.-მდე გაძლო. ამის მიზეზი
ის იყო, რომ კანცელარიაში შედგენილ საბუთს უმეტესწილად ერთი
ფურცელი ესაჭიროებოდა მთავრად ტყავის საწერმა მასალამ ამ უკა-
ნასკნელი თავშესაფრიდანაც გამოდევნა კილი. ხოლო ტერმინი ქარ-
ტა უკვე დიდი ხნიდან აღნიშნავდა არა მართო კილის ფურცელს,
არამედ საერთოდ საწერ ფურცელს, რომელსაც გრაფნილის ფორმა
ჰქონდა.

რადგან ერთი ქარტა ხშირად საკმარისი იყო დოკუმენტის შესა-
დგენად, ამიტომ ქარტამ თვით მიიღო საბუთის მნიშვნელობა. ასეთი
მნიშვნელობით ქარტა გვხვდება, მაგალითად, იოვანე მოციქულის
აპოკრიფულ ცხოვრებაში: „ჰრქუა მას იოვანე: განავლინენ ყოველნი

4 G. Garitte, *Vies géorgiennes de S. Syméon Stylite l'An-
cien et de S. Ephrem*, Louvain, 1957, გვ. 90.

5 E. M. Thompson, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

6 O. A. Д о б и а ш—Р о ж д е с т в е н с к а я ; *История пись-
ма в средние века*, Петербург, 1923, გვ. 23.

სახლისა შენისა გარე. და ვითარ იქმნა ესე, აჰა რომანა, და აქუნდეს ქარტანი, რომელთა ჰრქვან სყიდულე ბა ჩუენი, და დაადლო თავი თვისი ფერკთა თანა იოვანესთა, ტიროდა და ეტყოდა . . . “7. .

ქარტის, ანუ გრაგნილის გაშლა გამოიხატებოდა ზმნებით „განყოფა“⁸, „განღება“, „განქსნა“: „ხოლო ერთმან მღვდელთაგანმან მოილო ქარტა იგი და განქსნა, რაჟთა ცნას, თუ რაჟმე არს ცოდვა იგი დიდი, და ვითარცა განალო ქარტა იგი, იპოვა წმიდად, და არა იყო მას შინა ყოვლადვე კუალი ნაწერისაჲ“⁹.

საკუთრივ ტყავისაგან (დამზადებული წიგნის აღსანიშნავად ქართულში ორი ტერმინი იხმარებოდა. ერთი მათგანია „წიგნი ტყავისაჲ“: „რაჟამს – იგი წარიგრაგნოს ცაჲ, ვითარცა წიგნი ტყავისაჲ, და იცვალოს და განახლდეს ქუეყანაჲ“¹⁰. ამ შემთხვევაში „წიგნი ტყავისაჲ“ შეესატყვისება ბერძნულ პალეოგრაფიაში ცნობილ ტერმინს ნიფმერა: σιλιγῆσαι γὰρ, φησὶν, ἄς βιβλίον ὁ σῆραυός, καθάπερ τισὸς σκηπῆς ნιფმέρα καὶ παραπέτασμα σοστελλόμενος ἐκ τοῦ μέσου, ὥστε μετασχηματισθῆναι ἐπὶ τὸ βέλτιον¹¹.

მეორე და საკმაოდ გავრცელებულ ტერმინს წარმოადგენს ეტრატო. ამ ტერმინის სადაურობა გარკვეული არ არის. ივ.ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ იგი, შესაძლებელია, მიმდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან ἄφθαρτος, რაც ნიშნავს წარუვალს, გაუხსნელს, გაუფუჭებელს¹².

7 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გვ. 64.

8 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 61.

9 G. Garitte, დასახ. ნაშრ. გვ. 113.

10 მამათა სწავლანი, ი. აბულაძის გამოც. თბილისი, 1955, გვ. 123.

11 Migne, P.G t. 47, გვ. 294.

12 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

ტერმინის სადაურობისა და მისი პირვანდელი მნიშვნელობის დასადგენად საინტერესო მასალას გვაწვდის ნათარგმნი ძეგლები, რომლებშიც ეს ტერმინი გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია სვიმეონ მესვეტის ცხოვრება: „ . . . და ყოველთა, რომელთა ჰნებავენ კურნებაჲ სკმიონის მიერ, აღწერიან ანგელოზთა მათ სახელნი მათნი სიტყვთა მისითა ე ტ რ ა ტ ს ა ზედა ს პ ე ტ ა კ ს ა ¹³.

ბერძნულ ტექსტშია: „ . . . Καὶ ἕκαστον τῶν μελλόντων λαβάνειν τῆς ἴασις ἕργατος τοῦ ἀγίου λέγοντος ὡς ἔσ σ α μ α τ ἰ ῶ λευκῆ ἰάτρ χιόνα ²⁴

აქ, ეტრატის შესატყვისად გვხვდება σματίον. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა სხეული. σματίον ისევე გავრცელებული ტერმინი იყო, როგორც ნიფერა და პერყამენონ—.

მაგრამ არც ერთი ამ ბერძნულ ტერმინთაგანი, არც ეტრატის სომხური სახელწოდება ძაყაღაჟარც სხვა მეზობელი ერების ენებში ტყავის საწერი მასალისათვის მიღებული ტერმინოლოგია ვერ ხსნის ტერმინ ეტრატის წარმომავლობას.

ეტრატი გვხვდება იოვანე მოციქულის აპოკრიფულ ცხოვრებაშიც: „ბრძანა იოვანე შეკრებაჲ ყოველთა ძმათაჲ და აღმოკითხვად მათა სახარებაჲ იგი. და რომელი—იგი ე ტ რ ა ტ ს ა ზედა იყო, პყრობად იგი პატმოს ქალაკსა, ხოლო ქარტაჲ იგი წარღებად ეფესოს ქალაქსა. ¹⁵

ტექსტში ყურადღებასიპყრობს ეტრატისა და ქარტის აშკარა დაპირისპირება. თუმცა, ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა სახის დაპირისპირება იგულისხმება მათ შორის. იგი ორგვარი შეიძლება იყოს: ან ეტრატი და ქარტა უპირისპირდება ერთმანეთს როგორც განსხვავებული საწერი მასალა, ან როგორც წიგნის განსხვავებული ფორმა. ამის გარკვევაში დახმარებას გვიწვევს სომხური ტექსტი: գորի Խ տևսյակսն էր ս ի բ ա գ ը ե խ ա լ ա յալիին ա յնալէս : իսկ գորի Խ ալուէսն էր գրեալ, կալաք առ մեզ. ¹⁶

13 კიმენი 1, გვ. 237

14 La vie ancienne de S. Symeon Stylite . . . გვ. 89.

15 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა . . . გვ. 89.

16 Թանգაყան . . . , გვ. 289 .

ქართული ტექსტის „ქარტის“ შესატყვისად სომხურში გამოყენებულია აგრეთვე *խարես*, ხოლო ეტრატის სანაცვლოდ — *տիտրաս* რაც ნიშნავს რვეულს. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *τετρας*¹⁷, ისევე, როგორც რუსული *тетрадь*¹⁸.

ამდენად, პარალელური სომხური ტექსტის მიხედვით, ქართული ეტრატი მოცემულ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს რვეულს და მისი დაპირისპირება ქარტასთან გამოხატავს წიგნის განსხვავებული ფორმების — გრაგნილისა და რვეულის დაპირისპირებას.

სამწუხაროდ, ქართული და სომხური ვერსიების ეს მონაკვეთი არ მისდევს ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტს და ამდენად, ბერძნული ტექსტის მონაცემების გათვალისწინება ვერ ხერხდება.

არ არის გამორიცხული, რომ ამ მაგალითში სიტყვა ეტრატის თავდაპირველი მნიშვნელობა ჩანდეს. აქვე შეიძლება ვივარაუდოთ ქართული ეტრატისა და სომხური *տիտրას* — ის საერთო წარმომავლობა. თუ კი ამ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ ქართული ეტრატის ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ბერძნული *τετραδιον* — ი ისევე, როგორც ტომარისათვის ამოსავალია *τομαριον* —¹⁹. მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის თავიკიდური ტ თანხმოვნის დაკარგვა ხმოვნის წინ ქართულ ეტრატში, რადგან ასეთი ფონეტიკური ცვლილება უჩვეულოა ქართული ნასესხებობებისათვის. მეორე მხრივ კი სწორედ ეს გარემოება, შესაძლებელია, ნასესხობის სიძველეზე და მისი ზეპირი გზით შემოსვლაზე მიუთითებდეს.

პერგამენტის კოდექსები სხვადასხვაგვარი წესით დაკეცილ ფურცლებს შეიცავდა. დაკეცილი ფურცლები შეადგენდნენ სხვადასხვა კომპლექსებს, როგორცაა ბინიონი, ტერნიონი, კვატერნიონი, კვი-

17 Ст. Малхасянц. Толковый словарь армянского языка, Ереван, 1945, გვ. 405.

18 Вл. Даль, Толковый словарь живого Великорусского языка, М., 1955. т. 4, გვ. 404.

19 ი. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული..., გვ. 78.

ნიონი და სენიონი. ამათგან ყველგან გავრცელებული იყო კვატერნიონი, რომლის ბერძნული შესატყვისია $\tau\epsilon\tau\rho\acute{\alpha}\nu\iota\omicron\varsigma$ — ρ $\tau\epsilon\tau\rho\acute{\alpha}\nu\iota\omicron\varsigma$ —ის მისაღებად პერგამენტის ფურცელი იკეცებოდა ორი მიმართულებით, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ამრიგად მიიღებოდა ოთხი ფურცელი²⁰. რადგან $\tau\epsilon\tau\rho\acute{\alpha}\nu\iota\omicron\varsigma$ —ები მხოლოდ და მხოლოდ ტყავის მასალისაგან მზადდებოდა, ამიტომ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რატომ დაუკავშირდებოდა სიტყვა ეტრატი ტყავის საწერი მასალის ცნება.

უძველესი ძეგლი, რომელშიც ტერმინი ეტრატი გვხვდება, არის იოანე ოქროპირის სიტყვა „სიკუდილისათვის და საშჯელისა“, რომელიც ჩვენამდე X ს. ხელნაწერითაა მოღწეული: „მაშინ ვარსკულავნი ვითარცა ფურცელნი დამოცკვენ, და მზუც და მთოვარე დაბნელდნენ, და ცაჲ წარიგრაგნოს ვითარცა ქსელი ერთი ეტრატი, და შეიძრას ქუეყანა ყოვლით კერძოვე“²¹

მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „ქსელი ერთი ეტრატი“. მსგავსი გამოთქმა გვხვდება სხვაგანაც. კერძოდ, 1081 წლის ათონური ხელნაწერის (Ath—21) ანდერძში: „სივერაგემან ჟამთამან, შეუწვენელობამ კაცთამან და სიგლახაკემან სიძკრესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელიანი მოვილოდეს დრაჰკანად, თუ არა მცირესა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქნებოდა“²².

ეს მაგალითები საკმარისია იმისათვის, რომ „ქსელი“ ეტრატის საზომი ერთეულის, ან ეტრატის ფურცლის აღმნიშვნელ ტერმინად მივიჩნიოთ.

20 გრ. წერეთელი, ჩესტერ ბიტის პაპირუსები, საქ. მუზეუმის მოამბე, 1933, 1934, ტ. VII, გვ. 367 სქოლიო.

21 მამათა სწავლანი . . . , გვ. 93.

22 R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la lavre d' Iviron au mont Athus, Paris, 1932—34.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ქსელი“ განმარტებულია, როგორც ნაქსოვი, ქსოვა, შოლტი. მისი სომხური შესატყვისებია: ոստայն, ոստայկ ոստայნանկი, քსოვა, ქსოვილი, ტილო; ბერძნული — ἰστός — ქსოვილი, ქსოვილის ნაქერი. არც სომხურში და არც ბერძნულში „ქსელის“ შესატყვისებს პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობა არა აქვთ. უნდა ვიფიქროთ, რომ „ქსელი“ ქართულ ნიდაგზე გაჩენილი ტერმინია და მეზობელ ენათა გავლენით არ არის შექმნილი.

ახსნას მოითხოვს ერთი გარემოება: რატომ ეწოდება ეტრატის ნაქერს „ქსელი“, მაშინ, როდესაც ეტრატის დამზადების წესს არაფერი აქვს საერთო ქსოვის პროცესთან?

ამ კითხვას შეიძლება ორგვარი პასუხი მოუძებნოთ: 1. „ქსელი“, როგორც პალეოგრაფიული ტერმინი, ძალზე ძველია და თავდაპირველად ეწოდებოდა არა ეტრატის ფურცელს, არამედ კილისას, კილისაგან საწერი ფურცლების დამზადების პროცესი მართლაც წააგავს ქსოვის პროცესს (შდრ. მისი მნიშვნელობა შოლტი, აგრ. ბერძნული ἱστόν ქსოვილი, საქსოვი ძირი, ἱστία βύβλας — პაპირუსის ფურცლები), მაგრამ ასეთი ახსნა დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან უშუალო დამამტკიცებელი საბუთი არ მოგვეპოვება: 2. „ქსელის“ მნიშვნელობა განზოგადებულია. ნიშნავს საერთოდ ნაქერს. გამოთქმა ქ ს ე ლ ი ე ტ რ ა ტ ი . უნდა გავიგოთ: ნ ა ქ ე რ ი ე ტ რ ა ტ ი .

ეტრატის დამზადება ხელოსნობის ცალკე დარგს წარმოადგენდა. ავგაროზ ბანდაისძე თავის ცნობილ ანდერძში მას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხელობათა შორის ასახელებს: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა თვნიერ მოძღურაჲსა კელოვნება ესევეთარი: პირველად კელი — სწავაჲ ხუცობისა, კელი მეორე — მწიგნობრობისაჲ კელი მესამე — წერაჲ ხუცურისაჲ, კელი მეოთხე — შექმნაჲ ეტრატისაჲ, კელი მეხუთე — შეკრვაჲ წიგნისაჲ, კელი მეექვსე — მხატვრობაჲ“ და სხვ.²³

23 ხელნაწ. A-575, 155 რ.

ეტრატის დამზადებას ეწოდებოდა აგრეთვე ე ტ რ ა ტ ი ს კ ა ზ ი ვ ა : „შეიწყოლენ ღმერთმან ჩუენი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელ —ყოფილი. უღირსსა თანა სულსა ცოდვილსა, რომელ ამის წიგნისა ე ტ რ ა ტ ი ყოველი მას უ კ ა ზ ი მ ა ვ ს“²⁴.

თვით გადამწერები იშვიათად ფლობენ ამ ხელობას. ისინი ეტრატის შესაძენად ბაზართან იყვნენ დაკავშირებულნი. ხშირად უჩივიან კადეც ეტრატის სიძვირეს, ამის მაგალითად თუნდაც ზემოთ მოყვანილი Ath - 21-ის ანდერძი გამოდგება.

ეტრატის ეკონომიის მიზნით გადამწერები ზოგჯერ ტექსტს ამცირებდნენ: „ . . . და სხუაჲ დიად მრავალი განგებაჲ ვერ დავწერე მრავლისა მიზეზისაგან და ეტრატისა არა ჭინება. და ესეცა, რომელი დავწერე, გორმართებით დაგჩხრიკე სიბრმითა“²⁵.

გადამწერებს ეტრატით ზოგჯერ მომგებლები ამარაგებდნენ.²⁶

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეტრატი საქართველოში მარტო უცხოეთიდან მოტანილი საქონელი არ იქნებოდა, რომ მისი გაკეთება საქართველოშიც უნდა სცოდნოდათ²⁷. ამ აზრს სავსებით ადასტურებს ხელნაწერთა მინაწერები. მათი მიხედვით ეტრატის დასამზადებლად იყენებდნენ ბატკნის, თიკნის და ირმის ტყავებს.²⁸

საერთოდ, ცნობები ეტრატის დამუშავების ადგილობრივი წესების შესახებ ძალზე შუიკრია. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თვით გადამწერები იშვიათად ღებულობდნენ მონაწილეობას ეტრატის დამ-

24 R.P. B l a k e, Catalogue des manuscrits . . . N20.

25 G. G a r i t t e. Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, გვ. 149.

26 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრ., გვ. 55.

27 იქვე, გვ. 34.

28 იხ. მინაწერები ხელნაწერებზე: S - 1409b, 7v: „კარგი რო დაგიწერე, განა, კარგს ტყავებს გამოგიგზავნი ბატკნისას ან ხუთსა და ექვს“, Q - 87, 91 v: „აქა ირმის ტყავი მომივიდა“, K - 261, 25 v „თიკნის უქნა ესე ეტრატი“.

ზადებაში. მხოლოდ ორიოდ ცნობა მოგვეპოვება, ორივე ეტრატის კვერცხით საბოლოო დამუშავებას შეეხება: 1. „ფოთათა . . . კუტრცხნი ვსთხოვენ ეტრატისათჳს, ვერ მამცნეს. კუტრნათამცა დაურჩებთან ქათამნი, თქვენცა თქვთ, ძმანო საყუარელნო“²⁹ 2. „ამის ეტრატისა სირბილე და სიხორკლობა და ადგილ-ადგილვერ-წყობილობა“ ვისცა გიკვირდეს და წყევამ სთქუათ, მას მიმცეს ღმერთმან. მესხმან რამინ მყო უმეცარ, უწრფელომან დიაკონმან. კვერცხის ცხებაჲ მოიგონა და შეკაზმეაჲ დაიქადნა და ვერ კარგად ქნა უბადრუკმან“³⁰.

ეს მინაწერი საინტერესოა იმიტაც, რომ გამოყოფს ეტრატის უარყოფით თვისებებს: ზედმეტ სირბილეს, ხორკლიანობას, „ვერწყობილობას“.

კვერცხის ცილით ეტრატისა და ქალაღდის დამუშავება საკმაოდ ცნობილი ყოფილა სომხეთში, აღმოსავლეთის ქვეყნებში და საქართველოშიც. არსებობს ამ წესის აღწერილობა: „შაბთან ერთად ფაიფურის კურკელში ათქვეფდნენ კვერცხის ცილას, ათქვეფის შემდეგ კურკელში ათქვეფილი მასის გარდა ჩნდებოდა თხევადი ემულსია, რასაც უსვამდნენ წინასწარ გახამებულ ქალაღდს. ამ წესს უფრო მეტად მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ქალაღდზე ან ეტრატზე ფერწერული ნახატი იყო შესასრულებელი“³¹.

„კვერცხის წყლის“ დამზადების რეცეპტი მოცემული აქვს ვახტანგ VI-ს თავის „ქიმიის წიგნში“: „გაკეთება კვერცხის წყლისა, რითაც ვარაყს მიაკრავს რაზედაც გინდა: მოიტანე სამი კვერცხი, გატეხე და ცილები ერთს სტაქანში ჩაასხი. ერთის კვერცხის ცილის ოდენი წყალი დაასხი იმ სამის

29 ხელნაწ. A 841, 41 v.

30 ხელნაწ. A 251, 20 v.

31 Л.И. К а з и е в , Художественно-технические материалы средневековой рукописи, Баку, 1966, გვ. 29.

კვერცხის ცილაზედ და ამდენი მარილი დააყარე, რომ საქმლის ოდნათ მარილი ჰქონდეს. მერმე ის ასე გასთქვიფე, რომ სტაქანში თავდალმა დასდგა, არ დაიქცეს. მერმე დასდგი ის სტაქანი და შივ წმინდად ჩასწმინდე. და ეს ჩაწმენდილი წყალი არის, რომელი მიაკრავს ვარაყს და იხმარების ვარაყის დასაკრავად“³².

შემდეგ აღწერილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს „კვერცხის წყლით“ ეტრათი: „მოიტანე ის გაკეთებული კვერცხის წყალი და ორჯელად წაუსვი. ასრე შეაშრე, რომ ნებს არ ეწებებოდეს და ტენი კიდევ ჰქონდეს. ეს თეგი გამთბარი თავისის რაგით წააგორე. მერმე კურდღლის ფეხი წაუსვი და გარდავა, სადაც ვარაყი არ უნდა. თუ უბრალოს ალაგზედ დაეკრას, მოიტანე ზეთიანი ლანდრის ნაქერი, წაუსვი და გარდაიყვანს, თუ ზეთის ხილია, ის სჯობს“³³.

ეს წესები უჩვენებს, რომ „კვერცხის წყალს“ უსვამდნენ ეტრატს (აგრეთვე ქალაღს) იმ მიზნით, რომ მისი წებოვანება გაეძლიერებინათ. ასეთნაირად დამუშავებული საწერი მასალა კარგად იღებდა საღებავს.

ქალაღი. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი ქალაღზე: მიეკუთვნება X საუკუნეს. ამავე ხანიდან არის ცნობილი მისი სახელი „ქალაღი“, რომელიც ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია არაბული სიტყვისა كحل (ან كحل) მხოლოდ XIII საუკუნიდან ფორმა ქალაღის პარალელურად იხმარება. ქალაღი ³⁴.

ქართულ ხელნაწერებში დაცული, ქალაღთან დაკავშირებული ტერმინების, კერძოდ კი „ქალაღის გახამებისა“ და „ქალაღის გაღლესის“ საშუალებით ირკვევა, რომ ჩვენში ქალაღი ადგილობრივი

32 ხელნაწ. S – 3721, 61v.

33 იქვე, 62v.

34 რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქალაღის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, პალეოგრაფიული ძიებანი, 1, თბ. 1965, გვ. 48.

წარმოებისა არ იყო. იგი შემოქმონდათ ნახევარფაბრიკატის სახით³⁵

მზა ქაღალდი, საჭიროებისამებრ, შეიძლება მეტად ან ნაკლებად გახამებულიყო და გალესილიყო იმის მიხედვით, თუ სად როგორი იყო წერის სპეციფიკა და მელნის თვისებები, ან როგორი იყო თვით ქაღალდის ხარისხი. ყველა ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სავაჭროდ შემოქმონდათ გაუხამებელი და გაულესავი ქაღალდი და საწერად ქაღალდის გამზადება ანუ გახამება და გალესვა ადგილობრივ სრულდებოდა ³⁶.

სხვადასხვა ქვეყანაში გასახამებლად სხვადასხვაგვარი შედგენილობის სახამებელ მასას იყენებდნენ. მაგ. არაბები ხმარობდნენ ფქვილისა და ხორბლის სახამებელს³⁷. ირანულ ქვეყნებში ქაღალდის გახამების რამდენიმე წესი არსებობდა. გასახამებელ მასაში ყველა წესის მიხედვით აუცილებლად მონაწილეობდა სახამებელი, ამავე დროს, რეცეპტში შეიძლებოდა შესულიყო შაბი, ბრინჯის ფქვილი, კვერცხის ცილა და სხვ. ³⁸.

ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ქაღალდის გასახამებლად იყენებდნენ ცხოველურ წებოს, რამაც ქაღალდს მეტი სიმკვრივე მიანიჭა³⁹.

გახამებულ ქაღალდის ხორკლიანი ზედაპირი ილესებოდა. სალესად იყენებდნენ ცხოველის ეშვს ან კბილს. გალესვის შემდეგ ქაღალდის ზედაპირი სწორი და პრიალა ხდებოდა.

ზოგჯერ ქაღალდის ცალი მხარეა მხოლოდ გახამებული და გალესილი, მეორე კი — არა. ასეთია მაგალითად, ხელნაწ. ინსტიტუტის ხელნაწერის, A-69-ის ქაღალდი. ხანდახან საერთოდ გაუხამებელი ქაღალდიც გვხვდება. ასეთი ქაღალდი, ჩვეულებრივ, მელანს ცუდად იკიდებდა

35 Р.М.П а т а р и д з е, Основные вопросы грузинской флигратологии, Автореферат, Тбилиси, 1967, გვ. 9.

36 რ. კ ა ტ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

37 С.А.Ф о т и е в, Технология бумаги, т.1, М—Л., 1933, გვ. 22.

38 А.Ю. К а з и е в, დასახ. ნაშრ., გვ. 29—30.

39 В. У ч а с т к и н а, Русская техника в производстве бумаги, Л., 1949, გვ. 177.

და გადამწერთა გულისწყრომას იწყევდა:

„ვაჲ შენ, ქ ა ლ ა ლ დ ო, არა მოიკიდე მელანი, გ ა გ ა ხ ა მ ო, ესრე იქნები“⁴⁰. „ვაჲ, რას ქირში ვეყვარ ქ ა ლ ა ლ დ ს ა, გავახამო, მე ლ ა ნ ს არ მოიკიდებს, თუ არა, შ ი გ გ ა ე ა რ დ ე ბ ი ს. გებრალებოდე კეთილ მუშაკნო, ღეთისათჳს ნუ მწყყევთ“⁴¹. „ღეთის მადლს, ნუ დამწყყევთ, გაუხამებელმა ქალაღმან აენო“⁴². „ქ ა ლ ა ლ დ ს გ ა ლ ე ს ე ა აკლდა“⁴³.

დაუმუშაებელ ქალაღს გადამწერები უწოდებენ ა ვ ქ ა - ლ ა ლ დ ს: „რაჲ ა ვ ი ქ ა ლ ა ლ დ ი იყო, ღმერთმან ჩუენი ბრა- ლი გკითხოს, ჳელი წამიხდინა“⁴⁴. „ჳელის უნდოებისათჳს ნუ დამწყ- ყევთ, წმიდანო ღმრთისანო, ქ ა ლ ა ლ დ ი ა ვ ი იყო, ამის უკე- თესი ჳელი არ მოიყვანა, თუ არა ჩემით მრავალ მოვიქირვე“⁴⁵.

ქართული ხელნაწერები უმეტესად შესრულებულია თეთრ და მო- ყვითალო ქალაღზე. XV111 საუკუნეში გადაწერილი სვიმონ ჯულფე- ლის მცირე დიალექტკის მინაწერში გვხვდება გამოთქმა „ქალაღის თეთრყოფა“⁴⁶. რა წესი ჳქონდა მხედველობაში გადამწერს, არ ვიცით. საერთოდ ცნობილია, რომ თეთრი ქალაღის მისაღებად აუცილებელი იყო თეთრი ფერის ნელღელის (ჩერების, ძონძების) შერჩევა. არაბე- ბი საქალაღდ მასას წინასწარ ალბობდნენ კირში და შემდეგ ამუშა- ვებდნენ. მიღებულ ქალაღს დიდხანს აჩერებდნენ მზეზე⁴⁷.

განსაკუთრებული ინტერესი ფერადი ქალაღისადმი ჩვენში, რო- გორც ჩანს, არ ყოფილა. XV111 საუკუნის ბოლო ხანებიდან გვხვდე-

40 K - 5, 575 v.

41 იქვე, 432 r.

42 ხელნაწ. A - 1582, 602 r.

43 ხელნაწ. - 1324 43r.

44 K - 128, 21 r.

45 ხელნაწ. Q - 39, 260 r.

46 ხელნაწ. S - 271, 320 v.

47 С. А. Фотиев, დასახ. ნაშრ. გვ. 23.

ბა ლურჯი და მწვანე ქალაღი. მანუჩარ ბატონიშვილის საქონლის ნუსხაში ჩამოთვლილ ნივთთა შორის დასახელებულია, ე დასტა რუსული ვარაყის ქალაღი, ა ქალაღი წითელი და მწვანე⁴⁸. ფერადი ქალაღი უმეტესად რუსეთიდან შემოჰქონდათ.

რუსეთში მიღებული იყო ქალაღის შეღებვა სხვადასხვა ფერად. შესაღებად იყენებდნენ ინდიგოს, ყურყუმს, მელნის გუნდას, კაკლის ხის ნახარშს და სხვ. ⁴⁹.

ფერადი ქალაღის დამზადება იცოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. საღებავს ურევდნენ იმ გასახამებელ მასაში, რომელიც ქალაღისათვის მეორეჯერ უნდა წაესვათ. გაერცელებულ საღებავს წარმოადგენდა ზაფრანა⁵⁰. ფერად ქალაღზე დაწერილი ტექსტი ღიდ მხატვრულ ეფექტს ახდენდა. არსებობს ხელნაწერები, რომლებშიაც ერთი და იმავე ფურცლის ორი გვერდი სხვადასხვა ფერადაა შეღებული ⁵¹.

ქალაღს სამხატვრო საღებავები რომ მიეღო, საკმარისი არ ყოფილა ამისათვის მისი ჩვეულებრივი წესით დამუშავება. მას დამატებით სპეციალურად ამუშავებდნენ, რომ სხვადასხვა ქიმიური თვისებების მქონე საღებავები შეეწოვა. ერთი ასეთი წესი მოცემულია ვახტანგ VI-ის ქიმიის წიგნში:

„დაწერა ქალაღზე ერთი მელნით ორი რიგის გამოჩენა: ქალაღის დაწერა, რომ არშია სხვაგვარად გამოჩნდება. მოიტანე რაც ფერი ქალაღი იყოს. ბროწეულის ქერქი, უმარილი, მოადღლე კარგა, რომ დაწმდეს, ქალაღი შიგ ჩადეე—ამოიღე, გააშრე. მერმე მოიტანე უმარილი და ყირმიზი, ლაჟვარდი შამად და სხვა სამხატვრო ფერები. ზაფრანის წყალი, რომელიც ფერად დაწერა გინდეს; სამხატვროს ფერი ის გარიე. არჯასპი წყალი ცოტა დაასხი.“

48 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გამოსცა ნ. ბ. ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1955, გვ. 318.

49 З. В. У ч а с т к и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

50 С. А. Ф о т и е в, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

51 А. И. К а з и е в, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

თუ კალამს არ მოედინოს, წყალი დაასხი. არჯასპი თუ ბევრი გარიე, დასწევავს ქალაღდს, თუ ვარაყით არშია გინდა, უნდა დასაწერად გაღესიღს ვარაყს ცოტა არჯასპის წყალი დაასხა, ისე დასწერო. ეს ფერები, რომ დაგვიწერია, თითო რომელიც ფერი გინდეს, მხატვარს გააკეთებინე, არჯასპის წყალი დაასხი და გაკეთებული იქნება“⁵² აქვე აღწერიღია ქალაღდზე ვარაყის დაკვრის წესები:

„ქ ა ლ ლ ზ ე დ წ ი გ ნ ი ს ნ ა პ ი რ ზ ე დ ს ი გ ა ნ ი ს ა რ შ ი ა ზ ე დ ვ ა რ ა ყ ი ს დ ა კ ვ რ ა ა ს ე უ ნ დ ა: მოიტანე კარგი თეთრი წებო თევზისა და თხლად მოადღდე. მერმე ერთხელ ღრუბლით წაუსვი საღაც ვარაყის დაკვრა გინდეს და გააშრე. ასე, რომ ნოტიო კიდევ ჰქონდეს. მერმე კვერცხის წყალი ორჯელ ღრუბლით წაუსვი და ზედ შეაშრე, რომ ხელის ნებზედ არ ეწებებოდეს და ნოტიო კი ჰქონდეს. ისე ზედ ვარაყი დააფინე და თბიღი თეგი თავისი რიგით გამთბარი წაუსვი და გააგორე. თუ დასაჭირებელი იყოს, დააჭირე. რახან მოთევა გაათაო, მერმე კურღლის ფეხი წაუსვი და გადაბერტყე. და საღაც მეტი ვარაყი არის, ის გარდავა“⁵³.

„ს უ ლ ე რ თ პ ი რ ა დ ვ ა რ ა ყ ი ს დ ა კ ვ რ ა ქ ა ლ ა ლ ზ ე დ გ ი ნ დ ე ს, რომ ოქროს ქალღდი შეიქნას. მოიტანე კვერცხის წყალი და ორჯელ წაუსვი. ზედ შეაშრე. მერმე მესამედ წაუსვი და ზედ ვარაყი დააფინე. თავის ნებზედ გააშრე. მასუკან ეშვით გაღესე და გაელვარდება. ერთს ღოღბანღში გამტკეციღი ნაცარი გამოჰკარ, ის წაუსვი, კარგად დაიწერება“⁵⁴.

მელანღ საწერი საღებავების აღმნიშვნელ ტერმინებად როგორც ქართული, ისე უცხოური სიტყვები გვხვდება.

ივ. ჯავახიშვიღს X-XI საუკუნეების ძეგღებში დაღასტურებულ იქვს „მელანღ“ შავი ფერის მელნის სახელწოდებაღ⁵⁵. იშვიათად,

52 ხელნაწ. S – 3721, 56r.

53 ხელნაწ. S – 3721, 62v.

54 იქვე.

55 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45-46.

გვხვდება „ოქროც“: „თავები დამიტეობია, ო ქ რ ო მ თ ა და ს ვ „56
მელნის ქართულ შესატყვისის წარმოდგენს „შავი“. იგი გვხვდე-
ბა Sin 78-ის მინაწერში, რომელიც ტექსტის განმარტებას წარმოა-
დგენს: „სადა წ ი თ ე ლ ი ზის, ყოველს ნაკი აქუს, და შ ა ვ ს ა
არა აქს ნაკი. . . “57.

მაგრამ „შავი“, ისევე როგორც „წითელი“, ეწოდებოდა არა მარ-
ტო საწერ საღებავს, არამედ სამხატვრო ფერსაც: „და აჩუნა ჩუენ
შორის, მსგავსად ძალისა თვისისა, შემკულებამ ყოვლითა, რომლითა
იცნობების ცხორებამ იგი კეშმარიტი, არა წ ი თ ლ ი თ ა ბრწყინ-
ვალითა, გინა სხვთა წ ა მ ლ ი თ ა, რომელი თანაშეზავიან მას
შუენიერებისათვის ხატისა, და არცა შავითა, რომლითა გ ა მ ო -
ს ა ხ ნ ი ა ნ წ ა რ ბ ნ ი და თ უ ა ლ ნ ი ს ხ უ ა თ ა მათ ფ ე -
რ თ ა თანა. . . “58.

მოტანილი ნაწყვეტი იმასაც უჩვენებს, რომ „წამალი“ საღებავე-
ბის აღმნიშვნელი სახელწოდება ყოფილა. ზოგჯერ, წამალი იხმარე-
ბა მხოლოდ საწერი მელნის მნიშვნელობით: „მრავალ საღმობიერად
მკვდრი ჯოჯოხეთისა, ყოვლად უბადრუკი თადეოზ, და უცბად ჩხრე-
კისათვის ნუ დამწყვეთ, წ ა მ ა ლ ი ზედა დგებოდა და მეტი ვერა
ეკმენ“59.

„წამალი“, როგორც საწერი საღებავის აღმნიშვნელი ტერმინი,
ნაკლებ მოხერხებულია, ვიდრე „წითელი“ და „შავი“, რადგან ეს უკა-
ნასკნელები გამოხატავენ მელნის ერთ მთავარ თვისებას, მის ფერს.
მაგრამ, როგორც ირკვევა, „წამალი“ ყოველგვარ მელანს არ შეიძლე-
ბოდა რქმეოდა. „წამალი“ იყო მხოლოდ გარკვეული წესით დამზადე-
ბული მელანი, ისეთი, რომელიც „ძნელად აიჭოცებოდა“: „ხოლო დღე-

56 ხელნაწ. A—92, 182v.

57 ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის . . . გვ. 102.

58 უძველესი რედაქციები. . . . გვ. 149—150.

59 R.P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bib-
liothèque Patriarcale grecque a Jérusalem, N64. Paris, 1924—26.

სა ერთსა იხილა ბერმან მდგომარენი ლოცვად ჩუენებით და ჰქონდეს
ორთავე მათ ჯელთა ქარტანი დაწერილნი, და დაალტობდეს მათ ცრე-
მლითა მათითა, და ერთისაჲ მის ა დ ვ ი ლ ა დ ა ი ჯ ო ც ე ბ ო -
დ ა, ხოლო მეორისაჲ მის შრომით რაჲ ა ი ჯ ო ც ე ბ ო დ ა, რამეთუ
ჩნდა, ვითარცა წ ა მ ლ ი თ ა დ ა წ ე რ ი ლ ი“⁶⁰.

„იტკიენე და დამდაბლდი, ძმაო, რამეთუ წ ა მ ლ ი თ ა დაწე-
რილ არიან და შრომით აღიჯოცებიან“⁶¹.

იმავე ძეგლის მეორე რედაქციის შესაბამისი ადგილი არკვევს,
თუ როგორ მელანს ეწოდებოდა წამალი: „დაშუერ ძმაო, რამეთუ
შ ე მ გ ბ რ ი თ ა წ ე რ ი ლ ა რ ი ა ნ და ძ ნ ე ლ ა დ ა ლ ი ჯ ო ც ე ბ ო
ა ნ“⁶².

„შემგბარი“ ნიშნავს მოდულებულს⁶³ კერძოდ კი, იგი რქმევია
მელანს, რომლის მოსამზადებლად საჭირო ყოფილა მისი შემცველი
ნივთიერებების ერთად დუღილი. „შემგბარი“ და „წამალი“ ერთნაი-
რი წესით მომზადებული მელნის აღმნიშვნელი ტერმინებია.

წითელი მელნის სახელწოდებად, ი. აბულაძეს, ჩამოთვლილ სახელ-
თა გარდა, დამოწმებული აქვს ბერძნული წარმოშობის ტერმინები
„ზანდუკი“ და „კინაბარი“⁶⁴.

წითელი მელანი იხმარებოდა ხელნაწერის ყოველი ცალკეული ნა-
წილის გამოსაყოფად. წითლით იწერებოდა თავთა სათაურები, მუხ-
ლების დასაწყისი ასოები, საძიებლებისა და ზანდუკის მომეტებული
ნაწილი და სხვ. „წითლის“ ხმარების ასეთ წესს როგორც მხატვრული,
ასევე პრაქტიკული ღირებულება გააჩნდა. განსაკუთრებით მოხერხე-

60 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები,
1, ტექსტი მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო
მ. დ ვ ა ლ მ ა. თბილისი, 1966, გვ. 38.

61 შუა საუკუნეთა ნოველების . . . , გვ. 38.

62 იქვე.

63 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1 წ2, გვ. 458.

64 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

ბული იყო წითელი მელნის გამოყენება ლიტურგიკულ ხელნაწერებში. შავი მელნით დაწერილ ტექსტში გაბნეული წითელი აქცენტები აადვილებდა საჭირო ტექსტის პოვნას. წითელი მელნის ხმარების წესი X-XIII საუკუნეების ხელნაწერებში თითქმის არასოდეს არ ირღვევა.

საქართველოში სხვადასხვა დროს განსხვავებული შედგენილობისა და განსხვავებული წესით დამზადებულ მელანს იყენებდნენ. V-VI საუკუნეების პალიმფსესტური ტექსტების ქიმიურმა დამუშავებამ გამოავლინა, რომ იმ დროს მელნის შემადგენლობაში რკინა შედიოდა⁶⁵. თუ რისგან მზადდებოდა მელანი მომდევნო საუკუნეებში, ჯერჯერობით შეუსწავლელია. მელანთა განსხვავებული ელფერი, ბრწყინვალეობა, ფერის ინტენსიურობა და „აჭოცვის“ მეტ-ნაკლები უნარი გვაფიქრებინებს, რომ ქართველი გადამწერები მელნის საკმაოდ მრავალრიცხოვან რეცეპტურას იცნობდნენ.

ზოგიერთი გადამწერი წუხს მელნის უხარისხობის გამო. ასეთი ჩივილები უფრო ხშირად XVI-XVII საუკუნეებში გვაქვს. გადამწერთა საყვედურები ჩვენ გვებმარება მელნის დადებითი და უარყოფითი თვისებების დადგენაში: „ვაჰ მე, მე ღ ა ნ ი გ ა წ ყ ა ლ და, მომშალა“⁶⁶.

ახალი მელნით წერა არ ყოფილა მიღებული. ახალი მელანი „გავარდებოდა“, ე.ი. მეტისმეტად გაუონავდა ფურცელს: „აქა ა ხ ა ლ ი მ ე ლ ა ნ ი იყო და ა მისთვის გ ა ვ ა რ და“⁶⁷; „(უ უ დ ი მ ე ლ ა ნ ი ქ ა ლ ა ლ დ ს ა უ მ ა ლ შ ი გ გ ა ვ ა რ დ ე ბ ი ს ა) - მ ე ლ ა ნ ი მ ქ რ ქ ა ლ ი, უ ს ა მ ყ ე“⁶⁸, ცუდმან ქალაღმან გაისეა“⁶⁹.

65 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 45.

66 K-5, 95 r.

67 ხელნაწ. S -- 358, 20 r.

68 სამეცი ბალახ. თუთუბო, (როგორც ჩანს, სამეცი მელნის ფერს აძლიერებდა). ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი 1 ყ2, გვ. 44.

69 ხელნაწ. S - 170, 105 r. (ონანა მდივნის გალექსილი ანდერძი).

მელნის გაშლას ფურცლის ზედაპირზე ეწოდებოდა მ ე ლ ნ ი ს
გ ა რ თ ვ ა. მელნის გართვა შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო
არა მარტო მელნის უვარგისობით, არამედ ქალაქის არასაკმარისი
დამუშავებითაც: „წყეულმან ქ ა ლ ა ლ მ ა ნ გ ა ი რ თ ო ლ ა
ქელი წამიჭდინა, უფალნო ჩემნო“ 70.

„წვიმამ დამისველა და გ ა ი რ თ ო, ღმრთისათჳს გევედრები,
წყევას ნუ ჰყოფთ უღირსისა ზაქარიასთვის, უფალნო ჩემნო“ 71.

ეს უკანასკნელი მინაწერი უკვე აკონკრეტებს მელნის „გართ-
ვის“ მიზეზს: ზედმეტ ტენს („წვიმამ დამისველა“) საწერ მასალაში.

ძალზე მცირე ცნობებია მოღწეული მელნის შედგენილობის შე-
სახებზე. ერთი გადამწერის ცნობით, კარგი მელნის მისაღებად საჭი-
რო ყოფილა მასში შეერიათ აჯასფი 72.

„ვინცა ესე ჩემი ნაშრომი წიგნი ნახოთ, ღმრთის გულისათჳს,
ნუ დამწყველით და ნუცა მაგინებთ. მის გულისათჳს, რომ ჯერ
სხვაჲ მართებული წიგნი არაფერი დამიწერია, მერმე ვერც მ ა რ-
თ ე ბ უ ლ ი მ ე ლ ა ნ ი ვიშოვე. სადაც ურიგო ქელი ნახოთ, მელა-
ნის ბრალია, თუ არა მოსწავლე ვიყავე, მაგრამ უკეთესს ქელს ვიჭ-
მოდი. კარგი მელნით რატომ არ წერეო, თუ მიბრძანებთ, ა ჯ ა ს-
ფ ი ვერ ვიშოვე და ამის გულისა კარგი არა იქნა და ნუ გამიწყრე-
ბით“ 73.

მინაწერიანი ხელნაწერი ნაწერია ორფერი მელნით, შავითა და
რუხი ყავისფერით. მინაწერი მოთავსებულია შავი მელნით ნაწერ

70 ხელნაწ. A – 69, 101v

71 იქვე, 59v.

72 აჯასფი ანუ არჯასპი – შავი კვიპაროსი, სომხ. *արջասպ*. მი-
სი ხმარება შავი მელნის მისაღებად გავრცელებული იყო
საშუალო საუკუნეების ევროპისა და აზიის ქვეყნებში. იხ.
E. M. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

73 ხელნაწ. S – 269, 320 v.

ნაწილში. მელანი აქ ოდნავ გაშლილია ქაღალდზე, ასოთა მოხაზულობას აკლია სიმკვეთრე. მელნის ფერს — ინტენსიურობა.

შავი მელნის დამზადების რეცეპტს შეიცავს XIX საუკუნის ხელნაწერი „ავალიშვილის დავთარი“ (H — 1103). ხელნაწერი გვიანდელია, თვით რეცეპტი, შესაძლებელია, ძველად გავრცელებულ წესს ასახავდეს:

„ნახევარი გირვანქა გუნდა⁷⁴, ათი მისხალი კამედი, ნახევარი გირვანქა შავი კუპარისი (იქვე ახსნილია: კამედი — ხის წებო, კუპარისი — არჯასპი, ანუ ძაღა). ესენი ერთად დაინაყოს წმინდად, ანუ ცალ-ცალკე და მასუკან ერთმანეთში აურიონ. შემდგომად ორ წილად გაწყლან და ორს შტოფში ჩაჰყარონ. ნახევარი შტოფი უბრალო არაყი, ანუ ვინო, შუა გაიყოს და მათ შტოფთა შინა შთაისხას. ესრეთვე საში ბუტილკა პივა, ერთნახევარი ერთს შტოფსა და ერთნახევარი მეორეს შტოფსავე შინა შთაისხას და ორს სამს დღესა დღეში ერთზელ ანუ ორჯელ გაანჯღრიონ“⁷⁵.

ვახტანგ VI „ქიმიის წიგნში“ შეტანილია სინგურის დამზადების ორი რეცეპტი.

1. „მოიტანე ორი თიხის ფიალა, შიგნიდამ ქაშთ გამოვლებული და რაერთიც გინდოდეს გოგირდი დანაყე გარდაუხალისებელი მადანისა. შიგ ფინთფუნთს ნურას შეატან. და ამ გოგირდს ამისი წონისა ერთი წონა ვერცხლის წყალი, გოგირდი რა გადნეს, ვერცხლის წყალი იმ ფიალაში ჩაყარე და ასე ჰქენ, რომ ის გოგირდი მოციო რომ შეიქმნას, მაშინ ჩადეე ვერცხლის წყალი. ჯოხით კარგად გაურივე, ვერცხლის წყალი გოგირდში არა ჩნდეს. მერმე მეორე ფიალა ზედ დაამხეე და გილიაქმათი დაიკირე. მზეს გაუდგი, გახმეს. მერმე ნახშირი გააღვივე და ეს ფიალა შიგ ჩადგი, რომ კარგად შიგ დაიმალოს. კარ

74 გუნდა — ირან. *Callae turcicae*, თხილივით არის. ხისგან — *Quercus Lusitanica* Lam. იხ. „წიგნი სააქიმოჲ.“ ტექსტი გამოცემა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კ. ო. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. მ. ა. ტფილისი, 1936, გვ. 306.

75 ხელნაწ. H — 1103, 85 v.

გა ხანს ცეცხლში იყოს. მერმე გააცივე. გახსენ, თუ სინგური გაკე-
თებულა, ხომ შეინახე, თვარამ, როგორც დამიწერია, ისე ცეცხლით
სწვი სანამდინ, რომ სინგური შეიქნას“⁷⁶.

2. „მოიტანე რაერთიც გინდეს ვერცხლის წყალი. იმის წონის გო-
გირდში ლესე, რომ აღარა ჩნდეს. მერმე ორი წონა ზალი ერთი წონა
მარილი, ორივე კარგად დამწვარი დანაყუ და იმ ვერცხლის წყლისა
და გოგირდისა ეს ჰქენ წონა და ერთმანეთში გალესე. მინაში თუ
ფიალაში ჩაყარე, ცეცხლი მიეც მანამდინ ზეით ამოვიდეს. რა ამო-
ვიდეს, ნამწვი წამალი ასწონე. რასაც დაჰკლებოდეს, თავის პირვე-
ლის წონა არჯასპი და მარილი გაურივე. ამოსული სინგური და ის
კიდევ ერთმანეთში გაურივე, გალესე. კიდევ თასყიდი⁷⁷ ჰქენ. თუ
კაი სინგური იყოს, ის არის, თუ არა და მანამდის ეს ჰქენ, კარგი
შეიქნას“⁷⁸.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 1846 წლის ნუსხის (S - 458) ყდა-
ზე აღმოჩნდა აგრეთვე წითელი მელნის რეცეპტი:

„ყიზირბოია⁷⁹ და სიჯიმფირა და ხის წებორწყალაი (ხის წებო)
ცხელი წყლით მოზილე და წვენი დაასხი საკმაო“. . .

აღმოსავლეთის ქვეყნებში, ქალაღის კუსტარული წარმოების
ღროს, ქალაღის ეკონომიკის მიზნით ცდილობდნენ ადვილად „ასაჯო-
ცი“ მელნის რეცეპტურა შეემუშავებინათ. მცდარი ადგილის ასადე-
ბად საკმარისი იყო წყალში დასველებული ღრუბელი. ღრუბლის წას-
მის შემდეგ მელანგადაცლილ ადგილს ხელახლა ახამებდნენ და ლესავ-
დნენ⁸⁰. საქართველოში მიღებული ყოფილა გასასწორებელი ადგი-
ლის ამოფხეკა. ამოფხეკილ ადგილს უსვამდნენ სანდალოზს ანუ სან-
დრაკს⁸¹.

76 ხელნაწ. S - 3721 16v.

77 თასყიდი - არაბ. - სპარსული تصيد მსუბუქი, აქროლადი.

78 ხელნაწ. S - 3721 16v.

79 ყიზილ ბოია - თურქ. Kizil boya წითელი საღებავი.

80 A. I. К а з и е в, დასახ. ნაშრ. გვ. 17.

81 სანდრაკი-ბერძნ. σαφρακη წითელი გოგირდოვანი დარიშხანი.

„წიგნზედ რომ ასო ამოუხიკონ, ზედ სანდრაკი, რომელ არს სანდალოზი, დანაყილი თუ დაფხეკილი წაუსვი, ზედ წმიდად დაიწერება და არ გაეარდება“⁸².

კალამი. საწერი იარაღის უქველესი ქართული სახელწოდებაა „საწერელი“. იგი გვხვდება ესაიას წიგნში: „მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა. . . და დაწერე მას ზედა ს ა წ ე რ ე ლ ი თ ე“⁸³. ბერძნულში საწერელის შესატყვისია γράφειν, სომხურში — գրիչ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ რადგან ბერძნულა γράφειν უმთავრესად ცვილოან ტაბულებზე საწერ იარაღს ნიშნავდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენოქოს წმიდა ნინოს ცხოვრების შატბერდისეული ხელნაწერის გამოთქმას „აღსაწერელი წიგნისანი“. „ჯერ კიდევ გამოსარკვევია, აღნიშნავს მკვლევარი, იქაც ცვილოანი საწერი მასალა არა აქვს ავტორს ნაგულისხმევი“⁸⁴

ხელმეორედ დავუბრუნდეთ დამოწმებულ ნაწყვეტს ბიბლიიდან. „საწერელი“ კონტექსტის მიხედვით ეწოდება იმ საწერ იარაღს, რომლითაც წერენ არა ცვილოან ტაბულაზე, არამედ ქარტაზე (ე.ი.პაპირუსზე): και εἶπε Κύριος, πρὸς μὲ λάρβει σεαυτῷ τῆμαυ χάρτου καινοῦ ἕγγαλου, και γράψουσ ἐἰς αὐτὸν γ ρ α φ ἰ ἑ ἰ ἄσμηρῆπου...⁸⁵

ბერძნული γράφειν (ლათ. stilus) თავდაპირველად რომელიმე მეტალის ან ძვლისაგან გაკეთებული იარაღი იყო. მისი სიმკვრე და ფორმა შეესაბამებოდა ცვილოან ტაბულებზე წერის პროცესს. მაგრამ პაპირუსის გავრცელების შემდეგ ბერძნები უკვე იყენებდნენ ლერწამს καλαμῶς, δόσιον ან ახალ, მცენარეულ კალამს ძველი საწერი იარაღის სახელიც შემორჩა, თუმცა მისგან არსებითად განსხვავდებოდა. ბერძნულ წყაროებში ლერწმის კალმის სახელად დამოწმებულია აგრეთვე γράφειν, σχοῖνας.⁸⁵

82 ხელნაწ. S — 3721, 57 რ.

83 ესაია, 64, ა.

84 ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

85 E. M. T h o m p s o n, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

სომხური ფიქ ნიშნავს საერთოდ კალამს, მას არა აქვს აუცილებლად მაგარი საწერი იარაღის (რკინის ძვლის γράφειν) მნიშვნელობა. ამრიგად, ქართული „საწერელი“ ბიბლიის დამოწმებულ ტექსტში უნდა ნიშნავდეს ლერწმის კალამს, რადგან იქვე საწერ მასალად მოხსენებულია პაპირუსი.

ტერმინი კალამი X ს—დან გვხვდება⁸⁶ და საერთოდ იგი ხდება საწერი იარაღის აღმნიშვნელი გაბატონებული ტერმინი. „საწერელი“ ამიერიდან ჰქვია არა კალამს, არამედ მთელ საწერ მოწყობილობას. „და გამოუჩნდეს სამნი ანგელოზნი ღმრთისანი წმიდასა სვეთონს და დადგეს გარემოს მისსა. და აქუნდა თითოეულსა საწერელი ბრწყინვალე ვითარცა ოქროჲ ჰელთა მათთა“⁸⁷.

ბერძნულ დედანშია: Καὶ ᾤφθησαν τρεῖς ἄγγελοι Κυρίου, εἷς ἕκ δεξιῶν καὶ ἄλλος ἕξ εὐάσπῃων καὶ ὁ τρίτος ὀπίσω. Συμέων ἰστάμενοι καὶ κατέχοντες κ α λ α μ ἄ ρ ι α χρυσσαυγάζοντα καὶ ἕκαστον τῶν μελλόντων λαμβάνειν τῆς ἰασιῦν ἑργασθον τοῦ ἁγίου λέγοντος ἄς ἐν σωματίῳ λευκῷ . . .⁸⁸

Καλαμῆριον ნიშნავს საკალმეს, სამელნეს. „საწერელს“ მთელი საწერი მოწყობილობის მნიშვნელობით განმარტავს სულხან—საბა ორბელიანი⁸⁹. ივ. ჯავახიშვილს ამ მნიშვნელობითა აქვს დადასტურებული ეს სიტყვა XVI I—XVI II საუკუნეების მზითვის წიგნში⁹⁰. ამ საუკუნეებში „საწერელი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება: „აქ საწერელი წამექცა და წამიშალა. . .“⁹¹, „საწერელი გაწყობილი, კარგი“⁹², „საწერელი თაგებით და მაკრატლით“⁹³, „ჩი-

86 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

87 სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, კიმენი 1, გვ. 237.

88 La vie ancienne de S. Syméon Stylite. . ., გვ. 39.

89 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ. 132, გვ. 71.

90 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

91 ხელნაწ. A—63, 100v.

92 მანუჩარ თუმანიშვილის საქონლის ნუსხა, წიგნში: მასალები საქარაკელოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 318.

93 იქვე.

ნური ს ა წ ე რ ე ლ ი“⁹⁴, „ქაშანურის ს ა წ ე რ ე ლ ი“⁹⁵, „ესპაანის ს ა წ ე რ ე ლ ი“⁹⁶ და სხვ.

XVI—XVII საუკუნეებში, ძალზე გავრცელებულია ფრთის კალამი. რუსთაველის ეპოქაში კი ჯერ კიდევ ლერწმის კალამს იყენებდნენ („მელნად ვიხმაზე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“), ზუსტად როდის და რა მიზეზების გამო შეენაცვლა ფრთის კალამი ლერწმის კალამს, არ არის ცნობილი.

X საუკუნის ერთ-ერთ ნათარგმნ ძეგლში გვხვდება „კალამი რკინისა“⁹⁷, მაგრამ ეს ერთი მოწმობა, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ჩვენში რკინის კალმების გავრცელებულობის დასადასტურებლად მოცემულ ეპოქაში. გვიანდელ ხანაში კი რკინის კალმებს საქართველოში ხმარობდნენ. ივ. ჯავახიშვილს XVI საუკუნის 1 ნახევრის დოკუმენტში დამოწმებული აქვს გამოთქმა „კალამნი ფოლადისანი“⁹⁸.

კალმის დაბოლოებას ეწოდებოდა „კალმის წვერი“. „ეაჲ მე ძმაჲ ნო, კალმის წვერს ბეწვი მოჰყუა და მან წაშალა, ნუ დამგმობთ“⁹⁹.

კალმის წვერის წათლას ერქვა „კალმის გამოქრა“. „მოაქსენეთ, რომელ ერთის გა მო ქ რ ი ლ ი ს კ ა ლ მ ი თ დ ა მ ი წ ე რ ი ა, რომ არ გამომიცვლია კალამი და ჩვენდა შემდგომად ვინც ასე მწერლობა ეცადენოს, საქებელ იყავნ“¹⁰⁰; „ეს ორი კარი ყარამანიანი ერთის გა მო ქ რ ი ლ ი ს კ ა ლ მ ი თ არის დაწერილი ქელითა იოსებისათა“¹⁰¹.

94 იქვე, უცნობი პირის ქონების ნუსხა, გვ. 495.

95 იქვე.

96 იქვე, ელისაბედ თუმანიშვილის მზითვის წიგნი, გვ. 399.

97 მამათა სწავლანი, გვ. 130.

98 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

99 ხელნაწ. A-1517, 24 v.

100 ხელნაწ. II-2239, 186v.

101 ხელნაწ. Q-759, 53 r.

კალმის გამოქრაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ნაწერის გარეგნული მხარე. ყოველი განსხვავებული კალიგრაფიული სტილი სათანადოდ გამოჰკრილ კალამს მოითხოვდა. წერილი, გაკრული ხელისათვის იყენებდნენ „ნოტრის კალამს“¹⁰². ნოტრი (სომხ. նոտր) ეწოდება წერილ ნაწერს.

ასოთა განსხვავებული „დანაკუთება“ ესაპიროებოდა ხუცურსა და მხედრულ ხელს: „არა ოდეს აღმიწერიეს ხუცურის წერით წიგნი რომელიმე მიზეზითა. მიზეზითა ამით, რომელნიცა არა ეუწყოდნი ხუცურთა კალამთა და ასოთა გამოცდილებით დანაკუთება და ამისთვის ნუ მყოფთ უმაღლოებასა ქუცმდებარე უმესაბამოთა ასოთა ნაკუთთათვის“¹⁰³.

ხუცურის ასოთა ნაკეთების გამოსაყვანად გადამწერს უნდა ეხმარა ხუცურის კალამი (ან ნუსხურის კალამი). XVI 11 საუკუნის ბოლო წლების სახელგანთქმული კალიგრაფი გიორგი ჩაჩიკაშვილი უჩივის ნუსხურის კალამს: „მღურვა ვყავ ნუსხკალამთაო“¹⁰⁴.

ასევე თავისი კალამი ესაპიროებოდა მხედრულს: „ღმერთოჲ შეიწყალე ოდვილი ბერი, უღირსი თეოდოსი, ამენ, მკედრულის კალამით“¹⁰⁵.

განსხვავებას „ხუცურისა“ და „მხედრულის“ კალმებს შორის ქმნიდა კალამთა სხვადასხვაგვარი გამოქრა. ნუსხურის კალმის წვერი თხლად და ოდნავ განივრად უნდა გამოჰკრილიყო, რათა ასოების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ნაკეთებს შორის მკვეთრი განსხვავება ყოფილიყო ხაზების სისქე-სიწვრილის მხრივ.

რაც შეეხება „მხედრულის კალამს“, მისი წვერი არ უნდა ყოფილიყო ძალიან განიერი.

102 ხელნაწ. S – 1187, 64r.

103 ხელნაწ. S – 1148, 83v.

104 ხელნაწ. H – 2697, 2 r.

105 ხელნაწ. H – 1349, 94r.

კალმებს ინახავდნენ „საკალმეში“. „ს ა კ ა ლ მ ე მ ა რ ა ნ ს ა შ ი-
 ნა ჩამივიარდა და კ ა ლ მ ე ბ ი შ ე მ ე შ ა ლ ა, წ ვ ე რ ი დაიღეწა“¹⁰⁶
 ერთმანეთში არ შეიძლებოდა შეერიათ სხვადასხვა ფერის მელან-
 თათვის განკუთვნილი კალმები. ცალკე ჰქონდათ „სასინგურე კალამი“
 „აქა ს ა ს ი ნ გ უ რ ე ს ა კ ა ლ მ ს ა წ უ ც რ ი მ ო მ ი ლ ე წ ე ს, კ რ უ მ ც ა.“¹⁰⁷
 კალმის გამოჭრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ არაბი და
 სპარსი კალიგრაფები. მათ მიერ შემუშავებული წერის ექვსი სტი-
 ლი სრულიად სხვადასხვაგვარად გამოჭრილ კალმებს მოითხოვდა.
 კალმების გამოჭრის შესახებ ისინი მრავალ მითითებას იძლევიან კა-
 ლიგრაფთა სახელმძღვანელოდ შექმნილ საეტიკურ ტრაქტატებში.¹⁰⁸

„კალმის წვერი“ უნდა ყოფილიყო რბილი, დამყოლი, საშუალო
 სიგრძის.¹⁰⁹

კალმის მოსმას „კალმის მოვლება“ ან „მოქცევა“ ეწოდებოდა.
 ხოლო ასოს დაწერას — „ასოს დასმა“. „იტყოდეს მამისა სილოვანე-
 სთვს . . . სადა არიან მამანი სხუანი იგი ძმათანი? და შევიდა სენა-
 კად მისა და მონახა .ქელთსაქმარი მისი. და პოვა რომელ ონსა დაე-
 წყო, რაჲთამცა დ ა ს უ ა, და არღარა მ ო ა ე ლ ო კ ა ლ ა მ ი“¹¹⁰
 „არღარა მ ო ე ქ ც ი ა კ ა ლ ა მ ი განსრულებად მისა“¹¹¹.

106 ხელნაწ. H — 2820, 60 გ.

107 K — 596, 257 გ.

108 К а з и — А х м е д, Тракта́т о каллигра́фах и художниках,
 Л., 1956, გვ. 116.

109 А. Я. К а з и е в, დასახ. ნაშრ., გვ. 91–92.

110 ხელნაწ. A — 1105, 326 გ.

111 შუა საუკუნეთა ნოველების . . . , გვ. 157.

წიგნი და მისი შედგენილობა

წიგნი. სიტყვა „წიგნი“ არაქართული წარმოშობისაა. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *σῆμα*, რომელიც ბერძნულში ლათინურიდან ყოფილა შესული¹. *σῆμα*, როგორც პალეოგრაფიული ტერმინი, ეწოდებოდა ყოველგვარ გრაფიკულ ნიშანს, რომელსაც მინიკებული ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა². კერძოდ, *σῆμα* აღნიშნავდა ასოსაც.³ ქართული წიგნიც თავდაპირველად ეწოდებოდა ასოს (ბერძ. *γράφμα*). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით აქვს იგი დამოწმებული კ.კ.ე.კ.ელიძეს პავლე მოციქულის ეპისტოლეებში (რომ. I 1, 29, III, 62, კორინ. I 11, 6, 7)⁴ „შერე კი ეს სახელი დარქმევია იმასაც, რასაც ბერძნები *βιβλίον* და *ἐπιστολή* –ს ეძახდნენ“⁵.

ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „წიგნი“ ეწოდებოდა ხელნაწერს, დანიშნულებისა და შინაარსისდა მიუხედავად⁶ თუ კი ხელნაწერი ერთ ნაწარმოებს შეიცავდა, წიგნის ცნება ემთხვეოდა ხელნაწერის ცნებას: „მოილო წიგნი იგი შჯულისათ“⁷ (ბერძ. τὸ βιβλίον). ასევე, წიგნს შეეძლო აღენიშნა სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებული: „და დაიწერის სახელი შენი წიგნსა მას ცხოველთა -

1 კ.კ.ე.კ.ელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, მნათობი, 1929, № 6, გვ. 157.

2 A. Bataille, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

3 იქვე.

4 კ.კ.ე.კ.ელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

5 იქვე.

6 ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

7 გამოსლვათა, თავი კდ, ზ.

ს ა⁸. ამ შემთხვევაში წიგნის ბერძნული შესატყვისია βίβλος: και ἐντέτακται σοι τὸ βίβλος ἐν βίβλω ζαῖς⁹.

ხშირია „წიგნის“ ხმარება თანამედროვე წერილის მნიშვნელობით: „და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა, ცნა ყოველი“¹⁰.

წიგნის გადაშლას ეწოდება „წიგნის განყოფა“, დახურვას – „წიგნის შეყოფა“: „და მოვითხოვე მამასახლისისაგან წიგნი მამათაჲ . . . და ვითარცა განვყავ კითხვად, ვპოვე მე თავი ესე . . . ვითარ წარვიკითხე თავი ესე, მუნთქუესვე შევყავ წიგნი იგი და ვარქუ თავსა ჩემსა . . .“¹¹

განყოფა – შეყოფა ზმნის ბერძნული შესატყვისია ἀναπτύσσω ან πτύσσω: και παρὰ τοῦ βββᾶ τῆς λουῖρας ἔλαβον βιβλίον γεροντικόν και αὐτῆ τῆ ἡμέρᾳ ἔλαβον ἀναγνῶνται. και εὖρον ἑμὰ τῶ ἀναπτύξαι τὸ κεφάλαιον τοῦτο, ἀδελφὸς παρέβαλεν γέροντι, και λέγει ὁ ἀδελφός. . .

Ὡς οὖν ἀνέγνων ἐγὼ τοῦτο, ἔπτυσξα τὸ βιβλίον, και λέγω ἔμαστω Οὐαί, σοί, εἰρηναίε¹².

წიგნი ერქვა აგრეთვე იურიდიულ დოკუმენტს. ამის გამო, ივ.ჯავახიშვილის აზრით, წიგნს თავდაპირველად გრაგნილის ფორმა უნდა ჰქონოდა¹³. მაგრამ ტერმინ წიგნის თავდაპირველი შინაარსი არ შეიძლება მინიშნებას ხელნაწერის რაიმე ფორმაზე. ამიტომ არც გრაგნილი იქნებოდა მისი თავდაპირველი, უძველესი ფორმა. წიგნი შეიძლებოდა ყოფილიყო ქვაზე შესრულებული დოკუმენტიც: „გამოვიდეს იგინი მიერ კილობნით და განიყვენეს ტომად – ტომად ნათესავნი იგი ქაშისანი და პოვენეს ფიცარნი იგი ქვისანი და შექმნეს

8 სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, კიმენი 1, გვ. 234.

9 La vie ancienne de S.Syméon Stylite . . . , გვ. 35.

10 ძეგლები 1, გვ. 261.

11 იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 28.

12 Migne P. G t. 87, გვ. 2909.

13 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

იგინი წიგნად¹⁴.

სხვა შემთხვევაში წიგნის ფორმა შეიძლება დამთხვეოდა კოდექსის, ანუ რვეულის ფორმის ხელნაწერს: „იხილა მეფემან კაცი—მღვთმარტ მის წინაშე და ჰელთა მისთა აქუნდა წიგნი და წერილი და იკითხვიდა მის შინა. და გარდაყარა ხუთი ოდენ ფურცელი და აღმოიკითხა სახელი მეფისაჲ...“¹⁵

ეს მაგალითი სარტერესთა იმით, რომ წიგნი ნახმარია ბერძნული κώδικος — ის შესატყვისად: θεαρεῖ κατὰ τοὺς ὑπνοὺς ὁ αὐτὸς βασιλεὺς Ἀναστασιος ἄνδρα τινα τέλειόν λευχεῖμονα ἐξ ἄναστίας αὐτοῦ ἔστῳα, βασιλεύοντα κώδικα, γεγραμμένον, καὶ ἄναγνώσκοντα. Καὶ ἀναπαύξας πέντε φύλλα τοῦ κώδικου καὶ ἄναγνους τοῦ βασιλέως τὸ ὄνομα εἶπεν αὐτῷ.¹⁶

ამრიგად, „წიგნი“ თავდპირველად ნიშნავდა ანბანის ნიშანს, ასოს, შემდეგ კი ყოველგვარი შინაარსის წერილობით ძეგლს, განურჩევლად მისი მასაღისა და ფორმისა.

ფურცელი. გრძობილი შეიტავდა კეფებს,¹⁷ ხოლო რვეული „ფურცლებს“. ფურცელი ცნობილია X საუკუნის ხელნაწერებიდან: „ფურცელსა მას წერილისასა ჰურიანი თარგმანებენ და ნაყოფსა მას სულისასა წარმართნი მოისტულიან“¹⁸

ფურცელი შეიტავდა ორ გვერდს: „... ესე თქუმული (იგულისხმება თველორეს ღამისთევის ამბავი), წინაჲთ მეორესა ფურცელსა შინა ჰჳოო და შემინდვეთ და ლოცვა ყავთ, ამენ“. ეს მითითება მოთავსებულია Sin-6-ის 223r-ზე. ორი ფურცლის შემდეგ, 225r-ზე იწყება მითითებული ტექსტი.

14 პანსოფი ალექსანდრიელის ცხოვრება, კიმენი 1, გვ. 50.

15 იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 17.

16 Migne, P.G t 87, გვ. 2889.

17 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

18 ათანასე ალექსანდრიელი, განკაცებისათვის უფლისა, ენიმკი, XIY, 1944, გვ. 283.

ფურცლის გადაშლას ეწოდება „ფურცლის გარდაყრა“, „გარდათოლება“ ან „ქცევა“: „ ნუ ისწრაფი ფურცელთა გ ა რ დ ა ყ რ ა ს ა და გ ა რ დ ა თ უ ა ლ ვ ა ს ა ოდენ, არამედ უკუე ჰპოვო რომელიმე სიტყუათაგანი და ვერ გულის ქმაჰყო, ნუ გკონინ მეორედ და მესამედ და უფროჲს მისა ქ ც ე ვ ა დ და კუალად წარკითხვად . . .“¹⁹

„გარდაყრას“ შეესატყვისება ბერძნული ἀσπλυσσῶσα, ხოლო ფურცელს – φῦλλον, . . . გ ა რ დ ა ყ ა რ ა ხუთი ოდენ ფურცელი“²⁰
καὶ ἄσπασσῶσα πάντα φύλλα τοῦ κειμένου . . .²¹

ბერძნულად რვეულის ფურცელს ეწოდებოდა აგრეთვე χαρτίον.²²

კერძოჲ.²³ „კერძოჲ“ საერთოდ მხარეს ერქვა და გამოიყენებოდა ფურცლის ცალი მხარის, გვერდის აღსანიშნავადაც. ეს ტერმინი გვერდს აღნიშნავდა განურჩევლად იმისა, თუ რა მასალისაგან იყო დამზადებული წიგნი, ან რა ფორმისა იყო ის.

ბიბლიაში იგი ქვის კოდექსის ნაწერ მხარეს ნიშნავს: „მოიქცა მოსე და გარდამოვიდოდა მიერ მთით და ორნი იგი ფიცარნი წამებისანი ქელთა მისთა, ფიცარნი ქვისანი, რომელნი წერილ იყუნეს ო რ კ ე რ ძ ო ვ ე ამიერ და იმიერ იყო დაწერილი და ფიცარნი იგი ქმნულნი ლუთისანი იყუნეს“²⁴

ბერძნულში მას შეესაბამება μέρις „სომხურში – կրկն, ორივე სიტყვა ნიშნავს მხარეს, ნაწილს, განყოფილებას.

19 მამათა სწავლანი, გვ. 21.

20 იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 17.

21 Migne, P.G t.87, გვ. 2889.

22 E. M. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

23 მ. ანდრონიკაშვილი სიტყვა კერძოს ეტიმოლოგიურად უკავშირებს kær dum-ს: ქრა, მხარე, ნახევარი, წილი, ხვედრი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 92-93.

24 გამოსლვათა, თავი ლბ. ივ,

„კერძო“ აღნიშნავს გრაგნილის გვერდს: „და ღამესა შინა ერთ-სა განვიდა გარე წმიდამ იგი ბერი სენაკით თვისით და იხილნა ანგელოზნი ზეცით გარდამოსრულნი, და ერთისა მათგანისა ჳელთა ტომარი დიდი დაწერილი ორკერძოთვე“²⁵.

ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში: „ხოლო მომეჴსენა მე, უღირსსა ამას, ჳარტამ იგი დედაკაცისამ მის, რომელი—იგი შთამედვა ფარაგსა შინა წმიდისასა, და ვარჴე ვისმე, ერთსა მღდელთაგანსა, აღმოღებად და განხილვად, ხოლო მან აღმო—რამ—ილო, იხილა, რამეთუ ბეჴედი ეგრეთვე იყო. ხოლო გულმან უთჴუა, რამთა მცირედ შთაიხედნეს კიდესა წიგნისასა და უკუ მო—რამ—ჳეცა კერძო წიგნისამ, ეჴა საკვრველი და ამის ეამისა კაცთაგან ყოლად ურწმუნოა, იხილა, რამეთუ აჴოცილ იყო“²⁶

დიპტიქონი. დიპტიქონი ბერძნული სიტყვაა. δίπτυχον ეწოდებოდა ორი კარისაგან შემდგარ ცვილოან ტაბულას, რომელსაც საწრად იყენებდნენ. ცვილოანი ტაბულა შეიძლებოდა ყოფილიყო სამკარედი (triptycha) და მრავალკარედი (polyptycha).²⁷

დიპტიქონის ჳართული შესატყვისი არ არსებობს, რადგან საქართველოში არ ყოფილა მიღებული ცვილოანი დაფების ხმარება. დიპტიქონი გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ისიც ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლში: „ვითარცა ესმა ესე ცოლსა მას თეოგნოსტისსა, რამეთუ მიელო მას ყურ იგი, მაშინ დაწერა მან დიპტიქონსა და მიუძღუნა იოვანეს, რამეთუ იოვანე უყუარდა ფრიად მეფესა და მეფისასა“²⁸

25 G. Garritte, Vies georgiennes de S. Syméon Stylite. . . , გვ. 90.

26 ძეგლები, 11, თბილისი, 1967, გვ. 200–201.

27 V. Gardthausen, Griechische Palaeographie, I, p. 1879 გვ. 26.

28 პოლობიოს ეპისკოპოსი, ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება, წიგნში: საკითხავი წიგნი ძველ ჳართულ ენაში 11, გვ. 36.

ბერძნულშია: Ἐκοίσασα δὴ ἡ γυνηθεογνώστου, ὅτι ἄπεσπάρθη
ὁ ἀγρὸς αὐτῆς ἕγραψεν εἰς δ ἰ π τ υ χ ο υ καὶ ἀπέστειλεν πρὸς Ἰωά-
ννην²⁹.

პატრიარქი გვერდის ნაწილების აღმნიშვნელ რამდენიმე ტერმინს
შეიცავს ეფრემ მცირის თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამო-
ცემაჲს შესავალი: „ . . . ჩემი ესე კადრებული და მოზრახული, არა
ხოლო შესლვასა ამის ვიტყვ, არამედ კ ი დ ე თ ა წ ა რ წ ე რ ი ლ -
ს ა თარგმანთაჲსა, რომელთაგანნი რომელნიმე ზეპირით დაწერილ-
ნია და რომელნიმე დედისაგან. და ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვი-
ნაჲ თჳან ყოველსა თარგმანსა უქმს შემატეზაჲ სიტყვსაჲ რეცა გან-
მაცხადებულად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა უნარჩევებსა,
მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მოცემული იგი ჩემდა თარგმა-
ნობისაჲ ბერი ჩუენი ამას მიბრძანებდას, რათა წმიდისა სიტყუაჲ
მარტივად და შეუზავებლად და შეუხებლად ვსთარგმნო, და უკეთუ
რაჲმე ძალისა განმაცხადებელი უქმდეს ჩუენსა ენასა, იგი კ ი -
დ ე ს ა ზედა ადგილ—ადგილ და შ ე ს ა ვ ა ლ ს ა შინა, თ ა ვ ს ა
წ ი გ ნ ი ს ა ს ა, დაეწერო. ამისთვისა ყოვლად უჯერო არს ვისგან-
მე კ ი დ ე ს ა წ ა რ წ ე რ ი ლ ი ს ა მის თარგმანისაჲ შიგან
გარევით დაწერაჲ, არამედ კ ი დ ე ს ა წ ა რ წ ე რ ა მ ვითარცა
ვისწავლეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა, თეოდორე პატრიარ-
ქისა მიერ სკმეონწმიდას შეწირულთა, რომელთა შინა არა რაჲ
პრთავს საგალობელი, თქნიერ ყოველნივე საკითხავნი არიან გარეშე-
ნი და საეკლესიონი და საპიროჲსა სიტყვსა თარგმანი პ ა ტ რ ი ვ თ ა
ზ ე დ ა წ ი გ ნ ი ს ა თ ა უწერია. ხოლო შეისწავენი და განსაზღ-
ვრებაჲ განჩინებითურა და სამეცნიეროჲ ესე, არა ოდენ ამას წიგ-
ნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძნულთა უწერიან კ ი დ ე ს ა,
რათა, რაჲამს სამეცნიეროსა რასამე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვი-
ლად პოვოს და არა უქმდეს მიმყოფრებული ჟამი, ანუ ყოვლისავე გარ-

29 Migne, P.G. t. 41, გვ. 101.

დაკითხვამ „30.

ივ. ჯავახიშვილს განმარტებული აქვს, რომ „კიდე“ ძირითადი ტექსტის შემომსაზღვრელ დაუწერელ ზოლებს ეწოდებოდა, ხოლო კიდევებზე მიწერილ ტექსტს „კიდეთა წარწერილი“ ერქვა.³¹

ეფრემ მცირეს გარკვევითა აქვს განსაზღვრული კიდეების გამოყენების წესები მთარგმნელის თუ გადამწერების მიერ. ძირითადი ტექსტი „მარტივად და შეუხებლად“ უნდა დაეტოვებინა მწერალს, ხოლო თუ მას რაიმე ადგილის განმარტების სურვილი გაუჩნდებოდა, საკუთარი ნააზრევი კიდეზე უნდა მიეწერა. არავითარ შემხვევაში არ შეიძლებოდა „კიდეცა წარწერილის“ შერევა ძირითად ტექსტთან. ასევე კიდეზე უნდა დაწერილიყო „შეისწავეები“ და „განსაზღვრებები“.

ეფრემ მცირე ხმარობს აგრეთვე ტერმინს „პატივი“. ივ. ჯავახიშვილს პატივი ესმის, როგორც ქარაგმის ნიშნის აღმნიშვნელი სიტყვა³². პატივი გვხვდება აგრეთვე „ვანის სახარების“ ანდერძშიც: „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა ჰპოო, ეგრე დაწერეთ წენტილთა და პ ა ტ ი ვ თ ა ზედა მეორითა სიტყვთა, რომელ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“³³ ამ ანდერძს ყურადღება მიაქცია თ. ზაქოვიამ. მან ხელნაწერზე უშუალო დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ პატივი ნიშნავს აშიას, კიდეც (კერძოდ, გვერდის ზედა და ქვედა კიდეებს) და რომ ამ მნიშვნელობით ესმის იგი ეფრემ მცირესაც³⁴.

„პატივი“ გვიანი ხანის ხელნაწერებში იშვიათად გვხვდება: „... ეს ქალაღლი მისთვს დაგაგდე, დედას ასრე სჭირდა და თვენის

30 ხელნაწ. A-24, 3r.

31 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

32 იქვე, გვ. 138.

33 ხელნაწ. A-1 335, 266v.

34 თ. ხ ა ე ო მ ი ა, ტერმინი „პატივის“ გამო ქართულ პალეოგრაფიაში, მიმომხილველი 111, 1953, გვ. 225.

დასაწყისის პ ა ტ ი ვ ი არს.“³⁵

ხელნაწერში ამ წარწერას მოსდევს სრულიად დაუწერელი გვერდნახევარი. ასე, რომ „პატივი“, ამ შემთხვევაში, ნიშნავს არა მხოლოდ კიდეს, არამედ საერთოდ დაუწერელ, თავისუფალ ადგილს.

მ. ივ. ივ. ივ. ეს ტერმინი გვხვდება ხელნაწერ Q-50-ის ანდერძში. ხელნაწერი წარმოადგენს არსენ ვაჩეხიძის დოგმატიკონს, გადაწერილს 1771 წელს. ხელნაწერის 1r-ზე მოთავსებულია ანდერძი: „ყოველთა გვედრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის წიგნისათა, რათა კეთილად განარჩიოთ სხოლიონნი და არა-სხოლიონნი, რომელ არიან დანაშთენნი მ კ ვ დ რ ი ს ა ნ ი, რომელიცა არა თნებითა ჩემითა მიქწნიეს, არამედ კაცობრივმან უძლურებამან და ადგილსა ეგვეითარსა ვერ-მიწიფეჩამან, უფროვე ცოდვისა ძალითმან სიმრუ-მემან მაქნია ესრეთ, და ნაკლულ-ყოფილი იგა, მ კ ვ დ რ ი ს ა თა-ნადვე ა რ შ ი ა თ ა ზედა, გინა კ ი დ უ რ თ ა, იძიეთ მოწერილად ზედსაჩინობითა სამის წერტილისა წითლურისათა და განწესებულსა ადგილსავე თანა აღმოაკითხეთ“.³⁶

ანდერძში დასახელებულია ხელნაწერის გვერდის რამდენიმე შემადგენელი ნაწილი: „არშია“ ანუ „კიდური“, „სხოლიო“ და „მკვდრი“. გადამწერი სხოლიოს აიგივებს არშიასთან და ორივეს უწოდებს „დანაშთენნი მკვდრისანი“. ე. ი. „მკვდრი“ ყოფილა გვერდის ის ნაწილი, რომელზედაც ძირითადი ტექსტია მოთავსებული. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ოდნავ აჩქარებულა ნუსხურით. ჩამატებული ადგილები, შეისწავენი და განმარტებები მიწერილია კიდებზე. თუ ტექსტის რომელ ნაწილს განმარტავს აშიებზე მოთავსებული მინაწერია, უჩვენებს წითელი მელნით დასმული სამი წერტილი.

35 ხელნაწ. Q-105v, 516r.

36 ხელნაწ. Q-50, 1r.

„მკვიდრი“ გვხვდება კიდევ ანტონ-ის გრამატიკაში: „სადაც ზმნის სქესები თავს დროებითურთ მკვდრით იყოს ნაწერი, ყოველთვის, სადაც დაგზუდესთ, სულ ნოტრის კალმით იუწყეთ“.³⁷ ეს შენიშვნა მიწერილია კადეზე, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით. იგი წარმოადგენს მითითებას მომავალ გადამწერთათვის იმის შესახებ, თუ როგორი კალმით დაეწერათ ზმნის პარადიგმები გვერდის ძირითად ნაწილში.

ნაკუეთი. ხელნაწერა წიგნის მოცულობა და ზომა გამოიხატებოდა ტერმინით „ნაკუეთი“. თუ ხელნაწერი პატარა ზომისა იყო, მისი ნაკუეთი იყო მცირე: „ესე მ ც ი რ ე ნ ა კ უ ე თ ი სისუბუქისათვის შეექმენ, ნუთუ ვინ უდაბნოს იჭმაროს და თუ ვინ წაუღოს, ვისცა მოგზუდეს, ღმერთმან გარწმუნოს, ჩემდავე მოაქცეთ“.³⁸

ხელნაწერი მთლიანად, თავიდან ბოლომდე, წარმოადგენდა „სრულ ნაკუეთს“. ერთი გადამწერი იბოდიშებს მკითხველის წინაშე იმის გამო, რომ მთელი ხელნაწერი, ე.ი. „სრული ნაკუეთი“, წერილად ნაწერი დედისაგან გადაუწერია: „ლოცვა ყავთ, შეცთომილსა გაბრიელს ქრისტე შეუხდევ, ამენ. ვაჟმე, დატევებაჲ ამათ გალობათა მებრალე ბის, დედაჲ წრკლად ჩასხმული იყო და ს რ უ ლ ი ნ ა კ უ ე თ ი მას ზედა ექმენ. მცირეა, წრკლად ნაწერისათვის შემინდევით, საყუარელნო“.³⁹

ეს ტერმინი გვხვდება კიდევ XV საუკუნეში გადაწერილი სადღესასწაულოს (H – 1 673) ანდერძში. ხელნაწერში სვინაქსარული მასალა მიღის 31 ივნისამდე. ბოლოში დართული აქვს გამორჩენილი დღეების (სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეების) მასალა.⁴⁰ გადამწერი ცდილობს ახსნას, თუ რატომ მოაქცია გამოტოვებული ადგილე-

37 ხელნაწ. S – 1 187, 32 v.

38 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის. . ., №21, გვ. 44.

39 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., № 17, გვ. 39.

40 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია) I V, № 1 673, გვ. 106.

ბი ბოლოში: „წმიდანო მამანო! ესე, რომელიცა ერთობილი დღე და-
გურჩემოდა, ამა წიგნისა ბოლოსა ამად მივაქციეთ, რომე იმას მუჭ-
ლებსა დაყრილსა, რაჲცა საგალობელთა თუქთა ბოლოსა ჩაგვირთავს,
მას თანა ამად აღარ ჩაერთვოდა, რომე ესე სეკდენბრისა ოთხისა და
კვრიაკისაჲცა იანერისა და დეკემბრისასა ქუცმოით აღარ მოექცე-
ვოდა, აშლით იქნებოდა და აღარ მირიგებით იქნებოდა. საძიებელად
გაძნელდებოდა და რა წიგნისა ნ ა კ უ ქ თ ი ნახა პატრონმან ვანე-
ნი—ყოფილმან ნისიმე, რომე არ გასქელდებოდა, ესე ჩუენგან დაგდე-
ბული აქა ბოლოსა დაგუაწერინა“⁴¹ გამოტოვებული მასალის ბოლო-
ში „არა მირიგებით“ მიწერა ანდერძის ავტორს თვით არ სურდა,
მხოლოდ როდესაც მის პატრონს, ვანენი—ყოფილ ნისიმეს (როგორც
ჩანს, მომგებელს), ხელნაწერის ზომა უნახავს, გადაუწყვეტია, რომ
ხელნაწერს დარჩენილი მასალის მიმატება არ ავენებდა, არ გაასქლებ-
და მას და უბრძანებია „დაგდებული“ ადგილების ბოლოში მიმატება.
ხელნაწერი წარმოადგენს საშუალოზე მცირე ფორმატის, საკმაოდ
სქელ წიგნს.

ხელნაწერის ზომას გამოხატავდა აგრეთვე ტ ა ნ ი (სპარსული
ა სხეული). ეს ტერმინი გვხვდება შედარებით გვიან, 1743 წელს გა-
დაწერილ სულხან—საბა ორბელიანის ლექსიკონის ანდერძში: „ეს წი-
გნი კუროხევიანის ტ ა ნ ი ს ა იყო და ეს, რაც ამას ზეით სწერია,
ექუს ფურცელზედ უნდა მოვიდეს სწორედ, რომ ცარიელი არ დარჩეს,
ამასთან მოვიდეს“. ⁴²

წიგნის პირი. ასეთი გამოთქმა გვხვდება მხოლოდ ერთხელ, ვახ-
ტანგ VI „ქიმიის წიგნში“. აქ აღწერილია „წიგნის პირზე“ ვარაყის
დაკერის წესი:

„მოთლილის წ ი გ ნ ი ს პ ი რ ზ ე დ ვარაყის დაკერა ასე
უნდა: წ ი გ ნ ი ს პ ი რ ი რომ მოსთალო, მერმე დანა წაუსვი და
წმინდად ფხიკე. მერმე, ცხენის კბილი იყოს თუ ეშვი, ასე გალესე ის

41 იქვე.

42 ხელნაწ. S — 82, 14v.

მოთლილი ქაღალდი, რომ ელვა დაიწყოს. მერმე მოიტანე კვერცხის წყალი და ორჯერ—სამჯერ ზედ შეაშრევ ღრუბლით წასმული კვერცხის წყალი. მასუკან კიდევ მოიტანე ღრუბლით კიდევ კვერცხის წყალი და წაუსვი. იმავე ზოლზედ ვარაყი დააფინე და თავის ნუბით გააშრევ. რახან გაშრეს, მოიტანე ძაღლის კბილი და წყნარ—წყნარა ლესვა დაუწყევ, ამდენი ლესე, რომ ელვა დაიწყოს“.⁴³

მოყვანილი ადგილი გასაგებს ხდის, რომ „წიგნის პირი“ ეწოდებოდა დახურული წიგნის კიდევებს. წიგნის პირი სწორი რომ ყოფილიყო, საქირო იყო მისი „მოთლა“.

თავი. „თავი“ ეწოდებოდა წიგნის დასაწყისი ნაწილს.⁴⁴ ამავე დროს თავი იყო თხზულების დასაწყისი. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დადასტურებული აქვს ი. აბულაძეს X საუკუნის ხელნაწერში.⁴⁵ ხელნაწერში იმდენი თავი იყო, რამდენიც მასში შემავალი ნაწარმოები.

„თავი“ ეწოდებოდა აგრეთვე ერთი თხზულების სხვადასხვა ნაწილს, რომლებიც ერთმანეთთან აზრობრივად იყვნენ დაცილებულნი. თავის სათაური დანარჩენი ტექსტისაგან გამოიყოფოდა წითელი მელნით, ზოგჯერ დაწერილობის ტიპითაც:

„ . . . ესე საცნაურ იყავნ ყოველთა . . . მე, გლახაკმან ეფთჳმე. . . ვთარგმნე ესე, რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, და თ ა ვ ნ ი, ვითარცა აქა იყვნენ, ეგრე დ ა ს ხ ე ნ ი თ, რამეთუ მე ვითარცა მიპოვნიან, ეგრეთ დ ა მ ი ს ხ მ ა ნ ყოველნი წ ი თ ე ლ ი თ ა “.⁴⁶

ხელნაწერის შედგენას თავების მიხედვით ეწოდებოდა „თავდგმა“. ეს ტერმინი გვხვდება XI1—XI11 საუკუნეებში გადაწერილ

43 ხელნაწ. S — 3721, 62v.

44 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 65.

45 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული. . . , გვ. 79.

46 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწ. აღწერილობა, 1, გვ. 130—131.

ხელნაწერში (Jer —44): ხელნაწერი თავბოლო ნაკლუდია. ხელნაწერის შედგენის შესახებ ცნობას გვაწვდის გადამწერი: „ამას შენდა, პატროსანო, ჩუენ შეესწირავთ, რომლისა მადლისათვის ჰკითხე მოქსენებაჲ მისთვის იყავნ. არიან მრჩობლ წერილთა წამოღება, პირველ დაბადებულთაჲ მათ ღმრთისა მიერ ექუსთა მათ დღეთა ქმნულნი, და სხუანი რომელნიმე წმიდათაგან წიგნთა თ ა ვ დ გ მ უ ლ ნ ი, შემდგომად ქამთა აღწერილნი“⁴⁷

ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელშიც მოცემული იქნებოდა მასში შემავალ თავთა თანმიმდევრული სია, ეწოდებოდა „თავდგმულობა“. ეს ტერმინი გვიან, 1799 წლის ხელნაწერში გვხვდება, რომელსაც ეწოდება „სამოთხის ყვაილი“⁴⁸ ხელნაწერი ჩამდენიმე თავისაგან შედგება, თითოეულ თავს წინ უძღვის თავისი სათაური, შემდეგ, ეს სათაურები, დღევანდელი სარჩევის მსგავსად, თავმოყრილია ბოლოში. „სარჩევს“ აქვს შემდეგი დასათაურება: „თ ა ვ დ გ მ უ ლ ო ბ ა ამისა წიგნისა არს ესე“.

„თავდგმულობის“ ტოლფასი და უფრო გავრცელებული ტერმინი იყო „ზ ა ნ დ უ კ ი“.

ზანდუკი ეს ტერმინი აღნიშნავს ერთ შემთხვევაში წითელ მელანს⁴⁹, მეორე შემთხვევაში—წიგნის სარჩევს.

„ზანდუკი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან σάνδαξ წითელი.

ჯერ კიდევ ეგვიპტურ პაპირუსებში იყო მიღებული ტექსტის ცალკეული ნაწილების ერთმანეთისაგან გამოყოფა წითელი მელნით. ეს წესი შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებში.⁵⁰ ლათინურად წითელ მელანს ეწოდებოდა ruber, წითლით

47 Jer — 44, 150r. ხელნაწ. ინსტ. ფოტო.

48 ხელნაწ. A — 414, 193v

50 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

50 O.A.Д о б и а ш— Р о ж д е с т в е н с к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ნაწერ ბჭკარს rubrica შემდეგ ეს სიტყვა ეწოდება საერთოდ ყოველგვარი შინაარსის ტექსტის სათაურს, რადგან სათაურები წითელი მელნით იწერებოდა¹

წითელი მელნით იწერებოდა ბერძნულ ხელნაწერებშიც, სათაურების გარდა, სარჩევის დასაწყისი და თავთა დასაწყისი ასოები. ასე რომ სარჩევში მომეტებულად ჩანდა წითელი ფერი. აქედან გამომდინარე ქართული „ზანდუკი“ (ე.ი. წითელი) დაერქვა სარჩევს, ანუ ტექსტის იმ ნაწილს, რომელშიც კარბობდა წითელი ფერი. X—XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ზანდუკი ყოველთვის წითელი მელნით არის გამოყოფილი დანარჩენი ტექსტისაგან.

ზანდუკის ადგილი ქართულ ხელნაწერებში მტკიცედ განსაზღვრული არ არის. იგი ხელნაწერს თავშიც დაერთვოდა (მაგალითად ხელნაწერი A—1105, XI ს. პატერიკი) და ბოლოშიც (Q—241, დემურბულახის ოთხთავი XI—XIV სს.). უფრო ხშირად ზანდუკი მოთავსებული იყო ხელნაწერის თავში.

ზანდუკი ჰქონდა ყოველგვარი შედგენილობის წიგნს. მასში შეტანილი იყო თანმიმდევრობით დალაგებული თავთა სათაურები.

ასევე სარჩევის დანიშნულება ჰქონდა ს ა ძ ი ბ ე ლ ს ა ც. მხოლოდ მისი შედგენის პრინციპი და დანიშნულება განსხვავდებოდა ზანდუკისაგან. საძიებელი, ჩვეულებრივ, ლიტურგიკულ ხელნაწერებს ერთვოდა. ზანდუკში ხელნაწერის შემადგენელი თავები იყო ჩამოწერილი, იგი ხელნაწერის შინაარსს გადმოსცემდა, საძიებელში კი მასალა საკითხავების რიგით იყო წარმოდგენილი და განაწილებული იყო წლის შესაბამის დღეებზე. საძიებელიც წითელი მელნით იწერებოდა. წითლით იწერებოდა თავების, დღეების და საკითხავთა დასაწყისი ასოები.

სტრიქონი. ამ ტერმინს ხშირად იყენებს ეფრემ მცირე. იგი გვხვდება მის მიერ „საქმე მოციქულთასათვის“ დაწერილ ვანწყესება

51 O.A.Добиаш—Рождественская, დაახ. ნაშრ., გვ. 37.

ში : „ . . . და ეგოდენნივე ლექსიკონნი — რომელ არიან ღრძაათა წი-
გნურთა სიტყუთა ანბანსაზედა განწყობილნი სიტყუანი — ერთად
შემოგვირიბნი, მაშინდა ძლით მოუბოჲ ქართული შემსგავსებული
სიტყუაჲ, და ესეეთიარნი სიტყუანი სადაც შემიტყვალეზიან, კიდე-
სა ს ტ რ ი ქ ო ნ ი ს ა ს ა იოტაჲ დამისუამს, და შინა სიტყუასა
წინაჲჲ, ესე, ეთარმედ უსაკუთრესი, ესრეთ“.⁵²

ივ. ჯავახიშვილი „ სტრიქონს“ განმარტავს, როგორც ნაწერის
ერთ ხაზს, მწკრივს, ამ განმარტებას იგი მრავალი მაგალითით ადა-
სტურებს.⁵³

საბას მიხედვითაც, „ტრიქონი“ „წერილთ ნაწერთ რიგია“⁵⁴.

ი. აბულაძეს ეს ტერმინი შეხვდა X საუკუნის ხელნაწერებში
(S — 407, S — 1138), რომლებიც შეიცავენ ევთალე ალექსანდრიელის
პაგლეს ეპისტოლეთა წინასიტყვაობას. ამ ორი ნუსხის შედარებამ
გამოარკვია, რომ სტრიქონის სინონიმად იხმარებოდა მ უ ჯ ლ ი.⁵⁵

სტრიქონი ბერძნული სიტყვაა: σ τ ρ ო ν (ლათ. versus) ნიშნავს
რიგს, მწკრივს. მისი ძირითადი მნიშვნელობა იყო სალექსო სტრი-
ქონი, ბწყარი. ამავე მნიშვნელობით ბერძნულში იხმარებოდა
ἕπιος⁵⁶, რადგან სალექსო სტრიქონი გრაფიკულად ერთ ხაზს წარ-
მოადგენდა, ამიტომ σ τ ρ ო ν — მა პალეოგრაფიული ტერმინის მნიშ-
ვნელობაც მიიღო.

სალექსო რიგს აღნიშნავს ეს სიტყვა შემდეგ მაგალითში: „მაშინ
წმიდამან შან მოწამემან ღმრთისამან ესეცა სიტყუაჲ უფროჲს
ვანგეგეცა ღრვიად და პირველთა მათ უმეროსისთა წარმოიდებ-
და ს ტ რ ი ქ ო ნ თ ა“⁵⁷

52 ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღ-
წერილობა, № 25, თბილისი, 1955, გვ. 57.

53 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

54 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, XI, 2 გვ. 145.

55 ი. ა ბ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

56 E. M. T h o m p s o n, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

57 წამებავი წმიდისა პროკოპისი, კიმენი 11, გვ. 113.

თვით ბერძნულში სიტყვამ *თაίχος* გარკვეული ევოლუცია განიცადა. დროთა განმავლობაში მას დაეკისრა არა მარტო სალექსო სტრიქონის აღნიშვნა, არამედ პროზაული ტექსტის ერთი მწკრივოსაც. იმისათვის, რომ პროზაული ტექსტის მწკრივი გარეგნულად დამსგავსებოდა სალექსო *თაίχος*-ს, პროზაული ტექსტისათვის შემოიღეს ხელოვნური საზომი: 15 ან 16 მარცვალი ან 34-38 ასო ერთ ხაზზე⁵⁸ როგორც დავინახეთ, ამ მნიშვნელობით იგი ხშირად იხმარებოდა ქართულში.

თაიქოი ეწოდებოდა აგრეთვე ტექსტის მოკლე მონაკვეთებს, წინადადებებს, ან პარაგრაფებს. ასეთ ნაწილებად ტექსტს ყოფდნენ იმისათვის, რომ იგი ადვილად წასაკითხი გამხდარიყო.⁵⁹ ასეთ შემთხვევაში *თაიქოი*, რა თქმა უნდა, აღარ ემთხვეოდა ნაწერ ხაზებს.

ქართულად ტექსტის ამგვარ მონაკვეთებს ეწოდებოდა „მუჯლი“ ტექსტი მუხლებად დაყოფილი ისეთ ხელნაწერებშია, რომლებიც საჯაროდ წასაკითხავადაა განკუთვნილი. მუხლები ერთმანეთისაგან ადვილი გასარჩევი რომ ყოფილიყო, მათ დასაწყის ასოებს წითელი მელნით წერდნენ.

58 E. M. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

59 იქვე, გვ. 81.

ხელნაწერთა გადაწერები და მათ საქმიანობასთან

დაკავშირებული საკითხები

ხელნაწერი წიგნის შექმნა საკმაოდ რთულ და დანაწევრებულ პროცესს წარმოადგენდა. იგი შეიცავდა: საწერი მასალის დამუშავებას, ტექსტის გადაწერას, რეეულების შეკაზმვას, წიგნის შემოსვას და სხვ. ამათგან ყველაზე რთულსა და ხანგრძლივ შრომას ტექსტის გადაწერა საჭიროებდა.

ფეოდალურ საქართველოში ხელნაწერების დამზადების საქმე უმთავრესად სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ხელში იყო მოქცეული. იმ ბერებს, რომლებსაც ხელნაწერთა გადაწერა ხელობად ჰქონდათ გახდილი, მ წ ე რ ლ ე ბ ი ეწოდებოდათ²

უშუალო ცნობებს „მწერალთა“ შესახებ ხელნაწერთა ანდერძები შეიცავენ ანდერძებში გადამწერები თავიანთ ვინაობას გვაცნობენ, და, იშვიათად, სამუშაო პირობებსაც აღწერენ³ უფრო ხშირად ანდერძები გადამწერთა რელიგიურ განწყობილებებს ასახავენ, მაგ-

1 ხელნაწერების გადამწერ ხელოსანთა წოდებრიობასთან ურთიერთობას საკითხს დაწვრილებით შევეხებით ქვემოთ.

2 ივ. წ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბილისი, 1907, გვ. 41; მისივე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 45.

3 იქვე, გვ. 74

რამ მიუხედავად მათი სიტყვიადუნწობისა⁴ აქა--იქ მაინც გაბხეულია საინტერესო ცნობები, რომლებიც ხელნაწერთა გარეგნული სახისა და შედგენილობის გათვალისწინების საშუალებას იძლევა და არაკვივს გადამწერთა საქმიანობის ზოგიერთ მხარეს.

შედარებით მდიდარმასალას გვაწვდის გადამწერთა შესახებ სომხურ ხელნაწერთა ანდერძები.⁵

ძველი კულტურის მქონე ყველა ქვეყანაში, სადაც კი დამწერლობა სახელმწიფოებრივი და რელიგიური მნიშვნელობის დაქა. წარმოადგენდა, „მწერალთა“ პროფესია განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა.

საპატიოდ ითვლებოდა „მწერალთა“ ხელობა ბიზანტიაშიც, ქართველთა უშუალო მეზობელ ქვეყანაში. ამის შესახებ ცნობები თვით ბიზანტიური მწერლობის ძეგლებშია დატული: ერთ ასეთ ცნობას გვაწვდის აპოფთეგმური კრებულის XI ს. შესრულებული ქართული თარგმანი? „წარვიდეს ბერისა ვისმე დიდისა ოდესმე ხუთნი ძმანი და ბერმან ჰკითხა ერთსა მათგანსა, რასა შურები ძმაო. . . ? სირასა ვთხზავ, მამაო. და მეოთხესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები? და მან თქუა: მ წ ე რ ა ლ ი ვარ, მამაო. ჰრქუა მან ბერმან: შენ იცი, თუ ვითარ სწერ ძმაო, მ წ ე რ ა ლ ს ა კ უ ლ ა ს ი მ დ ა ბ ლ ე : უ ქ მ ს, დ ი დ ი, . რ ა მ თ ა ა რ ა ა ლ ლ ა ლ ნ ე ს გ უ ლ ი

4 ქართველ გადამწერთა შესახებ ცნობების უკმარისობას ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებული მრავალი მკვლევარი უჩივის. მაგ. P. III მ е р л и н г, Художественное оформление грузинской рукописной книги IX--XI в. в., Тбилиси, 1967. გვ. 21.

5 ჯ. ა. վ ա թ յ ա ն ს ա ն, Հայ գրչագիտություն, Հանդես სამთერեսյ, վսննա, 1924, გვ. 143-148.

6 იხ. მაგ. M. A. К о р о с т о в ц е в, Писны древнего Египта, М., 1962.

7 შუასაუკუნეთა ნოველების. . . , გვ. 17.

მისი სიმალღისათვის საქმისა მისი.⁸

„მწერალი“ ბერები თავიანთი მნიშვნელობით „მეცნიერ კაცთა“ უტოლდებოდნენ: „კაცი ვინმე ქრისტეანტსახელით ლუკიანე, კაცი საკვრელი და სიტყვა—მეცნიერი. . . , ჯელოვნებაჲ აქუნდა მას წიგნის—წერაჲ, და შრომითა მით პურსა შოირეწვედა იგი დღითი — დღედ და ნამეტნავსა მისცემდა, რომელი — იგი ევედრებიდ მას.“⁹ შესაბამის ბერძნულ ტექსტში „მწერლის“ შესატყვისია καλλιγράφος: ἄσκη τὸς χριστιανὸς ὁνόματι Λουκίανος, θαυμαστὸς καὶ λόγιος τὸν μὴ ῥηβίων διερχόμενος, τέχνην ἔχων τῆν τοῦ καλλιγράφου, ταῦτη τε προσκατερῶν, ἐξ αὐτῆς τὸν ἄρτον ἐπορίζετο, καὶ τὸ περισσεύον επεδίδου τοῖς δεομένοις.¹⁰

καλλιγράφος სიტყვა—სიტყვით „ლამაზად მწერალს“ ნიშნავს. იგი ქართული „მწერლის“ შესატყვისად პოლობიოს ეპისკოპოსის „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრებაშიც“ გვხვდება.¹¹

ზოგჯერ, ქართული „მწერალი“ გადმოსცემს ბერძნულ γραφείας —: „იტყოდა ვისთვისმე მამათაგანისა მამაჲ აბრაჰამ, ვითარმედ მწერალი იყო ჯელოვანი და პურსა არა ჰამდა.“¹² ბერძნულშია: ἔλεγε περὶ τούτου τῶν Σκητιωτῶν ὅτι ἄββας Ἀγραῶμι, ὅτι γράφεις ἦν, καὶ οὐκ ἦσθιεν ἄρτον.¹³

„მწერლები“ განსაკუთრებული პატივითა და უფლებებით სარგებლობდნენ ქართველთა შორისაც. „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“

8 ხელნაწ. A—1105, 270 r.

9 იოვანე ხუცე სი, ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება; საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, 11, გვ. 95.

10 Migne P.G. t. 41, გვ. 29.

11 საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, 11, გვ. 138. აგრ. Migne. P. t. 41, გვ. 93.

12 ხელნაწ. A—1105, 236 v.

13 Migne. P. G. t. 65, გვ. 132.

მოთხრობილია, რომ ეფთვიმე დიდი მოკრძალებითა და რიდით ექცეოდა თეოფანე ხუცესს, რომელსაც ათას ხუთას დრაკმანზე მეტი ლარებულების წიგნი დაეწერა.¹⁴ მაშინ, როდესაც ეფთვიმე, ჩვეულებრივ, ყოველთვის ებრძოდა მონასტრის ძმათა მიდრეკილებას ქონების დაგროვებისადმი. ამავე ძეგლიდან ჩანს, რომ მხოლოდ „მწერალ“ ბერებს ჰქონდათ ზეთის ყიდვის უფლება, რათა ღამით, სენაკში, სინათლე აენთოთ.¹⁵

ქართული მწერლობის დასაწყისი ხანის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ასევე ცოტა რამ ვიცით ამ ხანაში „მწერალთა“ საქმიანობის შესახებაც. ჩვენამდე ძუნწად მოღწეული, ისიც არაპირდაპირი ხასიათის ცნობები მხოლოდ მათ არსებობაზე მიუთითებენ, „შუშანიკის წამების“ მიხედვით, შუშანიკის ოჯახში მოიპოვებოდა „მწერალთა“ შრომის პროდუქტები — ხელნაწერი წიგნები.¹⁶

„მწერალ“ ხელოსანთა როლის გააქტიურებასა და მათი პროფესიული სახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა საქართველოში მონასტრების დაარსებას.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიანი ერების მწერლობის განვითარებაში მონასტრებმა უდიდესი როლი შეასრულეს. მაგ. ბიზანტიაში, სადაც მრავალრიცხოვანი საერო სკოლები არსებობდა, მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა ეპირატესად მონასტრების სამწერლო კერებში ვითარდებოდა და ვრცელდებოდა.¹⁷

ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობას ყველგან თან სდევდა მონასტრების დაარსება და მათში წიგნების დასამზადებელი სახელოს

14 ძეგლები, 11, გვ. 90.

15 ძეგლები, 11, გვ. 79.

16 ძეგლები, 1, გვ. 16, 23.

17 М.Л.Левченко, История Византии, М., 1940, 93-94.

ნოების გახსნა.¹⁸

მწერლობის კერას წარმოადგენდა მონასტერი სომხეთშიც.¹⁹ აქვე მოღვაწეობდნენ სომეხი გადამწერები,²⁰ რომლებიც, როგორც სომეხი სპეციალისტები ფიქრობენ, მონასტრებთან დაარსებულ სპეციალურ სკოლებში სწავლობდნენ წერის ხელოვნებას.²¹

რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს არც უძველესი ქართული მონასტრები შეადგენდნენ.²² ამის უტყუარ მოწმობად ჩვენამდე მოღწეული მრავალი უძველესი ხელნაწერი და პალიმფსესტური ტექსტიც გამოდგება.

VI ს-ით დათარიღებული ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი უკვე მოწმობს, რომ ამ სახელოსნოებში შრომის დანაწილების გარკვეული წესები მოქმედებდნენ.²³

შედარებით მეტი ცნობები „მწერალთა“ შესახებ I X-X სს-ებიდან გვაქვს. ამ დროის ქართული კულტურა ბიზანტიურ კულტურასთან მჭიდრო კავშირით ხასიათდება.

ბიზანტიურ სამყაროსთან სიახლოვე ხელნაწერთა გაფორმების ტექნიკურ საშუალებებშიც ვლინდება. ქართველი გადამწერები ეცნობიან ბერძნული ხელნაწერების გაფორმების წესებს და თვითონაც ნერგავენ მათ თავიანთ საქმიანობაში. ეს წესები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ მწერლობის რომელ დარგს განეკუთვნება ესა თუ ის თხზუ-

18 O. A. Д о б и а ш—Р о ж д е с т в е н с к а я, Мастерские письма на заре западного средневековья и их сокровища в Ленинграде, Л., 1930 გვ. 20.

19 М. А б е г я н, История Древнесармянской литературы, I, Ереван, 1948, გვ. 80-81.

20 ჯ. ს. վ ա რ դ ა ն ხ ა ն, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

21 Ա. Դ. Ա ր ր ա հ ա մ յ ա ն, Հայ գիր Եվ գրչության պատմություն, Երևան, 1959, გვ. 368.

22 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 80-109.

23 ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი ლექციონარი, თბილისი, 1944.

ლება. ასე, მაგ.: ეგზეგეტიკური თხზულებების ძირითადი ტექსტის ირკველივ მიწერილია ხოლმე კომენტარები, რომლებიც ძირითადი ტექსტისაგან ათრია სიმცირით გამოირჩევიან. ამით მიღწეულია საწერი მასალის ეკონომიზ. და გაადვილებულია მისი გამიჯვნა ძირითადი ტექსტისაგან.²⁴

ქართული გადამწერები ხმარობდნენ პირობით ნიშნებსაც, რომელოც ტექსტში წმინდაპრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ. მათ იყენებდნენ ცალკეული ცნებების მოკლედ გადმოსაცემად, ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის გამოსაყოფად, ციტატების მისანიშნებლად და კომენტარებიან ხელნაწერებში ტექსტის კომენტართან დასაკავშირებლად.²⁵ ამ ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობა და მათი გამოყენება განსაზღვრული ხასიათის ძეგლებში, საცნაურს ხდის მათ ბერძნულ წარმომავლობას.

ქართველი „მწერლები“ ძველთაგანვე იცნობდნენ განკვეთილობის, სასვენნი ნიშნებისა და დაქარაგმების სისტემებს, რომლებსაც განსაზღვრული წესების დაცვით იყენებდნენ²⁶

24 ლ. ქ ა ჯ ა ი ა, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, 11, თბილისი, 1969, გვ. 32; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1, 1959, გვ. 118, სურ. 1.

25 ლ. ქ ა ჯ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 32. აგრ. Е. З. Гранст-р е м, О некоторых приемах оформления византийских рукописей, XXV межд. конгресс вост., М., 1960.

26 ლ. ქ ა ჯ ა ი ა, განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VI-X სს), პალეოგრაფიული ძიებანი, 1, თბილისი, 1965, გვ. 33-34. მ ი ს ი ვ ე: პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V-X სს.), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963, გვ. 67-82. ც. ქ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V-X სს.), პალეოგრაფიული ძიებანი, 1, გვ. 57-93.

მწერლები ცდილობდნენ „ყოველითურთ: სრული“ და „უნაკლულო“ პროდუქტია შეექმნათ.

საინტერესოა, როგორ ხელნაწერებს უწოდებდნენ ისინი „სრულსა“ და „უნაკლულოს“. როგორც არკვევა, ასეთებად შიანდათ ისეთი ხელნაწერები, რომლებიც თავიანთი შინაარსით, რედაქციული გამართულობით, ტექნიკური და მხატვრული გაფორმებით აკმაყოფილებდნენ თავიანთი ღრის ნორმებს. ეს ნორმები კი ღრითა განმარტობაში, როგორც გარეშე, ისე შინაგანი ტექტორების ზეგავლენით, იცვლებოდა.

როგორც ცნობილია, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა, ეფრემ მცირემ და სხვებმა დიდი შრომა გასწიეს ქართული საეკლესიო ლიტერატურის გამდიდრებისათვის. მათ შეასრულეს იმდროინდელი განათლებული საზოგადოების მიერ წამოყენებული მოთხოვნები: მრავალი ნაწარმოები ხელახლა თარგმნეს, რედაქციულად შეასწორეს და სარწმუნოებრივი „ღვარძლისაგან“ გაწმინდეს, მრავალი კი პირველად გადმოიღეს ქართულ ენაზე.

„მეცნიერმა მწერლებმა“ სწორად გაიგეს და შეათასეს ქართული ეკლესიის მამების ღვაწლი. მათი საუკეთესო ნაწილი ახალი ხელნაწერების შექმნისას ცდილობდა შეენარჩუნებინა ავტოგრაფული ტექსტების ყველა თავისებურება: „ესე სიტყუანი თვთ წმიდისა მამისა ზენისა ეფთჳმესნია. ვითა ნუსხასა ეწერა, მეც ეგრე აღწერე“, გეაუწყებს XI საუკუნის გადამწერი იოვანე გრძელისძე.²⁷

„სხუანი სახარებანი პირველისა შვდელისა მარხვათაჲსანი, რომელთანი იკითხებებიან პირველსა შვდელსა მარხვათასა მწუხრისსა ზედა, არა დაპატიებებითა, არამედ უკუეთუ ვისმე სწადოდის. ხოლო ესე აცნაურ იყავნ, რომელ ბერძნულისაგან დაგვწერიან და წმიდათა მამათა განწესებულნი არიან... ამისთჳსცა ესერა მამისა ეფთჳმის სახარებისაგან ესე წმიდანი სახარებანი დავნუსხენით“.²⁸

27 ხელნაწერთა აღწერილობა (აკოლექტია) 1 V, № 11 03, გვ.81.

28 ხელნაწერთა აღწერილობა (აკოლექტია), 11, № 900, გვ.310.

XI ს-ის ბოლოს, ხანძთაში, მოსე ხუცესს გადაუწერია გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი საწელიწდო-საწინასწარმეტყველო²⁹ ამავე მონასტერშია გადაწერილი გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის თვენ³⁰ XI საუკუნეში.

XII -XIII საუკუნეებით თარიღდება კონსტანტინეპოლში, რომანაში გადაწერილი ე.წ. „ვანის სახარება“ (A - 1335), რომელიც აგრეთვე გიორგი მთაწმიდლის ავტოგრაფულ ნუსხას მისდევს: „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“³¹, უანდერძებს „მწერალი“ მომავალ გადამწერებს.

ავტოგრაფული ნუსხების შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი ნუსხებიდან გადაწერილ ხელნაწერებს სრულიად სხვადასხვა სამწერლო კერებში ვხვდებით.

ეფრემ მცირის ავტოგრაფიდან ყოფილა გადაწერილი 1091 წ. ხელნაწერი Q-37: „ეფრემ თარგმნისა მიერ ზემოკსენებულმან და პირველისა წიგნისა მისთვის გარდამწერელმან იოვანე ხუცესმან მთავარძღვანან აწ ესე ჩემთვის გარდამოვიწერე. ვისცა გარდაწერა გენებოს, მინდობილ იყვნით, რამეთუ, ვითა ვპოე, ეგრე დავწერე ყოველი და წენტილიცა“.³²

ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმიდლის, ეფრემ მცირის სახელებთანა დაკავშირებული ქართული ხელნაწერების „ბერძულსა წესსა ზედა“ გამართვა. მისაბამ მაგალითად იქცა ბერძნული ხელნაწერების ტიპი. საძიებლების, ზანდუკის, კანონის, ქრონიკონის, განგებისა და ხელნაწერ წიგნთა სხვა ატრიბუტების ისე განლაგება, როგორც ამას ბერძნული ხელნაწერების სტრუქტურა უკარნახებდა. ამის ნიმუშს წარმოადგენს ზემოჩამოთვლილ ხელნაწერთა გარდა 1048 წ. გადაწე-

29 ხელნაწ. A - 1350.

30 ხელნაწ. S - 4999.

31 ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) I V, №1335, გვ. 409.

32 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), I, №562, გვ.44.

რილი იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება (K -20) XI საუკუნის სახარება A - 484 და მრავალი სხვ.

სანამ გადამწერი ტექსტის გადაწერას შეუდგებოდა, მას საკირო დედნები უნდა მოეპოვებინა. „წიგნის მომგებელიცა და წამკითხველნიც მარტო წერის სილამაზეს არ ეტანებოდნენ, მათ თვით ამ წიგნის შინაარსი აინტერესებდათ. ამიტომ მთავარი ყურადღება ტექსტის სისწორეს ჰქონდა მიპყრობილი, რომ თხზულება უცდომელად ყოფილიყო დაწერილი. ის, ვინც ამ მხრივ ყოველ უმკაცრეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, „მწერალი-უმართლესი“ ან „სიმართლეთა“ აღსავსე ეწოდებოდა.“³³

დედნების შერჩევის მიზნით, მწერლები ხშირად მოგზაურობდნენ ერთი მონასტრიდან მეორეში. ეს თვისება, როგორც ჩანს, ქართველ „მწერალთა“ სიამაყის გრძნობას იწვევდა, რადგან ბერძენი გადამწერები, ეფრემ მცირის ცნობით, დედნების შოვნაზე ამდენად თავს არ იწუხებდნენ: „თუთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ ჰპოვოს, ეგრე გარდაიწერებიან. და თუთ ორთა წიგნის საცავთა სემეონწმიდისათა ასკიტკონნი სხვთა და სხვთა ჰმატდეს ურთიერთას. ამისთჳს თუალისაჲცა მოვიდეთ.“³⁴ ამგვარი მიზნებით გარდა ახლოს მყოფი მონასტრებისა, ზოგჯერ ტერიტორიულად ძალზე დაცილებული მონასტრებიც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ერთი მონასტრის ხელნაწერი მეორეში გადაჰქონდათ. „გრიგოლ ხანტელის ცხორებიდან“ ვიცით, რომ გრიგოლმა საბაწმიდის განგება ჩამოატანინა საქართველოში სპეციალურად ამისათვის წარგზავნილ პირებს:³⁵ ცნობილია ისიც, რომ ქართულ მონასტრებში მალე გადაიწერეს საქართველოს გარეთ შექმნილი ეფთვიმის, გიორგისა და ეფრემ მცირის თარგმანები. ასეთი ტრადიცია XY საუკუნეშიც გრძელდებოდა საქართველოში: „ეს წიგნი ჰრომით მოვიდა, დაუკლებლად დაგვწერია. კრე-

33 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 54

34 თ.ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები 11, ტფილისი, 1897, გვ. 40.

35 ძეგლები 1, გვ. 264.

ბულნო ღმრთისანო, მაჰამო, ესე საკვრიხო ზე, აბრაჰამ სავანმან, გარდამოვწეოე. კ ა რ გ ი დ ე დ ა მ აძისა წიგნი ვნახე და შეკეთა.³⁶

ხელნაწერთა გატანა მონასტრების წიგნთსაცავებიდან სასტიკად ყოფილა აკრძალული. ერთი ანდერძის ცნობით, ბერებს სენაკშიც კი არ შეეძლოთ წიგნის შეტანა. მხოლოდ გადაწერის მიზნით შეიძლება წიგნის გათხოვება: „ვინ ესე ჩემი ანდერძი ამოაკეთეთოს ანუ ვინ შინა დაისხნეს, თვნიერ დედად ვინმე იხმარებდეს, საჯად არ ვის ქელ ეწიფებოს ეკკლესიით განხმაჟ, და ვინ ეს ჩემი ანდერძი აღასრულოს, კუროთხეულ არს.“³⁷

„ვინცა ესე წიგნი ქართულთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხვასა ეკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. . . . შენ, ქართველო მლოცაო, ვინც ესე წიგნი სინით წაიღოთ. . . . იერუსალიმისა, გინა სინისა, შეგრცხვს მამაო. ვინცა რას სწერდეს, გაიღეთ და მერმეთ უკანაჟ საღვე მოიღეთ. უცხად ჩსრეკისათვის ნუ ვინ დამწყევთ, გარწმუნენინ, რომე სნეულმან დაეწერენ უძღურებასა შინა დიდსა“.³⁸

მუსლიმანური შეჩეთების ბიბლიოთეკებს რამდენიმე პირი განაგებდა, რომელთა შორის იყო „მუსრიფი“, (مشرقي ინსპექტორი). იგი ზედამხედველობას უწევდა იმ პირთ, რომელთაც ბიბლიოთეკებით სარგებლობა სურდათ.³⁹ ქრისტიანული ეკლესია—მონასტრების ბიბლიოთეკებსაც პუოლია სპეციალურად მათი დაცვისათვის მიჩენილი პირი, „წიგნის მცველი“. ეს ტერმინი ქართულად შემოგვინასა ეფრემ მკორის მიერ თარგმნილმა ნაწარმოებმა: „საკითხავი გეორგისი, რომელი იყო კოსტანტინეპოლით წიგნის მცველი წმიდისა ღმრთი-

36 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), 111 №1328, გვ. 269.

37 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის შიის. . . , №5, გვ. 16.

38 იქვე, გვ. 123.

39 A. M e u, Мусульманский ренессанс, М., 1966, გვ. 146.

სა ეკლესიასაჲ .⁴⁰ ადვილი შესაძლებელია, რომ ქართული მონასტრების წიგნთსაცავებშიც ყოფილიყო ასეთი თანამდებობა.

უფრო გვიან, XVII—XVIII სს. ცდილობდნენ ძველი და სანდო დედნებიდან გადაწერონ ახალი ხელნაწერები. მაგ. 1704 წლის სახარება — აპრაკოსის მომგებელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ტექსტი დიდი შრომით მოპოვებული ძველი დედნიდან გადაუწერიათ.⁴¹

მაგრამ ამ ხანაში შექმნილი შინაგანი პოლიტიკური ვითარება: ცალკეული ფეოდალური ერთეულების კარჩაკეტილობა, მათი ერთმანეთთან ჭიშობა და სხვ. არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა ცალკეულ სამწერლო კერებს შორის კონტაქტების დასამყარებლად. ამიტომაც, ამ დროს შექმნილი მრავალი ხელნაწერი საკმაოდ დაბალხარისხოვანია. „მწერლები“ იძულებულნი ყოფილან ზოგჯერ უვარგისი დედნებით დაკმაყოფილებულიყვნენ. XVIII საუკუნით დათარიღებული მეტაფრასის გადამწერი გვიამბობს: „მამანო და ძმანო, ვინცა ამათ დაუჯდომელთა საკითხავისა აღწერა დედად ინებოთ, ს ხ უ ა მ დ ე დ ა მ ც ა ი ჰ მ ა რ ე თ . ე ს ე ბ ნ ე ლ ს ა დ ე დ ა ს ა ზედა გარდამოწერილ არს და სრულად ამას ნუ მიენდობით. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მწერალი გაბრიელ და მისნი დედა—მამანი“.⁴² მსგავსი ცნობები ბევრია.

ზოგი გადამწერი, თუკი „მართალ დედას“ ვერ იშოვიდა, „მრულ დედას“ ამჯობინებდა, საერთოდ უარი ეთქვა ტექსტის გადაწერაზე: „ . . . ესე წმიდისა ათანასეს ცხორებაჲ მით არღარა დაეწერეთ, რომელ დ ე დ ა მ რ უ დ ი იყო და ს ხ უ ა მ მ ა რ თ ა ლ ი არა გუქონდა.“⁴³

40 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

41 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), 11, № 897, გვ. 306

42 იქვე, № 1513, გვ. 301.

43 R. P. B l a k e, Catalogue des manuscrits géorgiens, a Jérusalem, № 2, გვ. 15.

დედნის შერჩევის შემდეგ მწერლები ტექსტის გადაწერას იწყებდნენ. ტექსტის გადაწერა მექანიკურ პროცესს არ წარმოადგენდა. დედნისადმი დამოკიდებულების მიხედვით მწერლები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ზოგიერთი მას ამოკლებდა, ან პირიქით, ამატებდა, გამოკრებდა, რედაქციულად ახალ ტექსტს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სინის მთის ლიტერატურული წრის მოღვაწე იმ გადამწერების საქმიანობა, რომლებიც თავიანთ თავს „მჩხრეკალებს“ უწოდებდნენ.

მჩხრეკალი ნაწარმოებია ზმნისაგან — ჩხრეკა. ეს უკანსკნელიც გვხვდება ხელნაწერთა ანდერძებში, როგორც დამოუკიდებელი ტერმინი.

ტერმინები „ჩხრეკა“ და „მჩხრეკალი“ აქა—იქ სხვადასხვა დროსა და ადგილას გადაწერილ ხელნაწერებში გვხვდება. სინურ ხელნაწერთა ანდერძებში კი ისინი სისტემატურად იხმარება.

„ჩხრეკას“ თავდაპირველად ივ.ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, „ჩხრეკაჲ და დაჩხრეკაჲ არასათანადო წერის, ან დამწერელისაგან თავდაბლობით თავისი ნაშრომის დასახასიათებლად და აღსანიშნავად იხმარებოდა“. თუმცა, იქვე დასძენს:

„ჩხრეკაჲ და დაჩხრეკაჲ ნაწერის ღირსებას, მის სიმდარეს არ ამტკიცებს. ხშირად ეს მხოლოდ ან გულწრფელი თავდაბლობის ან ზრდილობიანად ქცეული თავდაბლობის გამომხატველი იყო. ეს გარემოება იმითაც მტკიცდება, ჩვეულებრივ გამონათქვამს გარდა, ამავე დროს „ჰავად ჩხრეკაჲ“ და „უტბად ჩხრეკაჲც გვხვდება“. მისივე აზრით, რადგან ჩხრეკა მეგრულად თხრას ნიშნავს, იგი, შესაძლებელია, წერითი ხელოვნების ძველი, წარწერათა გამოყვანის აღსანიშნავად განკუთვნილი ტერმინი იყოს.⁴⁴

ამჟამად ცნობილ ეპიგრაფიკულ მასალაში ტერმინი „ჩხრეკა“

44 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 50.

მხოლოდ ერთგან დასტურდება. ესაა ბემთაშენის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა, რომელსაც, ა.ბაქრაძე XII ს-ით ათარილებს: „სახელითა ღმრთისათა ეს ეკლესიაჲ ჩუენ გურგენისძეთა ავაგეთ ერისთავისა ვახტანგის ბრძანებით. თანადგომით, სალოცველად შათთვერს, ქუაჲს შემოაწია ოთხი ღლის ყანაჲ, ჩაიწერა ქამის წირვით, დაიდვა ყოველთ.წელიწადთ დღე აღუსების ხუთშაბათს, არა შეუცვალოს ესე ლოცვაჲ და ქამის წირვაჲ, ვიდრე ეკლესია ესე დგეს. მღვდელი ვინცა შიგან ქამს წირვიდეს, ვინ შეუცვალოს, ღმერთმან მიაგოს. გურგენ მღვდელმან დავწერე ცოდვილმან, უცუბად ვ ჩ ხ რ ი კ ე, ლოცვა ყოთ ვინ, ღმერთმან გუაკურთხოს, ამენ ეყავნ“.⁴⁵

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ერთადერთი წარწერაა, სადაც „ჩხრეკა“ გვხვდება. აქ ეს ტერმინი წერილის სინონიმად არის ნახმარი. შეიძლება თუ არა მხოლოდ ამ მაგალითის საფუძველზე „ჩხრეკა“ ეპიგრაფიკულ ტერმინად მივიჩნიოთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და მისი უძველესი მნიშვნელობების დადგენა დაგვეხმარება.

ყველაზე ადრე, სიტყვა ჩხრეკა (არა როგორც ტერმინი), გვხვდება XI საუკუნის ათონურ ხელნაწერში: „რამეთუ ღორნი აღმოჩინებნენ და მწკრესა და უფრომსად აღადგინიან მყარლობაჲ იგი, რამეთუ ჩხრეკენი ედ მას და ეძიებედ საზრდელსა მათსა“⁴⁶

ამ მაგალითში სრულიად ნათელია „ჩხრეკის“ მნიშვნელობა: ქუქვა, თხრა, სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა თანამედროვე ეგერულში⁴⁷. მოყვანილი მაგალითი საინტერესოდ მიგვაჩნია იმ ახსრითაც, რომ „ჩხრეკა“ შეიცავს გარკვეულ შინაარსობრივ ნიუანსს: თხრა ან ქუქვა რაღაცის ძებნის მიზნით.

45 გ.ბ ა ქ რ ა ძ ე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო, მუზეუმის მოამბე XX-V, 1959, გვ. 64.

46 Ath -21, 25 გ. ხელნაწ. ინსტ. ფოტო.

47 И.К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, Спб. 1914, გვ. 308.

3. ფოტო გამოკვლევაში: „ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში“; ზმნურ სუფიქსად გამოყოფს კ ჯემენტს ისეთ ზმნებში, როგორცაა ფხეკა, ღრეკა, ღრეკა და სხვ. 48

ამ ელემენტის გამოყოფა ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩხრეკა ზმნაშიც. ჩხრეკა-ჩხერა. ჩხერა და მისგან ნაწარმოები ვნებითი გვარის მიმღობები: დაჩხეროლი, დაჩხურეოლი დამოწმებულია იაბუღაძის ქართულ-სომხურ ლექსიკონში: „და უ ჩ ხ ე რ ე ს წ ვ ე ნ ი მისნი“ (სომხურშია სიტყვი – დამტვრევა), ლერწამი და ჩ ხ ე რ ი ლ ი არა შემუსროს (დაქუდაქუდა – დამტვრევა, დაქულები). მიწა იგი არს დაჩხურელ (სომხური დასკიოსქენ – დახვეტილი, ხველუ ბიანი).

ჩხერასაგან არის მიღებული ძველი ქართული ჩხირი⁴⁹ წვერილი შუშა. ი.ა.).

ჩხრეკის უძველესი დამოწმებული მნიშვნელობები: ჩიჩქნა, თხრა. ისევე როგორც ჩხერისა – დაჩხვლები, რბილ ან ფხვიერ მასალაზე მოქმედებას გულისხმობს. ეს გარემოება ერთგვარად ხელს უშლის „ჩხრეკის“ მიჩნევას ეპიგრაფიკულ ტერმინად.

უფრო გვიანდელ მაგალითებში ჩხრეკა უკვე ძიებას, შესწავლას ნიშნავს. ამ მნიშვნელობების გაჩენა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო თხრისა და ჩიჩქნის ძიებისა და შემდეგ შესწავლის, განხილვის ცნებებთან ასოციაციით.

ასეთი მნიშვნელობით გვხვდება ჩხრეკა შემდეგ კონტექსტში: „ნუ თავმოყუარებითა და ქორცისა ნებიერობითა გასინჯავ და განსჩხრეკ თავსა შენსა, სულო ჩემო. . .“⁵⁰

48 3. ფოტო. ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმოხილული (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული), თბილისი, 1968, გვ. 289.

49 შდრ. კვენეტა – კენიტი. ჩხერადან შეიძლება იყოს წარმოებული აგრეთვე ჩ ხ უ კ ა განსხვავებული სუფიქსით.

50 ხელნაწ. H – 954, ლოცვა სინანულისა, 18v.

რულოფ ოსტრატოს ევროპის ქვეყანათა მეგზურის „ლირსი ხსოვნისას“ ქართულ თარგმანს ასე განმარტავს ქართველი მთარგმნელი: „ლირსი ქსოვნისა ევროპასა შინა, რომელიცა არს აღწერა მათი, რომელნიცა საძიებელ არიან ქუეყანის მჩხრეკელთაგან ანუ შეხდომისაებრ მოგზაურთა, ადგილთა ევროპისათა ხილვად და ცნობად სათანადო არს.“⁵¹

„ქუეყნის მჩხრეკელი“ აქ აღნიშნავს ისეთ მოგზაურს, რომელიც მოგზაურობს უცხო ქვეყნებში ამ ქვეყნების შესწავლის მიზნით.

მსგავსი მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახმარი დავით რექტორის განმარტებაში: „... და ვინაჲთგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჩხრეკელ, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის მფხეკელად“.⁵² ვფიქრობთ, რომ ამ მაგალითში „მჩხრეკელი“ ნიშნავს გამოძიებელს, შემსწავლელს.

ძებნას ნიშნავს ეს სიტყვა „არჩილიანის“ ტექსტის გამსწორებლის ანდერძში: „შემდგომ ვიწყე: ჩხრეკა და მართვა ამა წიგნისა... და შემხვდა რომელსამე ადგილას სრულიად მთელი რვეული განრყენილი და გამოვსცვალე პირველსავე დაწყებაში ორივე რვეული და მასთან დაშთენილი ათი ტრიქონი სხვა და აგრეთვე სხვანი და სხვანი ცთომანი და თვთოეულნი ლექსნი ოთხ-ოთხი ტრიქონნი, რომელთა გამართულობას და ჩემ მიერ შრომილს აღმომკითხულნი იხილვენ...“.⁵³

ამრიგად, ჩხრეკის მეორეული მნიშვნელობაა ძიება, გამოძიება, შესწავლა, მაგრამ რას ნიშნავს ეს ტერმინი ხელნაწერთა ანდერძებში? ვინ იყვნენ „მჩხრეკალები“?

51 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), V, № 2315, გვ. 218.

52 ვ. ბ. რ. ი. ძ. ე, დავით რექტორი, ლექსიკოგრაფის, საბა ორბელიანის გამგრძელბელი, თსუ შრომები, 1, 1936, გვ. 324-325.

53 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) 11, № 1544, გვ. 354.

„ჩხრეკას“, როგორც პალეოგრაფიულ ტერმინს, შეეხო კ.კეკელიძე იოვანე — ზოსიმეს მოღვაწეობის დახასიათებისას: „საყურადღებოა, რომ იოანე, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული ენა, მთარგმნელობას არ მისდევდა. ხელნაწერები, რომლებიც აღნიშნავენ მის მიერ „დაჩხრეკილ“ ან გადაწერილ, „შემოსილ“ და შეკვეთილ შრომებს, ერთხელაც არ უჩვენებენ, რომ მას ეთარგმნოს რამე. რასაკვირველია, თუ ტერმინი „დაჩხრეკა“ მთარგმნელობასაც არ ნიშნავს.“⁵⁴

კ.კეკელიძე ტერმინის განმარტებას არ იძლევა, მაგრამ იგი უშვებს აზრს, რომლის თანახმადაც ეს ტერმინი, შესაძლებელია, გადაწერას გარდა სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

საყურადღებო დაკვირვება აქვს ტერმინ „მჩხრეკალზე“ ი. აბულაძეს: „ფარდი ტერმინი ქართული „მჩხრეკალისა“ სომხურში *ჩხրակან*—ია, ხოლო ბერძნულში *γρᾰμματικῆ* . სომხურში *ჩხრასკან*, რომელიც *ჩხრეკა*, ქექვასაგან არის ნაწარმოები, ბერძნული *γρᾰμματικῆ* —ს ეტიმოლოგიის ზეგავლენით გამომუშავებულ ტერმინად ითვლება სომხურს სამეცნიერო ლიტერატურაში და ისიც ბერძენო — ფილური სკოლის მიერ VI—VII ს. (მითითებულია *Дιονисий Фракийский*, გვ. LXXII—LXXIII). უცხო და ქართულ ტერმინთა მსგავსი წარმოება უნებლიეთ გვევარაუდებინებს ისეთ შესაძლებლობას, რომ ეგებოს მათ შორის ფუნქციონალური მსგავსებაც სუფევდეს და „მჩხრეკელი“ „სამწიგნობრეში“ გაწვრთნილი ისეთი პირი იყოს, რომელიც თუ მწერალ—გამომთქმელი არა, მწერალ—გამმართველი მაინც იყოს თავისი ნაწერისა, ისე რომ იცავდეს ენის სისწორეს, შესაძლოა, რომელიმე სკოლის ნორმების მიხედვით. ამის დადასტურება თუ უარყოფა ქართული მასალის ჯეროვან შესწავლაზეა დამოკიდებული“.⁵⁵

54 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

55 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ—სომხური ფილოლოგიური შტუდიები, თსუ შრომები, VI, 1937, გვ. 2.

სამწუხსაროდ, მეცნიერი არ მიუთითებს წყაროს, სადაც ასეთი თანაფარლობა შეამჩნია.

ძველი სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში **ჩხრჩ** და **ჩხრახ** — **კამ** წმინდა სომხურ სიტყვებად არის მიჩნეული. **ჩხრახ** — **ნიშნავს**: ქვისმთლელი, მოქანდაკე, გრაფიკოსი, მკედელი. აგრეთვე მთხზველი, პოეტი, გრამატიკოსი.⁵⁶ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს მას საერთო ბერძნულ **γραφματοικη** — სთან.

საინტერესოა თავისთავად ვარაუდი იმისა, რომ ეს ტერმინი შეიძლება გამოხატავდეს რომელიმე სკოლის გარკვეულ თავისებურებას. ეს მოსაზრება მით უფრო დამაჯერებელია, რომ ტერმინი „მჩხრეკალი“ სისტემატურად სინურ ხელნაწერთა ანდერძებში გვხვდება. ამიტომაც, ამ ტერმინის მნიშვნელობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სინურ ხელნაწერებს და მათ შექმნაში „მჩხრეკალთა“ ფუნქციის გამოყოფას ენიჭება.

ყოველი „მჩხრეკალი“ ზრუნავდა ტექსტის სანდო დედნიდან გადაწერაზე. ამისათვის მას უხდებოდა „მართალი დედის“ ძებნა. 1174 წლით დათარიღებული სახარების (Sin — 19) ანდერძი შემდეგს გვამცნობს: „ქრისტეს მოყუარენო მამანო და ძმანო, ვისთანაცა მოიწიოს წმიდაჲ ესე სახარებაჲ შემდგომად ჩუენისა, ლოცვა ყავთ ღმრთისათჳს, და რომელი დამეკლოს, შემინდევით. ახალ თარგმნილისაგან დაგვიწერია და დედად დიად მართალ არს. ამათ

ძელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუაჲ არა ეწამების. . . ქრისტე: შეიწყალე. . . მიქაელ უცბად მჩხრეკალი.“⁵⁷

იგივეს გვაუწყებს სხვა სახარების (Sin — 81) გადამწერიც: „ალიწერა სახარებაჲ ლუკასი წელსა იე, შემდგომად ამაღლებისა უფლისა

56 Առ. Մ ա լ խ ա ս Խ ա ն ց , Հայքելն լուցատրսկան լուսարան,

Երեւան, 1945, 4, გვ. 570.

57 G. G a r i t t e, Catalogue des manuscrits. . . , გვ. 57.

ჩუენისა იესუ ქრისტესისა ზეცად. ქრისტე, შეიწყალე უ ც ბ ა დ
მ ჩ ხ რ ე კ ა ლ ი ი ო ვ ა ნ ე და ძმანი მისნი . . . წმიდანო მამა-
ნო . . . რომელი დამეკლოს, შემინდევით. ახალ თარგმნილისაგან და-
წერილ არს და დ ე დ ა დ მ ა რ თ ა ლ ი ა რ ს "58

გადამწერებს ტექსტისათვის საჭირო ყველა დედანი ყოველთვის
ერთდროულად ხელთ არ ჰქონდათ ხოლმე. ზოგჯერ ისინი იძულებულ-
ნი ყოფილან ერთი დედნის მიხედვით გადაეწერათ ახალი ტექსტი.
მიუხედავად ამისა, მათი კრიტიკული დამოკიდებულება დედნისადმი
არ ნელდებოდა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ XII საუკუნის
ხელნაწერის, Sin - 85 -ის ანდერძი: „ . . . რუმისა მე . . . გან დაეჩხრი-
კე ესე, ოდეს ვცან თუსა დ ე დ ა მ რ უ დ ი ა რ ს ო, სხუა
წიგნი ვითხოვე და მას გარდავატყუ დიდითა ხარკებითა. ამისთჳსა-
ცა მრავლად არს შიგან ჩართულიცა და ლიცა და კუალად-
ცა შემინდვეთ და ეგრე ცთვე ღმერთმან თქუნ . . .“⁵⁹ ხელნაწერი
შეიცავს იოვანე მახარებლის გამოცხადებას, გამოცხადების ანდრია
კესარიელისეულ თარგმანებას და დოროთეს ორ თხზულებას.

„მჩხრეკალები“ მხოლოდ დედნის შერჩევით არ იფარგლებოდნენ.
ისინი ადგენდნენ ახალ კრებულებსაც. სანიმუშოდ მოვიყვანთ XIV
ს-ით დათარიღებული ხელნაწერის Sin - 91 -ის ანდერძს. ხელნაწე-
რი წარმოადგენს აგიოგრაფიული ტექსტების კრებულს: „წმიდანო
მამანო და ძმანო, დიად მელმის და მტკივის, რომელ წინაუკმოდ და
არა მიწყებით სწერია ესე საკითხავები, და მიზეზი ესე არს: ოთხისა
თუ ხუთისა დედისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხვსა და სხვსა მონა-
სტრისაგან და ეამსა თჳსსა ვერ ვიპოვნი დედაჲ. აწ ვევედრები სიწ-
მიდესა თქუნესა: ამის ზანდუკითა და რიცხვთა მოიძევდით; და რო-
მელსაცა დღესა-საგალობელი თჳსაჲ ამათ წმიდათაჲ მიხუდებოდის,
მასვე დღესა ამათ საკითხავთა მოიძევდით და თანავე საგალობელსა

58 G. G a r i t t e, Catalogue des manuscrits. . . , გვ. 256.

59 Sin-85, lv (ხელნაწ. ინსტ. ფოტო), ტექსტი ნახევრად გადაშლი-
ლია და ცუდად იკითხება.

მის ღღისასა წარიკითხვედით . . . ოქროპირი, იოვანე ანჩელისა
ღღისწული, რომელმან ესე წიგნი დაეჭხრიკენ. თერთმეტი თუედე-
კენბერი არა ჩემი დაწერილ არს. . .“⁶⁰

ხელნაწერში მასალა დალაგებულია თვეების მიხედვით საკითხ-
ხავებად, იწყება სექტემბრის თვის საკითხავებით და თავდება იანვ-
რის თვით. ბოლოში ემატება ოქტომბრის თვის — ერთი, ნოემბრის
— ოთხი და დეკემბრის გამორჩენილი საკითხავეი. გადამწერი სწორედ
ამ გამოტოვებული საკითხავებისათვის იბოდიშებს მკითხველის წი-
ნაშე და თავის გასამართლებლად მიზეზს აღნიშნავს: დედნები ხელთ
არ მქონდაო. ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენდა მის მიერ გამოყე-
ნებული ხელნაწერები. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ
თვეების მიხედვით გაწყობილი საკითხავების კრებულს არცერთი
ამ დედანთაგანი არ წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში გა-
დამწერს საკუთარ კრებულში მასალა არ აერეოდა. როგორც ჩანს,
მას შეუკრებია წმინდანთა ცალკეული ცხოვრებები და მათგან შეუქ-
მნია ახალი, დედნებისაგან განსხვავებული წესით შედგენილი კრე-
ბული. ასეთ შემთხვევაში ამ ხელნაწერის შემქმნელი არ არის უბრა-
ლო გადამწერი, იგი არის მისი შემდგენელი, რედაქტორი.

1031 წ. საბა მკლეს მიერ შედგენილია კიდევ ერთი აგიოგრაფიუ-
ლი კრებული, Sin — 78. კრებულს ერთვის გადამწერის ანდერძი:
„ქრისტე, შეიწყალე საბა მკლე და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი, იამ-
ბაჲსათჳს ლოცვა ყავთ და უცბად ჩხრეკისათჳს შე-
მინდვეთ“.⁶¹

ხელნაწერში მრავალი ნაწარმოებია შეტანილი. იგი შეიცავს ბა-
სილი დიდას, გრიგოლისა და იოანე ოქროპირის სიტყვებს, ავგაროზი-
სა და ქრისტეს მიმოწერას, მათეს სახარების ორ თარგმანებას და
სხვ. მასალისათვის თავი მოუყრია და შემდეგ საკითხავებად დაულა-
გებია „მჩხრეკალს“. ამას გვაუწყებს მისი მომგებლისადმი დაწერილი

60 G a r i t t e, catalogue des manuscrits..., გვ. 290.

61 იქვე, გვ. 238.

ანდერძი: „ტკბილო მამაო იოვანე გოლგოთელი, ესე წიგნაი ქანქარი-
სა თარგმანი მომი ქსენებია კელითა კკრილე წუერდიდისაჲთა. აწ
ვითა მოიწიოს თქუენ წინაშე, მიბრძანეთ, დიად ნუგეშინის მეცემის,
ოდეს ჰამბავი ვცნა, რომელ გოლგოთას და სიონს ქველის მოქმედებ-
ნი უქმნიან ოკდალსა ჩუენსა. ქანქარსა დაეწყების და ვიდრე მწუხ-
რი შაბათამდე ყოველი აქა და მაგათ რვეულთა სწერია, ვითა იოვა-
ნე ოქროპირსა აღუწერია. და მნებავს, რომელ მაგას წმიდასა ადგილ-
სა სამარადისოდ იკითხვოდინ. . . , ესე, რომელ ბოლოსა დიდისა ჰა-
რასკევისა საკითხავი სწერია, არა თარგმანისაგანია. . . “. 62

„მჩხრეკალთა“ შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად
საქიროა, ნაწილობრივ მაინც გავითვალისწინოთ X საუკუნის სინელი
მოღვაწის, იოვანე-ზოსიმეს, ლიტერატურული მოღვაწეობა.

იოვანე-ზოსიმე, რომელიც თავის თავს, თითქმის ყოველთვის,
„მჩხრეკალს“ უწოდებს, მრავალი ხელნაწერის შემქმნელია. მისი მო-
ნაწილეობა ხელნაწერების შექმნაში სრულიად სხვადასხვაგვარია.
იგი შეიძლება გადამწერიც იყოს და მმოსველიც, ტექსტის შემრჩევი-
ცა და რედაქტორიც.“ 63

შევეხვით მისი მონაწილეობით შექმნილ რამდენიმე ხელნაწერს.
Sin -38, ხელნაწერი ნაკლულია, შეიცავს ოთხთავის ნაწილს, სახარე-
ბის განგებას, ქრონიკონსა და თვით იოვანე-ზოსიმეს ქართული ენი-
სადმი მიძღვნილ „ქებას“. დაკარგული ნაწილი, მომგებლის ანდერძის
თანახმად, ეზრა დაყუდებულს გადაუწერია, ხოლო დარჩენილი — იო-
ვანე-ზოსიმეს: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა ყოველთა
წმიდათა მისთაჲთა, მომემადლა. მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს, და
და ვ ჩ ხ რ ი კ ე წმიდაჲ ესე წიგნი ორი თავი სახარებაჲ — ლუკათ-
სი და იოვანესი — და სხუაჲ ესე ყოველი განგებაჲ კელითა ჩემითა
ფრიად ცოდვილითა, დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისა ჩემი-

62 Sin - 78, (ხელნაწ. ინსტ. ფოტო), 287r v.

63 ც.კ ა ნ კ ი ე ვ ი, პალესტინელ გადამწერ იოვანეთა შესახებ,
ხელნაწერი, გვ. 7.

სათა, დიად ხაშმმან და ბრმამან. და ვაჩინენ წმიდანი სახარებანი კანონისაგან შესამკობელად წმიდათა ეკლესიათა, წმიდათა მოძღუართა მიერ, ერთად შეკრებული სადიდებელად ყოველთა”.⁶⁴

ქრონიკონი და „ქებაჲ“ იოვანე-ზოსიმეს საკუთარი ინიციატივით დაურთავს სახარების ტექსტისათვის. ქრონიკონს მოსდევს ანდერძი, რომლის მიხედვითაც იგი იერუსალიმური დედნიდან ყოფილა გადაწერილი. ამრიგად, Sin – 38-ის შექმნისას იოვანე-ზოსიმეს ორი სხვადასხვა ხელნაწერი გამოუყენებია: სახარების დედანი და ქრონიკონის იერუსალიმური პირი. ამას უნდა დაეუმატოთ ის ხელნაწერიც, საიდანაც იგი გადაწერდა „ქებას“.

იოვანე-ზოსიმეს მიერ არის გადაწერილი ხელნაწერი Sin-6. ეს ხელნაწერიც წარმოადგენს აგიოგრაფიული ტექსტების კრებულს. იგი არა მარტო გადაუწერია იოვანე-ზოსიმეს, არამედ კიდევ შეუქმნია. ამას გვაფიქრებინებს მისი ერთი შენიშვნა. ხელნაწერის 223r – ზე სტეფანე მძოვრის „სწავლამს“ შემდეგ იოვანე-ზოსიმეს მომდევნო ტექსტის სათაური მიუწერია: „და კუალად სხუაჲ ჰაბავი ღამისთევისათვისცე და ლოცვისათვისცე თქუა მამამან წმიდამან თევდორე ვითარმედ მითხრა მე ბერისა.“ ამ სათაურის შემდეგ იოვანე-ზოსიმეს მიუწერია: „ესე თქუმული წინაჲთ მეორესა ღურცელსა შინა ჰპოო და შემინდვეთ და ლოცვა ყავთ, ამენ“. იოვანე-ზოსიმე ტექსტის გარკვეული ადგილების მისათითებლად ხშირად ხმარობს ტერმინებს: „ზემოჲთ“ და „წინაჲთ“. „ზემოჲთ“ ნიშნავს ადრე, ზევით, ხოლო „წინაჲთ“ – მომდევნოს.⁶⁵ მართლაც, ორი ღურცლის შემდეგ იწყება თევდორეს ღამისთევის მეორე ამბავი, რომელსაც ერთვის შემდეგი განმარტება: „ესეჲ უკუანაჲ სკნელ ვპოვე და აქა შინა შ ე ვ ჩ ხ რ ი კ ე. შემინდვეთ და ლოცვა ყავთ“.⁶⁶

64 G. Garrige, Catalogue des manuscrits..., გვ. 148.

65 ც. ქ ა ნ კ ი ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

66 Sin –6, 225r. (ხელნაწ. ინსტ. ვოტო).

ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ თევდორეს ღამისთევის მეორე ამბავი იოვანე-ზოსიმემ ხელნაწერს ბოლოს მიუმატა, რადგან იგი თავის დროზე ვერ უპოვია. ამ „ამბის“ ადგილი კი ყოფილა თევდორეს ღამისთევის პირველი ამბის შემდეგ. ხოლო ყველა სხვა ამბავი, კრებულის შემდგენლის, „მჩხრეკალის“, წინასწარ მოთიქრებული და გააზრებული მუშაობის შედეგად, თავის ადგილას მოხვედრილა. ცხადია, იოვანე-ზოსიმე არაერთ წყაროს გამოიყენებდა აღნიშნული კრებულის შესადგენად. ყოველი წყაროდან იგი არჩევდა ძასალას, კრებდა და გარკვეული რიგის მიხედვით ალაგებდა.

თუ რას გულისხმობს იოვანე-ზოსიმე „ჩხრეკაში“, საკმაოდ კარგად ჩანს ერთ მის ანდერძში, რომელიც დაერთვის მის მიერ გადაწერილ ხელნაწერს „ფსალმუნნი ჟამთანი“: „. . . ქრისტეც მოყუარენო და სანატრელნო და წმიდანო მამანო და ძმანო ჩემნო! პირველად შეგივრდები ყოველთა ვედრებითა . . . ესე ჟამნი ღიად მოშლილად არიან. დედად ნურვინ იმსახურებთ. ნუცა მას, ნუცა რომელიცა ჩემი და ჩხრეკილი მოგხუდეს. ამისთვს, წმიდანო ღმრთისანო, რამეთუ მიწყებით რეგუენი ვიყავ და სადაცა რაჟმე მეთი ვპოე ჩ. ა უ რ თ ი ჩ ე მ ი თ გულით. და რეცა მიხაროიან, და უფრო მსგან დავაკლი, და ზოგი გრძელი ლოცვაჲ ორად გავწყმდი, გინა სიტყუები მრავალგან ქუე და უტევი, გინა შეუმატი უცებობითა ღიად უგუნურებითა ჩემითა და უმოძღურობითა. . .“ 67

ამრიგად, ამ ანდერძის მიხედვით, „დაჩხრეკა“ ნიშნავს შემოკლებას მატებას, გაწყვეტას. ე.ი. განსხვავებული რედაქციის შექმნას.

„ჩხრეკის“ ამგვარ მნიშვნელობას კიდევ უფრო გამოკვეთილად უჩვენებს იოვანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი კრებული, Sin — 34. ამ კრებულის მომგებელიც თვით იოვანე-ზოსიმე ყოფილა: „მომმადლნა უფალმან დაწერად ლავრასა და უდაბნოსა წმიდისა ცოდვილისა და

67 იოვანე-ზოსიმეს ეს ანდერძი დამოწმებულია პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული 111, თბილისი, 1965, გვ. 367.

მშობელთა და ძმათა ჩემთა, ყოველთა მოკეთეთა, მოლუაწეთა ჩემთათჳს. აწ გვედრებთ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე, თქვენ ყოველთა ღმრთის მოყუარეთა და ძმათა ჩემთა, რომელნი იმსახურებთ ამათ იადგართა, მოგვკსენენით ჩუენ ცოდვილნი, რომელნი ესე ვსწერეთ წმიდისა ლოცუასა თქვენსა ცოცხალნი და მიცვალებულნი“. 68

ხელნაწერში ოთხი სხვადასხვა ხელი გამოიყოფა. მინაწერებში ვხვდებით სხვა გადამწერთა სახელებსაც: თომბა, გაბრიელ, გიორგი. იოვანე—ზოსიმეს მიერ შესრულებულია 24—146 ფურცლები. ხელნაწერს ახლავს იოვანე—ზოსიმეს მრავალრიცხოვანი შენიშვნა—მინაწერი.⁶⁹ კ.კეკელიძე ხელნაწერს „თავისებურ ენციკლოპედიას“ უწოდებს.⁷⁰ Sin — 34—ის შექმნაში იოვანე—ზოსიმეს როლის შესახებ ე.მეტრეველი წერს: „ამ ენციკლოპედიის შემდგენელს მარტო მასალის თავმოყრა არ ჰქონია მიზნად. სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა რედაქციული რაობის („ახალი“ და „ძველი“) ლიტერატურული მასალა იოანე—ზოსიმემ კრებულში გააერთიანა, შენიშვნა—განმარტებების საშუალებით შეაფასა და შეუფარდა მისი დროის ახალ საღვთისმსახურო პრაქტიკას. მან მეცნიერ—ლიტურგისტის თვალთ „გაჩხრიკა“ კრებულის მასალა“. ⁷¹ ამ ხელნაწერის მაგალითზე სავსებით ნათელია, რომ „მჩხრეკალი“ ნიშნავს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ გადამწერს.

„ჩხრეკის“ სპეციფიკურ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს Sin — 40-ის

68 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის. . . , გვ. 58.

69 Sin—34—ის მონაცემები გავითვალისწინეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლის, ც.კანკიევის მიერ შესრულებული აღწერილობის მიხედვით.

70 კ.კეკელიძე, ეტიუდები, V, თბილისი, 1957, გვ. 242.

71 ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე.მეტრეველმა, თბილისი, 1971, გვ. 019—020.

გადამწერის ანდერძიც: „ესე ი ა დ გ ა რ ა ნ ი დ ა ჩ ხ რ ე კ ი -
ლ ა ნ ი თეოდორე პალაერელმან დაყუდებულმან დამაწერინა ცო-
დვილსა მე, სკმეონს მგალობელსა და აწ გვედრებით ჩუენ, ორნივე
ცოდვილნი, ყოველთა, რომელნი იმსახურებდით იადგართა ამათ, რა-
მთა მოგვკსენნეთ ჩუენ, ცოდვილნი ესე, წმიდათა შინა ლოცვათა
თქუენტა, ამენ. და თქუენტა ქრისტემან შეგიწყალენინ, ამენ. დაი-
წერნეს საბაწმიდას შინა“.⁷²

საგულისხმოა, რომ იქვე, მომგებლის ანდერძში, ანალოგიურ კონ-
ტექსტში, „იადგარანი დაჩხრეკილანის“ ნაცვლად ნახმარია გამოთქ-
მა „იადგარნი გამოკრებულნი“: „სახელითა მამისა მთა და ძისა მთა
მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ, უნარჩევსი ყოველთა მღდელთა,
ღირს მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსლვად და დაჯდომად
ადგილსა, სადა მოსე უფალი იხილა და მუნ შენდა მოვიგენ წმიდანი
ესე ი ა დ გ ა რ ა ნ ი გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ ნ ი სასწავლებლად ჩემ-
და უცბისა“.⁷³

არ არის გამორიცხული, რომ ასევე გამომკრებელს ან რედაქტორს
აღნიშნავდეს „მჩხრეკალი“ სინური მრავალთავის ანდერძშიც. „ლო-
ცვა ყავთ ამონა მ ჩ ხ რ ე კ ლ ი ს ა თ ვ ი ს, ცოდვილისა ფრიად, წმი-
დანო“.⁷⁴

სინური მრავალთავი რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი.
პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად მასში შვიდი ხელი გამოიყო-
და.⁷⁵ გადაწერის მონაწილეთაგან კი მხოლოდ ამონა ასახელებს თა-
ვის თავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამონა სხვა გადამწერთაგან რა-
ღაც ნიშნით გამოირჩეოდა. ეს ნიშანი კი უნდა ჩანდეს ტერმინში
„მჩხრეკალი“. „მჩხრეკალს“ საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია
კრებულის შედგენისას. აქვე უნდა მოვიგონოთ ის ფაქტიც, რომ

72 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

73 იქვე

74 სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 299.

75 ც.კ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ წერი-
ლობით ძეგლებში, გვ. 61.

Sin - 34—ის მრავალრიცხოვან გადამწერთაგან მხოლოდ „მჩხრეკალი“ (იოვანე—ზოსიმე) აღგენს ვრცელ ანდრძობებს. მას განსაკუთრებული უპირატესობა აქვს დანარჩენ გადამწერებთან შედარებით.

მრავალთავეებში სტატიების შერჩევის დროს ანგარიში კონფესიურ მომენტს ეწეოდა. „ეს აშკარად ჩანს, როგორც ი. აბულაძე აღნიშნავს, სინური მრავალთავეის მასალაზე. მასში შეტანილია ზოგიერთი დოგმატიკურ—პოლემიკური სტატია, რომლებიც დიოფიზიტური სკოლის შეხედულებას ასაბუთებენ“.⁷⁶

მრავალთავეებში შეტანილი საკითხავები გარკვეული რიგით არის დალაგებული. ქართული მრავალთავეები მიეყება შესაბამისი ბერძნული კრებულების (Ποιλακεία) C (ყველაზე ძველ) ტიპს. იმ განსხვავებით, რომ ქართული მრავალთავეები იწყება ხარებისადმი მიძღვნილი საკითხავებით, ბერძნული C ტიპი კი — შობის საკითხავებით.⁷⁷

მიუხედავად იმისა, რომ მრავალთავეის შემდგენა გარკვეულ ტრადარეტს ემორჩილებოდა, მის შემდგენელზე მაინც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა შეეჩინა სტატიები კრებულისათვის და ზოგიერთი სიტყვა ან გამოთქმა თუ რაიმე თვალსაზრისით შეუწყენარებლად მიაჩნდა, შეეცვალა.⁷⁸ მრავალთავეების ნუსხებს შორის არსებული წაკითხვა—სხვაობანი სწორედ უმთავრესად სიტყვატვალებისა და ნაკაზმობისაგან მომდინარეობენ.⁷⁹

76 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მრავალთავეი, ენიმკის მოამბე, XI V, 1944, გვ. 242—251.

77 ბერძნული ლიტურგიკული კრებულის შესახებ იხ. A. E h r a r d, *Überlieferung und bestand der hagiographischen und homiletischen literatur der Griechischen kirche, Ertster Teil die Überlieferung*, 3 Bd. Leipzig, 1937, 1938, 1943—1952 ქართული და ბერძნული მრავალთავეების ურთიერთობის შესახებ იხ. G. G a r i t t e, *Catalogue des manuscrits. . .*, გვ. 93.

78 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 242—251.

79 იქვე, გვ. 246.

სინური მრავალთავეიგარდა კითხვა—სხვაობებისა, სხვა თავისებურებასაც უჩვენებს. მასში წარმოდგენილი ზოგიერთი ტექსტი, რომელიც ყველა სხვა მრავალთავეში ერთ საკითხავს წარმოადგენს, სინურში დაყოფილია და ცალკე საკითხავების სახით არის გატანილი.⁸⁰ ასეთი რიგის ცვლილებები შეეძლო შეეტანა მხოლოდ მრავალთავეის შემქმნელთა საერთო ხელმძღვანელს, რედაქტორს, რომელიც ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, უნდა იყოს „ამონა მჩხრეკალი“.

აღნიშნული მნიშვნელობებით ტერმინები ჩ ხ რ ე კ ა და მ ჩ ხ რ ე კ ა ლ ი მხოლოდ სინურ ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ არა ყოველთვის. დაახლოებით XII საუკუნიდან აშკარა ხდება მათი ტენდენცია, რომ მნიშვნელობით „წერასა“ და მწერალს“ გაუტოლდნენ.

X

X

X

ხელნაწერ წიგნთა შედგენილობა, სხვადასხვა ეპარქის თხზულებათა ტექსტების განსხვავებული ორგანიზაციის წესები, წიგნის მხატვრული და ტექნიკური გაფორმების ხერხები გადამწერ ხელოსანთა გარკვეულ პროფესიულ ღონეს უჩვენებს.

ს. გამსახურდიას აზრით, ხელოსანთა ის ნაწილი, რომელიც წიგნებს ამზადებდა, წერა—კითხვას, გრამატიკას და ქართულ ლიტერატურას სწავლობდა⁸¹ მაგრამ იმისათვის, რომ „მწერლებს“ მასა-

80) თ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, კირილე იერუსალიმელის ძველი ქართული თარგმანები (IX—XI სს. ხელნაწერების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად)თბილისი, 1972, გვ.036—037.

ასეთი მოვლენა მარტო სინურ მრავალთავეში არ ყოფილა. ანალოგიური ფაქტი გამოავლინა ესპროკმა აჰონის მრავალთავეში: M. E s b r o e c k, La traite sur la Pâque de Meliton de Sardes en Géorgien, Le Musée, 84, 1971, გვ. 373—395.

81) С. В. Г а м с а х у р д и я, История просвещения в феодальной Грузии, автореферат диссертации на соиск.уч.степени доктора ист. наук. Тбилиси, 1971, გვ. 48.

ლა შეერჩიათ, გადაეწერათ და შესაფერისად გაეფორმებინათ, გაცი-
ლებით მეტი თეორიული ცოდნის მიღება დასჭირდებოდათ, ვიდრე
ამას ზემოჩამოთვლილი საგნები შესძენდა. სულ ცოტა, მათ უნდა სცოდ-
ნოდათ ის პრაქტიკული დანიშნულების საგნები, რომლებსაც ქრის-
ტიანულ პირველდაწყებით სკოლებში ასწავლიდნენ. ასეთებია: ლი-
ტურგიკა, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა⁸²

სად და რა პირობებში უნდა მომხდარიყო „მწერალთა“ კადრებ-
ის მომზადება და ვინ იყვნენ მათი მასწავლებლები?

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, „საშუა-
ლო საუკუნეების ქართული მონასტრები არა მარტო სარწმუნოებრივ-
ზნეობრივი ცოდნის შექმნის ცენტრი იყო, არამედ სათანადო ხელო-
ბის, ხელოსნობის შესწავლის მნიშვნელოვანი კერაც. ყველაზე გავრ-
ცელებულ ხელობას კი მონასტრის ძმობაში „ქელი მწიგნობრობი-
საჲ“ წარმოადგენდა“.⁸³

ქრისტიანულ პირველდაწყებითი განათლების სკოლებში მოსწავ-
ლეთა რეგლამენტაცია ასაკის მიხედვით არ იყო მიღებული. სწავლის
დაწყება შეეძლოთ როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს.⁸⁴

ასევე ყოფილა საქართველოშიც, მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე-
წლოვანთა სასწავლოდ მიბარების წესს გარკვეული უპირატესობა
ჰქონია. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც რუის-ურბნისის კრების ძეგლის-
წერაში შეტანილ წიგნის მკითხველს დადგინების წესს განიხილავს,
აღნიშნავს: „რვა წლის ბავშვს უკვე იმოდენა განათლება ჰქონია,
რომ მღვდელმსახურებაში ასეთი თანამდებობისა და შეგნებული მო-
ნაწილეობის მიღება შესძლებია“.⁸⁵

82 კ. კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია 1, გვ. 80.

83 შ. მ ე ს ხ ი ა, ა, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგა-
ნიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში,
მიმომხილველი 1, 1949, გვ. 71.

84 История Византии, 11, М, 1967, გვ. 5.

85 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია 11,
6. 11, თბილისი, 1929, გვ. 5.

ილარიონ ქართველის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ ექვსი წლის ილარიონი მიჰგეარეს სასწავლად „ღირს კაცს“: „და იქმნა რაჲ ესე ექუსის წლის, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა და ლუთის მოყუარესა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამაჲ ნეტარისაჲ მის, და ასწავლიდა იგი მას წიგნთა სულიერთა დღე და ღამე, და ირწყევებოდა იგი ვითა ხც, დანერგული ლუთისა მიერ თანა წარსადინელსა წყალთა მათ სულისა წმიდისათა, რომელ არიან წიგნნი ლუთიე სულიერნი“.⁸⁶ ხოლო გიორგი მთაწმიდელი და მისი და თეკლა შვიდი წლისანი მიუბარებიან მონასტერში აღსაზრდელად.⁸⁷

სხვადასხვა ასაკში შეიძლებოდა „მწერლის“ ხელობის შესწავლაც, მაგალითად, ათონის სკოლის ცნობილ გადამწერს, იოვანე გრძელისძეს მწერლობის შესწავლა გვიან დაუწყია: „... ლოცვა ჰყავთ ღმერთ შემოსილისა, სულით და ხორციით წმიდისა მამისა ეფთიმესტჱს, რომლისა ზეობასა ეწერთ, და წმიდათა ბერთათჱს არსენი ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერლისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელიისძისათჱს, რომელ მან დიდითა წადიერებითა იხარკა ამის წიგნისა შემზადებაჲ და უფროჲს ხოლო წმიდისა ეფთიმის თარგმანებულთათჱს . . . თუ რაჲ დამეკლოს, გინა დაეკლო, წაღმართ სიყრმით განარამესწავლა წერაჲ, შემინდევით შრომისათჱს, კვლა ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა ოქროპირისათჱს.“⁸⁸

მართალია, თვით იოვანე გრძელისძეს გვიან დაუწყია ხელობის შესწავლა, მაგრამ მისივე ანდერძი მიგვანიშნებს, რომ „წერაჲს სწავლას“ ყრმობის ასაკში გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა.

მაგრამ მცირეწლოვან ბავშვებს მრავალი მონასტრის წესდება უკრძალავდა მონასტერში შესვლას. მაგალითად, სასტიკად იყო აკრ-

86 ძეგლები, 11, გვ. 10.

87 იქვე, გვ. 113.

88 ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), 1 V, № 1103, გვ. 80.

ძალული ბავშვების მიყვანა გრიგოლ ხანტაელის თაოსნობით აშენებულ მონასტრებში. როდესაც გრიგოლმა მცირეწლოვანი ეფრემი და არსენი მიიყვანა ხანტას, ძმათა შორის „დრტკნეაჲ იყო ყრმათა მათთვის მოყვანებისჲ. მათ მოახსენეს მამა გრიგოლს: „საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი, თქნიერ ამისსა, რომელ ყრმათა ესე მოიყვანენ და წესსა, შენგან დამტკიცებულსა, შენ ზევე გამოეჭეუების მომავალთა ჟამთა საკდემელად ჩუენდა“.⁸⁹

მსგავს ცნობას შეიცავს იოანესა და ელთვიმის ცხოვრება: „კუალად უკუეთუ ძმათა ვიეთმე მოიყვანნიან თქსნი ნათესავნი უწუერულნი, მამასადაჲ ჰნებავს, რაჲთამცა ისწავლეს სწავლამ და ჯელოვნებამ. გარნა მონასტერსა არა დაიშკირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის, სადა იცოდის უმჯობესი და სულიერი და გამოცდილი იკონომოსი, და მუნ აღიზარდნიან. და ოდეს წუერითა შეიმონნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად“.⁹⁰

მოყვანილი ადგილი მრავალმხრივ საინტერესოა. იგი გვატყობინებს, რომ მონასტერი თავის ტერიტორიაზე „უწუერულთ“ არ ტოვებდა, მაგრამ რადგან მომავალში გამოსადეგი „სწავლისა და ჰელოვნების“ მცოდნე კადრები არ სურდა დაეკარგა, „გარე სოფელში“ გზავნიდა. „უწუერულთ“ გაზრდის შემდეგ კი მონასტერში აბრუნებდა.

ვფიქრობთ, რომ გამოთქმაში „გარე სოფელთა“ იგულისხმება მონასტრიდან ტერიტორიულად დაცილებული, მაგრამ მისდამი ორგანიზაციულად დაქვემდებარებული სამონასტრო სასწავლებელი, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვები ეუფლებოდნენ სხვადასხვა ხელობას და იძენდნენ სამონასტრო ცხოვრებისათვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას. ასეთ სასწავლებელს, წყაროს ცნობით, ხელმძღვანელობას

⁸⁹ ძეგლები, 1, გვ. 271.

⁹⁰ ძეგლები, 11, გვ. 82.

(ალბათ სამეურნოს) იკონომოსი უწევდა.

სამონასტრო სკოლაზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პეტრიწონის მონასტრის წესდება. მცირეწლოვანთა შეშვება მონასტრის ტერიტორიაზე ამ წესდებითაც აკრძალული იყო: „ არა მნებავს, უკუე რაფთურთ შესღეაფ დედაკაცისაფ ეკლესიასა ჩემსა გინამონასტერსა რაფთაჲთა მიზეზითა, არცა ცოლოსისა კაცისა დამკვდრება საზღვართა მისთა, გინაფ თუ მოყმისა ვისიმე უწუერულისა, რაფთა არასადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარათა იყენენ.“ 91

ამიტომაც, გრიგოლ ბაკურიანისძემ ის სკოლა, რომელიც ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად დაუარსა მონასტერს, მონასტრის ძირითად ტერიტორიას შორს მოაცილა: „ განვაწესეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოსწავლეთა ნიკოლწმიდას, რომელ არს მახლობლად ციხისა სოხასტერი...“ 92 მასწავლებლად მივლინებული იყო მონასტრის მსახურთაგან „მღდელი ერთი წმიდაფ და მოლუაწე მოხუცებულთაგანი, ღირსად ჟამის მწირველი“. 93

სკოლა ორგანიზაციულად მთლიანად მონასტერს ემორჩილებოდა. მოსწავლეები სასმელ—საქმელს და ტანისამოსს მონასტრისაგან იღებდნენ, სწავლის დასრულების შემდეგ, ღირსეულებს ეკლესიის მსახურებად ტოვებდნენ. 94

მცირეწლოვანთა შეშვებას მონასტერში სასტიკად კრძალავს „ვაჰანის ქებათა განგებაც“: „ნუმცა ღიაკონი იზრდების მას შინა, გინა უწუერული ყრმაფ, ნუცამცა ვინ იკადრებს თვისსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უჰასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერსა. შინა ნურომლისა

91 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბილისი, 1971, გვ. 116.

92 იქვე.

93 იქვე.

94 იქვე, გვ. 22.

მიზეზისა მოღებითა“.⁹⁵

მაგრამ ზოგიერთ მონასტერში ეს წესი არ მოქმედებდა. გიორგი მთაწმიდლის დედ-მამამ თავიანთი ქალიშვილი თეკლა, როცა ის შვილი წლის გახდა, „წარიყვანეს სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების. და მისცეს იგი კელთა წინამძღუარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბაია ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი უკისი, და კეთილად აღზარდა“⁹⁶ ამავე მონასტერს შესწირეს მათ შვილი წლის გიორგი: „და ესრეთ ვითარცა ახალნერგი შეუენიერი იზარდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა ღისა თვისისა. . .“⁹⁷.

მასწავლებელს ძველად ეწოდებოდა „მოდღვარი“. ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მოდღვარი მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფენი ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრივად მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოდღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობასა, მეცნიერებასა და რომელიმე ხელობას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოდღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა“.⁹⁸

კ.კეკელიძის აზრით, „მოდღვარნი“ უნდა ყოფილიყვნენ ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე.“⁹⁹

„მოდღვრის“ ფუნქციებს რამდენადმე ავიწროებს ნ.ბერძენიშვილი. გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიის მასალების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ „მოდღვარი“ უპირატესად წეს-სათნობის მაგალითია და მასწავლებელი, მწვრთნელია, აღმზრდელია და არა წიგნის მას-

95 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 143.

96 ძეგლები, II, გვ. 111.

97 იქვე, გვ. 113.

98 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

99 კ.კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

წავლებელი“ 100

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ტერმინი „მოდღვარი“. ეს მაგალითები ადასტურებს იმ აზრს, რომ მოძღვარი სულიერი დამრიგებლის გარდა ნიშნავდა სხვადასხვა ხელობის მასწავლებელს. ასე მაგალითად, სებერიანე გაბალოვნელის „მოციქულთა საქსენებელში“ გვხვდება „ქელოვანთ — მოძღვარი“: „გუშინდელი იგი სიტყუაჲ თუალსაჲა გუამისასა სანთლად იტყოდა: დამაკურვა ჩუენ, შუენიერებასა მას ბუნებისასა გკთხრობდა და მეცნიერებასა ჳ ე ლ ვ ა ნ თ მ ო ძ ლ უ ა რ ს ა დაჰკურდებოდა.“¹⁰¹

სომხურ ტექსტშია: ხրեկի ნათმი վասն ական մսմսնոյ գարմացոյց գսգ գգսկ ւնուքեանն մსկնէլ, և ևնդ ի մատուկ ի մ ն ա ռ տ ա ղ ա պ ե տ ի ն գարմանայր 102.

სომხური ნაყოიყაყხთ, რომელსაც ქართულში შეესამტყვისება „ქელოვანთ მოძღვარი“, ნიშნავს ხელოსანს, ხუროთმოძღვარს, მხატვრობის მასწავლებელს.

„მოდღვარი“ რომ სხვადასხვა ხელობის, და კერძოდ, ხელნაწერთა დამზადების საქმის მასწავლებელს ერქვა, ამას XIV საუკუნის ლარგველი მოღვაწის, აგგაროზ ბანდაძის ანდერძი გვაუწყებს: ანდერძი დაერთვის მის მიერ გადაწერილ პარაკლიტონს (A-575): წყალობითა ღმრთისათა მომეცა თ ვ ნ ი ე რ მ ო ძ ლ უ რ ი ს ა ჳ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ესევეთარი: პირველად ჳელი სწავაჲ ხუცობისა, ჳელი მეორე მწიგნობრობისაჲ, ჳელი მესამე — წერაჲ ხუცურისაჲ, ჳელი მეოთხე — შექმნაჲ ეტრატისაჲ, ჳელი მეხუთე — შეკრვაჲ წიგნისაჲ, ჳელი მეექუსე — მხატვრობაჲ, ჳელი მეშვიდე — მკერვალობაჲ, ჳელი მერვე — ტყავის კერვისაჲ, ჳელი მეცხრე — ხუროვნობისაჲ, ჳელი მეათე

100 მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 13.

101 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963, გვ. 89.

102 იქვე.

— მსოფლიო მუშაობისაჲ“¹⁰³

ანდერძში, სხვა მრავალ ხელობათა შორის, მოხსენებულია“წერაჲ ხუცურისაჲ“, შექმნაჲ ეტრატისაჲ, „შეკრებაჲ წიგნისაჲ“, რო, მღებიც ავეგაროზ ბანდაისძეს მასწავლებლის, ანუ „მოძღვრის“ გარეშე შეუსწავლია.

ზოგჯერ ხელნაწერთა ანდერძებში გადამწერები იხსენიებენ კიდევ თავიანთ „მოძღვრებს“. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება XI საუკუნეში გადაწერილი სახარების (A—845) გადამწერი „შავ ზაქარია“: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა უდაბნოსა ლერწმოს ქვევისასა ზღვისპირას, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობლად სელეგციისა ქელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ ზაქარიაჲსითა. მადლითა და ლოცვითა მოძღუარი ს ა ჩ ე მ ი ს ა საბა პროკოპეწმიდელისაჲთა, რომელი მკვდრიყო მონასტერსა წმიდისა სვეტონ საკვრველთმქმედისასა... და მოწაფესა მისსა დანიელს შეუდგენ ღმერთმან...“¹⁰⁴

„შავ ზაქარია“, როგორც ჩანს, ანდერძის დაწერის დროისათვის უკვე აღარ არის „მოწაფე“. იგი და მისი ყოფილი „მოძღვარი“ სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობენ. მოძღვარს ზაქარიასთან ერთად სხვა მოწაფეც ჰყოლია, დანიელი.

„მოძღვარს“ სხვა პირებთან ერთად, იხსენიებს Sin—19-ის გადამწერი მიქაელი: „დიდებაჲ შენდა, უფალო, დაიწერა სახარებაჲ

103 ხელნაწ. A—575, 155 r.

შ.მესხიას ვარაუდით, ავეგაროზ ბანდაისძეს ეკუთვნის ლენინგრადში აღმოჩენილი „ძეგლი ერისთავთას“ ტექსტში ჩართული ქსნის ერისთავის, ვირშელ მესამის პორტრეტი. „ძეგლი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მ ე ს ხ ი ა მ მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 6. 30, 1954, გვ. 320—321.

104 М.Г.Д. ж а н а ш в и л и, Описание рукописей Церковного музея, кн .111,Тифлис, 1908, გვ. 61.

ლუკასი თავი ამალღებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა ზეცად წელსა მეათხუთმეტესა. ლოცვა ყავთ, ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი დავით და მიქაელ და კიტაჲ და სკმიონ და მშობელნი და ძმანი მათნი, ამენ".¹⁰⁵

„მოძღვარს“ ხშირად იხსენიებს იოვანე—ზოსიმე: „მომემაღლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს და დავჩხრიკე წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი ჳელითა ჩემ ცოდვილისაჲთა, დიდად ხაშმმან და ბრმამან... თანაშეწევნითა ძმათა ჩემთაჲთა გიორგისითა და კკრიკესითა და მოძღურისა ჩუენისა გაბრიელისითა, და შეეწირეთ მუნვე მთასა წმიდასა სინასა“.¹⁰⁶

იგივე გაბრიელ მოძღვარს ვხვდებით Sin—30—ის ანდერძშიც, ამ ანდერძში თვით იოვანე—ზოსიმეს გარდა, ჩამოთვლილია გაბრიელ მოძღვრის სხვა მოწაფეებიც, „სახელითა მამისათა . . . მომემაღლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს და დავჩხრიკე ჳელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისაჲთა წმიდა ესე წიგნი კანონი. . . დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა წმიდა ესე წიგნი სინა წმიდას, ჳელითა იოანესი, ფრიად ცოდვილისაჲთა. . ., ქრისტე, შეიწყალენ იოანე სალოცუცლად დამჩხრეკელი და კკრიკე მომგებელი და გიორგი მათთანა მწერალი და გაბრიელ, მოძღუარი ჩუენი ყოველთა და მაქსიმე და მიქაელ და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენო“.¹⁰⁷

მოძღვარზეა ლაპარაკი 978 წელს გადაწერილი კრებულის ანდერძში: „ქრისტე შეიწყალე საბა, ამისი მწერალი და იოვანე მმოსელი, ამინ. სახელითა. . . ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი საბა კუტი დაწერად ჳელითა წმიდისა ამის წიგნისა გამოცხადებისასა. . . შეწევნითა ღმრთისაჲთა. . . და ბრძანებითა სულიერისა მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა და ძმისა ჩემისა იოვანესითა და გულსმოდგი-

105 G. Garitte, Catalogue des manuscrits ..., გვ. 57.

106 იქვე, გვ. 48.

107 А.А.Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, каталог груз. рукописей синайского монастыря, Спб, 1889, გვ. 67—68.

ნედ ვიხარკე, რა მთა უცდომელად დაეწერო და კუალად შევაწამო.
და სადაც ვპოე გინათუ დაკლებული, ანუ შემატებული, კიდრე ასოდ
ერთადმდე, ყოველივე გავჰმართე .“¹⁰⁸

„მოდღვარი კვ რიკე“ და „ მოწაფე მისი მარკოზ“ მოხსენიებულ-
ნი არიან Jer.—68—ის მინაწერში.¹⁰⁹

„მოდღვრის“ სულს შენდობას უთელის გადამწერი პროხოზე.¹¹⁰
მარხვანის (Sin—5) გადამწერი იხსენიებს მოდღვარს, იოვანე გოლგო-
თელს,¹¹¹ სხვა მარხვანის (sin—75) ანდერძი გვაცნობს მოდღვარ სამო-
თხელს, რომელსაც რამდენიმე მოწაფე ჰყოლია: „შემინდვე კეთილო,
ესე აქამომდე მე დამიშავებია და წაღმართ სხუასა ვისმე დაუშავე-
ბია. ლოცვა ყავ, ღმერთმან გარწმუნოს. შეუწდვენ ღმერთმან მ ო ძ-
ლ უ ა რ ს ა ს ა მ ო თ ხ ე ლ ს ა და ყოველთა მოწაფეთა მისთა, და
მათეს, ამისსა დამჩხრეკელსა“.¹¹²

„მოდღვარი სტეფანე“ მოხსენიებულია მიქელ მორდეკილის იადგა-
რის ერთ მინაწერში.¹¹³

„მოდღვარ დიონისიოს“ ვხვდებით ელისე ჩიდანისძის ერთ სინურ
აღაპშიც: „სულსა მ ო ძ ლ უ ა რ ს ა ჩიდანისძესა დიონისიოს შეუწ-
დოს ღმერთმან, მეუღლე ყოფილსა მისსა მართას შეუწდოს ღმერთმან,
და ძეთა მათთა იოვანეს ჩიდანისძეს შეუწდოს ღმერთმან. და ამა მა-
ტიანისა ჭელითა მწერელსა ჩიდანისძესა ელია ყოფილსა ელისეს შე-
უწდოს ღმერთმან“.¹¹⁴

„მოდღვრისა“ და „მოწაფის“ დამოკიდებულების საკითხი სპეცია-
ლურ შესწავლას საჭიროებს და ამჯერად, მხოლოდ ზოგადად შევეხე-

108 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), 111, № 1346, გვ. 292.

109 R.P. B I a k e, Catalogue des manuscrits géorgiens. . . a Jérusalem, N68.

110 იქვე, № 48.

111 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის . . ., გვ. 15.

112 იქვე, გვ. 121.

113 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) 1 №425, გვ. 564.

114 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ., 244.

ბით მას. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, მოძღვრის უპირველესი მოვალეობა იყო მოწაფის ზნეობრივი სრულყოფის გზით წარმართვა.¹¹⁵ ამიტომაც, მოწაფე იყო მოძღვრის „სულიერი შვილი“: „მე, გლახაკმან სულითა და ჯორცითა, ღირს ვიქმენ დაწერად წმიდისა ამის წიგნისა ჩემ მიერ, ლაერასა შინა წმიდისა საბასასა, თანა შეწვევითა სულიერისა შვილისა ჩემისა ტიმოთესითა. . .“¹¹⁶ „ქრისტე ადიდე წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმე, ამის წიგნისა მთარგმნელი, და მამაჲ გრიგოლ მომგებელი შვილითურთ სულიერით. და ვისცა შრომაჲ თანა უც, ამენ“.¹¹⁷ ასევე „სულიერი შვილი“ იგულისხმება 1055 წლის კომილექტიკური კრებულის (Ier —14) ანდერძში, რომლის ავტორი თვით არის „მოძღვარი“: „დაიწერა და განსრულდა წმიდაჲ ესე წიგნი განმანათლებელი წმიდისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი მონასტრისთჳს ჯუარისა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროხორჳ ბრძანებითა და მოლუაწებითა კურთხეულისა მამისა ეფთჳმესითა. ქრისტემან მიეცი მადლი კეთილი. ჳელითა უღირსისა ბერისა იოვანე დვალისაჲ თა და შვილისა ჩემისა კურთხეულისა მიქაელისითა.“¹¹⁸

მოძღვარს უნდა განემარტა მოწაფისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი პრინციპები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ეფთჳიმე მთაწმიდლის მიერ გიორგი ბერისადმი მიწერილი წიგნი: „მოძღუართა, რომელთა მოწაფენი ესხნენ, უკეთუ წვალებასა, ანუ კაცის—კლვასა, ანუ ბრძანებასა და სხუასა რასმე ბილწებასა აწუეედეს მოძღუარი, არა აქვს ჳელმწიფებაჲ, და მოწაფე იგი თჳთ ურჩ ექმნეს, არა არს ბრალ მისდა. ამათ კულა საქმეთაგან კი-

115 მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა— აღზრდის შესახებ, გვ. 13.

116 G. G a r i t t e, Catalogue des manuscrits. . . , გვ. 143.

117 R. P. B l a k e, Catalogue des manuscrits géorgiens. . . de la lavre d'Iviron N21 გვ. 135.

118 მ ი ს ი ვ ე, Catalogue des manuscrits géorgiens. . . a Jérusalem, გვ. 36.

დეს სხუად, რაჲცა ამცნობს მოწაფესა, რომელი ეკითხოს ჯელმწიფებაჲ, თანა—აც მორჩილებამაჲ. 119

„მოწაფესაც“ გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა „მოძღვრის“ წინაშე. სახელდობრ, მას არ შეეძლო მოძღვრის დაუკითხავად მოწასტრის დატოვება, არ ჰქონდა უფლება განშორებოდა თავის მოძღვარს გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოძღვარი არ შეასრულებდა თავის ზნეობრივ ვალს: „ხოლო წარსელაჲ მოძღუროსაგან თუნაჲრ წამებისა მისისა არა ჯელმწიფების. უკეთუ კულა მოძღუარი იგი ადგილსა ეგვეითარსა ჯდეს, სადა ვნებანი იყვნენ და მოძღუარი უვნებელ იყოს და არაჲ ევნებოდეს, ხოლო მოწაფე დაცემასა შთავარდებოდის, ჰრქუას მოძღუარსა მას და მან არა იზრუნოს სულისა მისისაჲ და ამის პირისათჳს განეშოროს, მოწაფე იგი უბრალო არს.“

სხუა კულა არარაჲ არს მიზეზი ურჩებისაჲ და განშორებისა მისისაჲ მოძღუროსაგან. თუ ურჩებითა და თავხედობითა განეშოროს და არა შეჰრაცხონ მცნებაჲ მოძღუარისაჲ, სული თჳსი წარიწყმიდოს. 120

„მოძღუარი“ ვითარცა სულიერი მწყემსი, განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა ძმობის წევრთა შორის. მის პრივილეგიურებულ მდგომარეობაზე „ვაჰანის ქებათა განგების“ ერთი ცნობაც მოწმობს; „გაუჩინნე საჩოკედლა. . . მოძღუარსა ვიდრემე, ვითარცა მწყემსსა სულიერსა და უტომელსა წინამძღუარსა, მიეცემოდის ექსი დოკატი.“ მაშინ, როდესაც დეკანოზსა და იკონომოსს ოთხ--ოთხი დუკატი და ა.შ. 121

მიუხედავად ამისა, „მოძღვრის“ უფლებები განუსაზღვრელი არ იყო. მოძღვრებს ეკრძალებოდათ სხვა მოძღვართა მოწაფეების წართმევა, ისევე, როგორც მოწაფეებს არ შეეძლოთ ერთი მოძღვრის მიტოვება და მეორესთან გადასვლა: „არცა ვის ძმათაგანსა ჯელმწიფე-

119 ქართული სამართლის ძეგლები 111, გვ. 7.

120 იქვე,

121 იქვე, გვ. 139.

ბის მოწაფედ ყოფად სხვსა მოძღვრისა და არცა მოგებად მოწაფეთა, არცა შიგან მონასტრისა და არცა გარეთ.¹²²

ეს წესი „მოწაფეს“ აიძულებდა დაკმაყოფილებულიყო თავისი „მოძღვრის“ ცოდნითა და გამოცდილებით. მოწაფე ხდებოდა თავისი მოძღვრის მემკვიდრე, მისი ტრადიციის გამგრძელებელი. ამიტომაც, ამ წესს შეედლო ქცეულიყო ცალკეულ სამწერლო კერებს შორის არსებულ განსხვავებათა ერთ-ერთ მაპირობებელ ფაქტორად.

„მოძღვარსა“ და „მოწაფეს“ შორის ურთიერთობის ასე მკაცრად განსაზღვრა უკვე მიუთითებს მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობის არსებობაზე. ეს წინააღმდეგობა უფრო აშკარად თავს იჩენს გვიან, XVI–XVII საუკუნეებში, როცა ხელოსანი ბერები არად აგდებენ არც მოძღვრის, არც მონასტრის საერთო კონტროლს და დამატებითი გასამრჯელოს შოვნის მიზნით შორს ცილდებიან მონასტრის კედლებს.¹²³ ასეთი ფაქტები იმდენად გახშირებულა, რომ 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში სპეციალური მუხლი შეუტანიათ, რომელიც ასეთ „ურჩ მონაზონთა“ მონასტრიდან გაძევებას მოითხოვს: „ვამცნებთ მონაზონთა მემხოლოეთა: უკუეთუ, თვიონიერ ნებისა და შენდობისა თვისის მამისა და წინამძღვრისა გამოვიდეს მონასტრით, ყოვლადვე ნურავინ შეიწყნარებს მას, არამედ განაძინ, ვითარცა ურჩი კეშმარტიისა კანონისა და მორჩილების დამწინელი“.¹²⁴

X

X X
გადამწერთა შესახებ არსებულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მათი წოდებასთან (საერო ან სასულიერო) დამოკიდებულების საკითხს. საკითხისადმი ინტერესს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ გადამწერთა პროფესიის ისტო-

122 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 136.

123 ბ. ლ. მ. ი. ნ. ა. ძ. ე., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 148.

124 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 800.

რია ყველა ქვეყანაში მკიდროდ იყო დაკავშირებული სწავლა-განათლების კერების ისტორიასთან.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში ეკლესია წარმართავდა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას. იგი იყო მონოპოლისტი სწავლა-განათლების სფეროშიც. ამ მოვლენის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში ხელნაწერთა შექმნასთან დაკავშირებული ხელოსნობის დარგები სასულიერო წრეში ვითარდებოდა.^{1 25}

ამიტომაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელნაწერი წიგნის ისტორიის კვლევისას პირობითად ორ პერიოდს გამოყოფენ: სამონასტროს (რომის იმპერიის დაღმადან XI საუკუნის ბოლომდე) და საეროს (XIII საუკუნიდან ბექდვის შემოღებამდე).^{1 26}

XIII საუკუნიდან ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოქმნამ და მათმა ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია საერო სკოლების გაჩენა და ქალაქის ინტელიგენციის რიცხვის ზრდა. ყოველივე ამან გაზარდა მოთხოვნილება ხელნაწერი წიგნის შექმნელ ხელოსნებზე. მონასტრის სკრიპტორიუმებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ ხელნაწერებზე მზარდი მოთხოვნილება. იწყება ხელოსნობის განვითარების საერო პერიოდი.^{1 27}

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს მეზობელ კულტურულ ქვეყნებში?

სომხეთში, IX-XIII საუკუნეებში, ქალაქების ერთგვარი აღმავლობა შეინიშნება, რამაც ხელოსნობის მრავალი დარგის განვითარება გამოიწვია, მაგრამ ხელნაწერთა დამზადების საქმე ისევ სასუ-

125 В.Л.Р о м а н о в а, Некоторые вопросы организации производства рукописней книги во Франции.XIII-XIV вв.,Средние века, XIX, М., 1961, გვ. 84.

126 I. F e v r e, H. J. M a r t i n, L' apparation du livre, Paris, 1958. გვ. 1. ეს ავტორები დამოწმებულნი არიან В. Л. Р о м а н о в ა — დასახ. ნაშრომის მიხედვით.

127 В. Л. Р о м а н о в а, დასახ. ნაშრ. . . ., გვ. 85.

ლიერო წრის ხელში რჩება. მონასტრებთან არსებულ სკრიპტორიუმებში შეიმუშავეს სპეციალური წერილი ხელი (ე. წ. *πολυμαχία*), რომლითაც გასაყიდად განკუთვნილი ხელნაწერები იწერებოდა.¹²⁸

ბიზანტიის იმპერიაში ხელნაწერთა გადამწერები იყვნენ როგორც საერო, ასევე სასულიერო წოდების პირები. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბიზანტიაში განათლების კერებს ძირითადად საერო სკოლები წარმოადგენდა.¹²⁹ საერო წოდების გადამწერები საერო მოსახლეობის ლიტერატურულ მოთხოვნებს ემსახურებოდნენ.¹³⁰

სამონასტრო სკოლები ბიზანტიაში შედარებით მცირერიცხოვანი იყო. აქ სასულიერო განათლებას და ზოგიერთ სხვა პრაქტიკულ ცოდნას იძენდნენ ბერები, რომლებიც შემდეგ მიღებულ ცოდნას ისევ მონასტრებს ახმარდნენ. აქვე ეუფლებოდნენ წერის ხელოვნებას გადამწერი ბერები.¹³¹ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გადამწერ ბერთა მოღვაწეობა მონასტრებისათვის, იქიდანაც ჩანს, რომ XI საუკუნეში კონძულ პატმოსზე ხრისტოდულე ხუცესის მიერ დაარსებული მონასტრის ტიპიკონში საგანგებო მოთხოვნაა შეტანილი ხელნაწერებზე ზრუნვისა და ნუსხების გამრავლების შესახებ.¹³²

რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ამჟამად მიღებული აზრის თანახმად, ძველ რუსეთში, XI—XII საუკუნეებში, ხელნაწერთა გადაწერის საქმეს ემსახურებოდნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო წოდების პირები. მონასტრები, საეპისკოპოსოები და სამიტროპოლიტოები უმთავრესად ხელნაწერთა ცენზორები და მათი შექმნის ორგანიზატორები იყვნენ, ისინი წარმოადგენდნენ აგრეთვე შუამავლებს

128 В.И. А р а к е л я н, Города Армении в IX—XIII в. Автореферат, Ереван, 1954, გვ. 21.

129 I. M. H u s s e n, Church and learning in the Byzantine Empire, 867—1185, London, 1937, გვ. 23.

130 А.И. К а ж д а н, Византийская литература, М., 1968, გვ. 67.

131 I. M. H u s s e n, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

132 იქვე, გვ. 192—195.

მომგებლებსა და შემსრულებლებს შორის. მაგრამ თვით შემსრულებლები ყოველთვის სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდნენ¹³³ კ.კარსკისა და ბ.რიბაკოვის გამოთვლით, მონღოლებამდე პერიოდის რუსეთში გადაწერილ ხელნაწერთაგან ნახევარი დაბალი საერო წოდების გადამწერ ხელოსანთა მიერ არის შექმნილი, ხოლო მონღოლების შემდგომ — ნახევარზე მეტი¹³⁴ საერო პირის მიერ გადაწერილადაა მიჩნეული XI საუკუნის ცნობილი ხელნაწერი ე. წ. „პუტიატას თვენი“¹³⁵

რუსეთში ხელნაწერთა დამზადებისა და გავრცელების საქმის ეკლესიისაგან მოცილების ფაქტი ახსნილია იმ ზოგადი დებულებით, რომ საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება იწვევს დამწერლობის როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹³⁶

თავიანთი მოსაზრების დასაბუთებისას სპეციალისტები ეყრდნობიან გადამწერთა ისეთ ანდერძებს, რომლებშიც ისინი თავიანთ სასულიერო წრისადმი კუთვნილებას არ აღნიშნავენ. ხოლო ისეთი გამოთქმები, როგორცაა „გლახაკი“, „ცოდვილი მონა ღვთისა“ და სხვა ამგვარი, არ არის მიჩნეული მათ მიერ საკმარისად გადამწერთა სასულიერო წოდებისადმი მისაკუთვნებლად.¹³⁷ მაგრამ აღნიშნული მონაცემები არც იმის საკმაო საბუთია, რომ ამ ანდერძების ავტორებად საერო პირები მივიჩნიოთ. ამიტომაც ეს მოსაზრება დამაჯერებლობას მოკლებულია.

ხელნაწერთა დამზადების საქმე თავისი სპეციფიური ბუნების გამო (ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთობლიობა) ხელოსნობის ისეთ დარგს წარმოადგენდა, რომელიც აუცილებლად სწავლა-განა-

133 Б.А.Р ы б а к о в, Ремесло древней Руси М., 1948, გვ. 685.

134 ი ქ ვ ე, გვ. 686; Е.Ф.К а р с к и й, Славянская кирилловская палеография, Л., 1928, გვ., 261.

135 Н.Н.Р о з о в, Русская рукописная книга, Л., 1971, გვ. 29.

136 М.Н.Т и х о м и р о в, Городская письменность в древней Руси XI-XIII в.в., Труды отдела древнерусской литературы, IX, 1953, გვ. 53.

137 Б.А.Р ы б а к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 686.

თლების კერებთან უნდა არსებულებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში ანუ კერებს მონასტრები წარმოადგენდა.¹³⁸

ამავე დროს ქართულ მონასტერში ხელსაყრელი პირობები წარმოიქმნა ხელოსნობის გარკვეული დარგების განვითარებისათვის.¹³⁹ უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის „მწერალთა“ ხელობაზე. ამიტომ არის, რომ ფეოდალურ საქართველოში XIY საუკუნემდე პროფესიონალ გადამწერებად მხოლოდ სასულიერო წრის წარმომადგენლები გვხვდებიან.

XIY საუკუნემდე ჩვენთვის ცნობილი ყველა გადამწერი სასულიერო პირია. აღნიშნული საუკუნიდან კი გადამწერთა შორის საერო წოდების ხელოსნებსაც ვხვდებით.

რას უნდა გამოეწვია მწერალთა პროფესიის გამოსვლა ეკლესია-მონასტრების საზღვრებიდან და მისი საერო ხელობათა რიგში ჩადგომა? თუ სხვა ქვეყნებში ამ მოვლენის მიზეზი ქალაქების ზრდა და საერთო ეკონომიური და კულტურული აღმავლობა იყო, საქართველოში ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო პროცესი შეინიშნება.

მონღოლთა შემოსევამ XI11 საუკუნის 30-იან წლებში, მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ, შემდეგ კი თემურ-ლენგის მრავალრიცხოვანმა ლაშქრობებმა ძლიერ დასცა ეკონომიური ცხოვრების დონე, მოშალა ფეოდალური მეურნეობა, შეამცირა მწარმოებელი ძალა, და აკნინა ადრე აყვავებული ქალაქები. მომზადდა პირობები ფეოდალური დაქუცმაცებულიობისათვის.¹⁴⁰ მრავალი ქართული მონასტერი, როგორც კულტურული მოღვაწეობის ცენტრი, XI11 საუკუნიდან დაეცა მნიშვნელობას კარგავს (ასეთთა შორის შეიძლება დავასახე-

138 ამის შესახებ იხ. კ. ე. ე. ე. ლ. ი. დ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 80-109; ლ. მ. ე. ნ. ბ. დ. ე., ძველი ქართული მწერლობის კერები, 1, თბილისი, 1962, გ. 1, 11.

139 შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 57-80.

140 Ш.А.М е с х и я, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. გვ. 46-53, 90-102.

ლოთ ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის და სხვა კუთხეების მონასტრები, რომლებიც ადრე განთქმული იყვნენ ლიტერატურული საქმიანობით)¹⁴¹ ამიერიდან მონასტრებს აღარ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ არსებული (თუნდაც შემცირებული) მოთხოვნილება ხელნაწერ წიგნებზე. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, ჩვენი აზრით, უნდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ ხელნაწერთა დამზადების საქმემ საერო წოდების ხელოსანთა შორისაც მოიკიდა ფეხი.

პირდაპირი ცნობა საერო წოდების გადამწერების შესახებ შემოუნახავს XI ს საუკუნის სახარებას (A-738). მის ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ჰპოო სახარებაჲ —სამოციქულო სამისა ამაოთხისა სახარებაჲ—სამოციქულოსა ბოლოსა. ღმერთმან უწყის, არცა დედასაჲ შიგა ეწერა და ზედა მისთვის ვერა დაეწერე, ე რ ი ს ა კ ა ც ი ვ ი ყ ა კ უ ხ უ ც ო ჲ“¹⁴²

XVI—XVII საუკუნეებში საერო წოდების გადამწერ ხელოსანთა რიცხვი მატულობს. ისინი თავიანთი ვინაობის შესახებ ძალზე ცოტას გვაუწყებენ. ზოგჯერ მხოლოდ სახელსა და გვარს. მაგრამ სწორედ ეს სახელები გვეხმარება ჩვენ მათი დაბალი სოციალური წარმომავლობისა და საერო წოდების დადგენაში; ასე მაგალითად, ბარალიანი ზურაბა,¹⁴³ უდელი ბალაშვილი ბატონჯანა,¹⁴⁴ გიორგი მირიმიანთ ამირადას შვილი,¹⁴⁵ გვრივიძე ბაგრატ ბაზიზაშვილი,¹⁴⁶ გოგია,¹⁴⁷ გოგრიჭია ნათანელ,¹⁴⁸ და ვით ბაღდასარაშვილი,¹⁴⁹ ტუქაანთ ჰაპა-

141 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., 6. 11 გვ. 383—476.

142 ხელნაწ. A—738, 116 r.

143 მის მიერ არის გადაწერილი ხელნაწ. A—1 330, იგი მოიხსენიება 31 r. —ზე.

144 ხელნაწ. Q —5 35, 229v ცსსა ხელნაწ. № 421, 178 v .

145 ხელნაწ. H -- 404, 173v.

146 ხელნაწ. H —300, 259v.

147 ხელნაწ. S —1 444, 11 r .

148 ხელნაწ. Q —61 3, 5 r .

149 ცსსა ხელნაწ. № 610, 12 v.

სწვლილი დავეთ,¹⁵⁰ ზორაბი,¹⁵¹ ზურაბი,¹⁵² კაკუნა¹⁵³ და მრავალი სხვ.

XYI საუკუნის 11 ნახევარში ტანძიაში მოღვაწეობენ ბედის-მწერლისშვილთა საგვარეულოდან გამოსული „მწერლები“¹⁵⁴ ამავე ხანაში გადაწერილი კრებულის (A-69) გადაწერაში ორ პირს მიუ-ღია მონაწილეობა. სასულიეროს და საეროს: „ვიდრე აქომამდე ყოვ-ლად უღირსმან ზაქარია ვილუაწე და აქათით ვიდრე დასასრულამე ერისაგანმან ძმამან ჩემმან ზაზუნამან, გუწუქეჟდით, ჩუცნ ლოცვა-სა არა ღირს ვართ“.¹⁵⁵

ზოგიერთ ქალაქში „მწერლები“ ერთიანდებოდნენ ხელოსნურ სა-ამქროებში სხვა ხელობის წარმომადგენლებთან ერთად. მაგ. დუშე-თში ერთ სახელოსნო საამქროში მუშაობდნენ: მზარეული, მღებავი, თერძი, ხარაზი, მწერალი, მკერავი და სხვ.¹⁵⁶

ადვილი შესაძლებელია, რომ დიდ ქალაქებში მათ ცალკე სახელო-სნოებიც კი ჰქონოდათ, ანდა გაერთიანებულიყვნენ ერთ საამქროში მომიჯნავე ხელობის წარმომადგენლებთან. მაგალითად: ოქრომკედ-ლებთან, მხატვრებთან, ასეთი შერეული ტიპის ხელოსნური ორგანი-ზაციები ცნობილი ყოფილა საქარაელოს ქალაქებში და ოსმალეთის ქვეყნებშიც.¹⁵⁷

თუ კი დიდ ქალაქებში „მწერალთა ხელობის სხვა ხელობებისა-გან მკვეთრი გამოიჯენის შესაძლებლობა ჩნდება, პერიფერიებში სრუ-ლიად საწინაღმდეგო პროცესი შეინიშნება. ერთი და იგივე ხელო-სანი მწერლობასთან ერთად რამდენიმე მონათესავე ხელობას ფლობს.

150 ხელნაწ. Q-541, 243v.

151 ხელნაწ. H-2030, 8v.

152 ხელნაწ. H-2031, 18r, v H-3172, 1r.

153 ხელნაწ. H-2901, 87r.

154 ლ.მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., 1, 6. 1, გვ. 260.

155 ხელნაწ. A-69, 138r.

156 Ш.А.М е с х и а, დასახ. ნაშრ..., გვ. 328.

157 იქვე, გვ. 225, აგრ. ვ.გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ოსმალეთის ხელო-სნობა, ვაქრობა XI V-XYI სს. წიგნში: ნარკვევები მახლობე-ლი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 267.

აი, რას გვაუწყებს მომგებელ მუხიერ. ყიფიანის ანდერძი: „დიდუ-
ბაჲ ღმერთსა, ოთხთაენო სახარებანო: მათე, მარკოზ. . . შეიწყალე
სული მუხიერ ყიფიანისა... ესე ოთხთავი ფურცლად დაშლილი იყო,
დაოხრებული. მერმე მოვიყვანე მწერალი ქასელაძე მანაველ და შე-
ვამკე ახლად წიგნი ესე მას ეამსა, ოდეს ქართველთა მეფე სეიმონ
თათართა დაიპირეს... რაცა ამა ჯვარ-ხატსა კელი უნდა, მასაცა
მოვაკედინებთ, ოქრომკედელიცა ის არის“¹⁵⁸

„მწერალთა“ ხელობის დაბალ საერო წოდების კუთვნილებად
ქევის დაქტს გამოთქმა „მოქალაქე მწერლის“ გაჩენაც მოწმობს.

„მოქალაქე“ ეწოდებოდა XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში
მცხოვრებ ვაჭართა და ხელოსანთა ეკონომიურად და სოციალურად
დაწინაურებულ ფენას. მოქალაქეები ყოფილი ყმა-ხელოსნები და
ვაჭრები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფო ხაზინისათვის გარკვეული
გადასახადის გადახდის შემდეგ ყმური დამოკიდებულებისაგან თავი-
სუფლდებოდნენ და თვითონ უერთდებოდნენ გაბატონებულ ფენას.¹⁵⁹

„მოქალაქედ“ გახდომის შესაძლებლობა ეძლეოდათ მსხვილ ვაჭ-
რებსა და შემოსავლიანი ხელობის წარმომადგენლებს. მათ ხელობა-
თა შორის, როგორც ჩანს, მწერლობა და მხატვრობა ითვლებოდა.
XVII საუკუნის ბოლოს გადაწერილი სახარების გადამწერი ამბობს:
„ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოგანე, მ ო ქ ა ლ ა ქ ე მ წ ე რ ა
ლ ი, წმინდავ, ნინო, შეუნდვენ“¹⁶⁰

ასეთივე მინაწერი აქვს XVIII საუკუნის დასაწყისში გადაწე-
რილ ოთხთავს: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მღუდელი მ ო ქ ა ლ ა
ქ ე ი ო ა ნ ე“¹⁶¹(ეს იოანე, როგორც ჩანს, ჯერ მოქალაქე გამხდა-
რა, შემდეგ სასულიერო წოდებაში გადასულა).

158 ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა
1, № 248, გვ. 431.

159 III. A. M e c x ი ა, დასახ.ნაშრ.,, გვ. 169-191.

160 ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია) I ყ, № 168, გვ. 112.

161 ხელნაწ. A - 451, 27r.

„მოქალაქეები“ ხდებოდნენ მხატვრებიც. მოქალაქედ იხსენიება ცნობილი კალიგრაფის, ალექსი მესხიშვილის მამა გრიგოლ მხატვარი.¹⁶² შემდეგ იგიც სამღვდლო პირად იწოდება. „მოქალაქე მხატვარი“ გრიგოლ-გულა ჯაფახიშვილი იხსენიება მცხეთის სვეტიცხოვლის სვეტის წარწერაში.¹⁶³

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს პილიტიკური და ეკონომიური ვითარება ადრინდელ პერიოდთან (X-XI სს) შედარებით, უარესდება. ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სამთავროებად და სათავადოებად. ქვეითდება ხელოსნობა და ვაჭრობა.¹⁶⁴ ეცემა სასკოლო საქმეც. მისი გამოცოცხლება, ისიც ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლების ხარჯზე იწყება XVIII საუკუნეში.¹⁶⁵

ამ ხანაში ჩვეულებრივ მოკლენად იქცა სასულიერო პირთა უსწავლეობა. დაბლდება „მწერალთა“ ხელობის სწავლების დონეც. როგორც ხელნაწერთა ანდერძები უჩვენებს, ხელნაწერთა გადაწერაში მონაწილეობას იღებენ ჯერ კიდევ დაუოსტატებული ხელოსნები. 1712 წლის მარხვან-ზატიკას ერთ-ერთი გადამწერი გვაუწუებს: „ეს კარი მოსწავლეს ბერს ეწერაჲ . თუ რაჲ მღავეშავოს, შენუ მწყევთ, გვედრებით.“¹⁶⁶

XVII ს. გადაწერილ ბიბლიის ანდერძში გვითხულობთ: „ღმერთო, შეიწუჯალე ამასი დამწერი, ცოდვილი მონა ქრისტესი, დედოფლის დეკანოზის შვილი, ახალმოსწავლემწერალი გაბრიელ, ამინ.“¹⁶⁷ „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო,

162 Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Церковного музея, кн. 1, № 399, გვ. 398.

163 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 77.

164 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა. , მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 272.

165 კ. კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 69-73.

166 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) VI, № 4933, გვ. 231.

167 ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია) 11, № 985, გვ. 257.

შეიწყალე ამის უცხად მჩხრეკალი, ფრიად ცოდვილი ა ხ ა ლ მ ო ს
წ ა ვ ლ ე მთავარდიაკონი პეტრე პატარიძე.“¹⁶⁸

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ამ ეპოქის ლიტერატურა იქმნება, ვითარდება და ვრცელდება ცალ-
კეული მეფე-მთავრების სასახლეებში, მსხვილ სასულიერო ჯეოდალ-
თა კარზე და ზოგიერთ დიდ მონასტერში, რომლებმაც ამ ხანაშიც
შეინარჩუნეს კულტურული ცენტრების მნიშვნელობა.¹⁶⁹

სწავლა— განათლების, ლიტერატურული ცხოვრების საზოგადოებ-
რივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა კარგად ესმოდა იმდრო-
ინდელ მოწინავე ჯეოდალურ არისტოკრატებს. ამიტომაც, ისინი გარს
იკრებდნენ თავიანთი დროის გამოჩენილ მწერლებს, პოეტებს, მწიგ-
ნობრებს. ისინი ქმნიან ახალ ნაწარმოებებს. თარგმნიან უცხო ენები-
დან, აახლებენ და ავრცელებენ ძველ ხელნაწერებს.¹⁷⁰

განსაკუთრებული ინტენსიური მოღვაწეობა გაჩაღდა თბილისში,
ქართლის მეფის კარზე. აქ იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები,
ითარგმნებოდა ახალი ლიტერატურა. გარდა ამისა, დიდი ყურადღება
ექცეოდა ძველი ხელნაწერების შეკრება-განახლებას, მათგან ახალი
ნუსხების დამზადებას. ამ მიზნით სამეფო კარზე შემოკრებილნი იყუ-
ნენ პროფესიული გადამწერები

მეფეები, დედოფლები, ბატონიშვილები, დიდგვაროვანი მოხელენი
ხშირად არა მარტო ინიციატორის როლში გვევლინებიან, არამედ ფი-
ზიკურადაც ღებულობენ მონაწილეობას ამ კულტურულ პროცესში.
ცნობილია მარიამ დედოფლის, გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ისა და სხვათა
ზრუნვა ხელნაწერების გავრცელებაზე. ისინი თანაბარი ყურადღებით
ეკიდებიან როგორც საეკლესიო, ასევე საერო ისტორიული და მხატვრუ-
ლი ლიტერატურის გადამწერა-გავრცელების საქმეს.¹⁷¹

168 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია) I, №105—ა, გვ. 128.

169 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., ნ.1.

170 იქვე, გვ. 86—89.

171 იქვე, გვ. 129—175.

ასეთივე ღონისძიებები ტარდება იმერეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისშიც. აქ გადაწერილ ხელნაწერთა დამკვეთებად ხშირად მოიხსენიებიან იმერეთის მეფეები: გიორგი 11, სოლომონ 1 და სხვ.¹⁷²

ხელნაწერთა გავრცელებაზე ზრუნავდა კახეთის სამეფო კარიც. არა ერთი ხელნაწერია გადაწერილი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ინიციატივით.¹⁷³

ქართველ მეფეებს არც ცალკეული სამთავროები ჩამორჩებოდნენ. მწერლობისა და ხელოვნების განთქმული მეცენატები იყვნენ სამეგრელოს მთავრები, მათი შეკვეთით მრავალი ძვირფასი ხელნაწერია შექმნილი. განსაკუთრებით ცნობილი იყო ლევან 11 დადიანი, რომლის კარზეც მოღვაწეობდნენ დატყვევებული მწიგნობრები მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიმ ვაჩნაძე.¹⁷⁴ მასვე ჰყოლია ოცი ოქრომჭედელი, რომელთაგან ერთ-ერთს ილორის წმიდა გიორგის ხატის წარწერა შეუსრულებია.¹⁷⁵

მწერლობისადმი შეუწელებელი ინტერესი ჰქონიათ გურიელებსაც. მათი ზრუნვის შედეგად მრავალი ხელნაწერია გადაწერილი.¹⁷⁶

XVI-XVII საუკუნეების საქართველოს შინაგანი სოციალური და პოლიტიკური ვითარების ყველაზე მნიშვნელოვან დამახასიათებელ ნიშანს სათავადოების გაჩენა წარმოადგენს, რაც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ გამოიწვია. სათავადოები იბრძვიან და მოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. დეოდალური მეურნეობის გასაძლიერებლად ყოველ სათავადოში იქმნება საკუთარი მმართველობის აპარატი, რომელშიც მუშაობდნენ მდივან-მწიგნობრები და მწერლები.¹⁷⁷

172 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., 6, 11, გვ. 516-524.

173 იქვე, ნ. 1, გვ. 365-377.

174 იქვე, ნ. 11, გვ. 554-561.

175 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ილორის წმიდა გიორგის ხატის წარწერა, ენიშკის მოამბე, XI 11, 1942, გვ. 148.

176 ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., 6, 11, გვ. 567-568.

177 ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მას. აქ. და კავკ. ისტ-თვის, თბილისი, 1954, გვ. 170.

სათავადობების გაჩენამ ხელი შეუწყო ახალი სამწერლო კერების წარმოქმნას, მაგალითად, მნიშვნელოვანი ლიტერატურული მუშაობა ტარდება საორბელიშვილოში, დუშეთში, არაგვის, ქსნის და რაჭის საერისთავოებში, საციციანოში¹⁷⁸ და სხვაგან. ამ ცენტრებში დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელნაწერთა გადაწერა-გავრცელებას.

რა თქმა უნდა, ეკლესია-მონასტრებმაც შეინარჩუნეს ლიტერატურული მუშაობისადმი ინტერესი. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი თბილისის ეკლესიებმა (ანჩისხატი, სიონი, კალოუბანი), დავით გარეჯის უღაბნოს მონასტრებმა, გელათმა, ურბნისის საეპისკოპოსომ და სხვებმა.¹⁷⁹

ქართული საზოგადოებრიობა დაუცხრავლად შრომობდა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის. ამ საქმით დაინტერესებული იყვნენ საზოგადოების სრულიად სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ ახალ ნუსხებს ამზადებდნენ არა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწენი, არამედ მაღალი ფეოდალურ, წრის წარმომადგენლებიც და თვით ბაგრატიონთა ოჯახის წევრებიც.¹⁸⁰

ამ ხანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ საერთოდ ახალი ამოცანები დასახა დამწერლობის წინაშე. მოთხოვნილება წერა-კითხვის მცოდნე პირებზე მეტად გაიზარდა. ისინი საჭირონი შეიქნენ სათავადოების ადმინისტრაციულ ცენტრებში, საქალაქო მართვა-გამგეობის სისტემაში,¹⁸¹ სამღვიანბეგობში,¹⁸²

178 ლ.მ. ე. ნ. ბ. დ. ე., დასახ. ნაშრ., ნ. 1 გვ. გვ. 258-261; ნ. 11, გვ. გვ. 572-573.

179 იქვე, ნ. 1, გვ. გვ. 129-175, 273-319. ნ. 11, გვ. 524-545. ნ. 1. გვ. 213-217, აგრეთვე: მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის სალიტერატურო სკოლა, თბილისი, 1965.

180 ლ.მ. ე. ნ. ბ. დ. ე., დასახ. ნაშრ., ნ. 1, გვ. 95.

181 III. A. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 82, 311.

182 ვ. გ. ა. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურ-ლამალის მიხედვით, ენიშკის მოამბე, XI11, 1942, გვ. 184.

დაეთარხანებში¹⁸³, ზარაფხანებში (როგორც ცნობილია, XV—დან მრავალი ფეოდალი თვითონ კრის ფულს)¹⁸⁴ ზაზინაში, ამჟრულ ორგანიზაციებში.¹⁸⁵

ყოველივე ზემოთქმულს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია დამწერლობის ერთგვარი დემოკრატიზაცია, მისი გამოსვლა ცალკეულ მეფე-მთავართა სასახლეებიდან და ეკლესია—მონასტრების საზღვრებიდან.

დაბალი წრიდან გამოსულა პირები ძალიან ხშირად ადგენენ კერძო პირთა სხვადასხვაგვარი შინაარსის საბუთებს (უმთავრესად ნასყიდობის წიგნებს). ამგვარ საბუთების დამწერებად გვევლინებიან ვინმე მამუკა,¹⁸⁶ ჩარჩიშვილი როსტომა,¹⁸⁷ პაატა,¹⁸⁸ ფილიპე,¹⁸⁹ გიორგი გეგუტაშვილი,¹⁹⁰ პაპოას შვილი ოსია,¹⁹¹ თაენაშვილი ალიხაზა¹⁹² და მრავალი სხვ. ამ პირების შესახებ არაფერი ვიცით, გარდა მათი სახელებისა. აშკარაა ერთი, რომ ისინი სხვადასხვა პროფესიის ან ხელობის წარმომადგენლები არიან და არა განსწავლული მდივან-მწიგნობრები. ამას თვით საბუთების ენა და შესრულების არაპროფესიული დონე ცხადყოფს.

ზოგჯერ, საბუთის შემდგენი თავის პროფესიას ასახელებს. მაგალითად, დათუნა ჯომარდიძის მიერ პაპუნა ჩიჩიძისათვის მიცემული

183 დასტურლამალი, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, 11, თბილისი, 1936, გვ. 263.

184 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ზარაფხანათა და მონეტების გამომწვევები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XX111, 1959, № 4, გვ. 51.

185 III. A. M e c x ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 349.

186 სსცა, ფ. 149, ს. № 726.

187 იქვე, ს. № 653.

188 იქვე, ს. № 643, 652, 647, გვ. 50.

189 იქვე, ს. № 650.

190 სსცა ფ. 1449, ს. № 638.

191 იქვე, ფ. 1450, დ. 13, ს. № 22, 23.

192 იქვე, ფ. 1449, ს. № 647.

მამულის ნასყიდობის წიგნი შეუღდენია გორელ მკერვალ დათუნაძე¹⁹³ ამიერიდან ხელნაწერი წიგნების შექმნაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ არა მარტო პროფესიონალ გადამწერებს, არამედ წერაკითხვის მცოდნე სხვა პროფესიის წარმომადგენლებსაც. ასეთ დაქტებს სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა ადგილი. XI—XV სს-ების ბიზანტიის ქალაქებში გადამწერებად გვევლინებიან ნოტარიუსები, მასწავლებლები და სხვ. ისინი წიგნების გადაწერაში დამატებითი შევოსავლის წყაროს ხედავდნენ¹⁹⁴

მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული ხელნაწერები იწერებოდა არაპროფესიონალ გადამწერთა მიერაც. განსაკუთრებით ხშირად ასეთთა რიცხვში გვხვდებიან მღივან-მწიგნობრები,¹⁹⁵ აგრეთვე მუშრიბები. ამირანდარეჯანიანის ერთ-ერთი ნუსხა გადაუწერია მუშრიბ გასპარა ბაღდასარაშვილს.¹⁹⁶ 1734 წელს გადაწერილი კინკლოსი გადაწერილია მუშრიბ პაპუნას მიერ.¹⁹⁷ აღსანიშნავია, რომ არაპროფესიონალ გადამწერთა მიერ გადაწერილი ხელნაწერები უპირატესად საერო მწერლობის ნიმუშებია.

X

X

X

ფეოდალიზმის ხანაში ძალზე გავრცელებული წესი იყო ამა თუ იმ სახელოს ან ხელობის მემკვიდრეობითი გადაცემა საქართველოში ამ წესის მოქმედება განსაკუთრებით XVI—XVIII საუკუნეებში შეიმჩნევა.¹⁹⁸

193 იქვე, დ. 1448, ს. № 5421.

194 Б. Т. Г о р я н о в, Византийский город XIII—XV в.в., Византийский временник, XI, 1958, გვ. 171.

195 ხელნაწ. Q—658, S—335, Q—548, S—281, K—N242.

196 ამირანდარეჯანიანი, ლ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბილისი, 1967, გვ. 097.

197 ცსსა ხელნაწ. № 48, 49.

198 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 164. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, მასალები საქ. დაკავ. ისტ-თვის, 1948, ნ. 1, გვ. 017, ა ბ ა ქ - რ ა ძ ე, ქართველ მღივან-მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 73.

ხელობის მემკვიდრეობითოზ ა ჩვეულებრაივი მოვლენა იყო XVI-XVII სს. აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ოსტატი ხელოსნები ცდილოდნენ შევირდებად აეყვანათ თავიანთი შვილები ან მახლობელი ნათესავები.¹⁹⁹ ასეთი წესი ხელს შეუწყობდა ხელოსანთა ეკონომიურ წარმატებას და პროფესიული ცოდნის ამაღლებას. მემკვიდრეობითი იყო კალიგრაფთა ხელობაც. XVI ს. ცნობილმა კალიგრაფმა. მავლანა ისმაილმა ხელობა თავისი მამისაგან, მავლანა იბრაჰიმისაგან შეისწავლა. მავლანა დუსტ ხარატმა თავისი ბიძისაგან შეიძინა კალიგრაფიის კანონების ცოდნა. „ექვსეულის“ სტილის ფუძემდებელმა იბნ მუჟლამ პროფესია თავის შვილებს გადასცა.²⁰⁰

საქართველოში „მწერალთა“ ხელობა მემკვიდრეობითი ჩანს უძველესი ხანიდან. ამ წესის მოქმედების კვალს ჯერ კიდევ სინური მრავალთავი უჩვენებს: „მე, მაკარი ლეთეთელი, ძე გრიგოლ გძელისაჲ, ცოდვილი ჟრაად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანაშეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიშენ კახისაჲთა და ქელთწერთა დედის ძმისა წულიისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა...“²⁰¹

სინური მრავალთავი, როგორც ცნობილია, რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი. ხელნაწერის შექმნის ინიციატორი, ორგანიზატორი და გადაწერის თანამონაწილე არის მაკარი ლეთეთელი. მისი ახლო ნათესავი ყოფილა ამონა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელობა ამონას სწორედ მაკარი ლეთეთელისაგან ექნებოდა შესწავლილი.

199 კ.კ. უციბა, სეფიანთა ირანის ქალაქები, ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, წიგნში; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 187.

200 К а з и — А х м е д, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 94.

201 სინური მრავალთავი №64 წლისა, გვ. 280.

ხელობა გადაეცემა ძმიდან ძმას: „ხოლო დაიწერა ქელითა დავითისათა ლაერასა დიდსა ხახულსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთის შობლისასა მეფობასა რომანოსისა... და ილუაწა ჩემ თანაჯორციელად ძმამან ჩემმან მიქაელ, რომელ იგი მიკაზმვიდა რვეულებსა და სხუასა ყოველსა საწმარსა. ქრისტე, ძეო ღმერთისა, შეუნდვენ ცოდვანი მისნი, ხოლო რომელთა ამის წიგნის წერასა ნუგეშინის მცეს ვრცელთა ნუგეშინის ცემითა...., განუსუენე ძეო ღმრთისაო“²⁰²

X1 საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი ორი ხელნაწერის: ბასილი დიდის ფსალმუნთათარგმანების (A-1 35) და სვინაქსარის (II - 2211) ანდერძების შეჯერების შედეგად ემეტრეველმა დაადგინა ამ ხელნაწერების შემქმნელ დავით და ივანე ჯიბისძეუთა გენეალოგიური შტო.²⁰³ გამოიკვება, რომ დავით ჯიბისძე ყოფილა ივანეს ბიძა. ისინი ჯერ შატბერდში მოღვაწეობდნენ ერთად, შემდეგ შავ მთაზე გადასულან.“²⁰⁴ ხელნაწერთა დამზადება ივანე ჯიბისძეს თავისი ბიძის, დავითისაგან შეუსწავლია. დავითი ყოფილა ივანეს მოძღვარი, ამიტომ უწოდებს მას „შვილს“.

მემკვიდრეობითი ჩანს ეს ხელობა ჩიდანისძეთა გვარშიც. ორი სინური აღაპი შესრულებულია ელისე ელია ყოფილ ჩიდანისძის ხელით. ერთ მათგანში იხსენიება ელისე ჩიდანისძის მოძღვარი, ჩიდანისძე დიონისიო: „სულსა მოძღუარსა ჩ ი დ ა ნ ი ს ძ ე ს ა დიონისიოს შეუნდოს ღმერთმან, მეუღლე ყოფილსა მისსა მართას შეუნდოს ღმერთმან, და ძეთა მათთა იოვანეს ჩიდანისძესა შეუნდაოს ღმერთმან. და ამა მატყანისა ქელითა მწერალსა ჩ ი დ ა ნ ი ს ძ ე ს ა ე ლ ი ა - ყ ო ფ ი ლ ს ა ე ლ ი ს ე ს შეუნდოს ღმერთმან“²⁰⁵

202 ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, № 30, გვ. 67.

203 ე-მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის X1 ს-ის პირველ ნახევარში, მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 94.

204 იქვე, გვ. 99.

205 ივ-ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის..., გვ. 244.

XIV საუკუნეში ლარგვისში მოღვაწეობდნენ ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული ავგაროზ ბანდაისძე და მისი შვილი გრიგოლი. ამ უკანასკნელს, სხვა ხელოვნებთან ერთად, მამისაგან წიგნების გადაწერაც შეუძლებელია. გრიგოლს მოუცხოველებია ხელნაწერი A-576²⁰⁶, გადაუწერია „კურთხევანი“, რომელსაც დაერთვის მისი ანდერძი: „დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისსა! სრულ იქმნეს წმიდანი კურთხევანი ხქლითა მწარედ ცოდვილისა, სასოებითა ოდენ ქრისტეანისა, ხოლო საქმითა ყოვლად არა მსგავსისა, სახითა ოდენ დიაკონისა გ რ ი გ ო ლ ბ ა ნ დ ა ჯ ს ძ ი ს ა ჯ თ ა“...²⁰⁷

XVII საუკუნიდან ცნობილი არიან ბედისმწერლისშვილთა საგვარეულოდან გამოსული გადამწერები: ფარემუზ, ნათანელ და იესე. მათ მიერ არის გადაწერილი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერები: კურთხევანი H-1742, მარხვანი Q-663, დავითნი H-16, ბიბლია H-1207, ჟამნი II-1755, (საკითხავთა) კრებული H-472, მარხვანი Q-453.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხელნაწერ A-69-ის გადამწერი ძმები.

XVIII საუკუნეშია გადამწერილი კონდაკი S-1245. მისი გადამწერის ანდერძის ცნობით, ხელოვა პაპიდან შვილიშვილზე გადასულა: „უფალნო ჩემნო, მამანო და ძმანო..., კონდაკი ესე, რაც ოდენ ძველი ნაწერია, კურთხევით ხსენებულისა პ ა პ ი ს ჩ ე მ ი ს ნ ა წ ე რ ი ა, რადგან იმისი ჰირნახულდებულა. მცირედ მეც ვიჭირნახე და განვაახლე. გამოვწერე რაც მოძველებულიყო მე, უღირსმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ცოდვილმან მღვდელმან ნიკოლოზ.“²⁰⁸

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან სახელი გაითქვეს მესხიშვილთა და ჩაჩიკაშვილთა გვარიდან გამოსულმა კალიგრაფებმა.

206 ლ.მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., ნ.1, გვ. 221.

207 ანდერძის ტექსტი და ცნობა ამ ხელნაწერის შესახებ, რომელიც ვ.დონდუას პირად ბიბლიოთეკაში ინახება, მოგვაწოდა ზ. ალექსიძემ.

208 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) 11, გვ. 149.

წიგნის გადაწერა შემოსაკლიან ხელობად ითვლებოდა. ბიზანტი-
ის იმპერიაში უკვე I V-V საუკუნეებიდან ცნობილნი არიან ხელოსა-
ნი გადამწერები. ისინი ემსახურებოდნენ არა მარტო „ძმობის“ მო-
თხოვნილებებს, არამედ ქალაქის ბაზარსაც.²⁰⁹

იოვანე ხუცესის „ეპიდანე კვიპრელის ცხოვრება“ გვაუწყებს,
რომ წიგნის გადაწერით მთელი ოჯახის რჩენა შეიძლებოდა: „მაშინ,
პრქუა მას დედამან თჳსმან: მოვსცეთ ქვეყანაჲ ესე ჩვენი კაცსა
მოქმედსა, რაჲთა ისწავო შენ ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა , რ ო მ ლ ი-
თ ა შ ე უ ძ ლ ო თ ა ვ ს ა შ ე ნ ს ა ც ა თ ჳ ს ს ა ზ რ დ ა დ
და ჩ ე მ ს ა ც ა და შ ე ნ ი ს ა დ ი ს ა ც ა პ უ რ ი ს ა
მ ო ც ე მ ა დ ჩ უ ე ნ დ ა.“²¹⁰ ასეთ ხელობად ეპიდანეს „წიგნის-
წერაჲ“ შეასწავლეს.

ამავე ძეგლში მოიხსენიებიან სხვა „მწერალი“ ბერებიც, რომლე-
ბიც წიგნის გადაწერით „საზრდელსა მოირეწვიდეს“: „და გამოვიდა
ქალაქით ლუკიანე, რამეთუ ესე ლუკიანე იყო მონასტერსა შინა,
რომელი იგი მას ეშუენა. და რამეთუ ჰქონდეს მის თანა ათნი ოდენ
მონაზონნი, რომელნი იქმოდეს შრომით და წერდეს ეს ე ნ ი წ ი-
გ ნ ს ა და თ ა ვ ი ს ა თ ჳ ს ი ს ა ს ა ზ რ დ ე ლ ს ა მ ი ს-
გ ა ნ მ ო ი რ ე წ ვ ი დ ე ს“.²¹¹

მოვიყვანთ ამ ადგილის შესაბამის ბერძნულ ტექსტს: και ἔξῃ λ-
θεν ἀπὸ τῆς πόλεως, μετὰ Λουκιανοῦ ὅτι Λουκιανὸς ἦν μοναστήριον
ἔαυτῷ συστησάμενος ἔχων μεθ' ἑαυτοῦ δέκα μοναχούς, οἵτινες τὰς δέλτους
ἐμπόνας γράφοιεν, τὴν ἐὰς τὸν τρόφον. ἔξ αὐτῶν
ἐπορίζοντο. Ἦν δὲ Ἐπιφάνιος δεκὲς ἑτῶν. ὅτι ἐμόνασεν.²¹²

209 История Византии, II, გვ. 26.

210 საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გვ. 94.

211 იქვე, გვ. 97.

212 Mi g n e, P. G. t. 44, გვ. 33.

ეს ხელობა საარსებო წყაროს წარმოადგენდა ქართველ „მწერალ“ ბერთათვისაც. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის 1066 წელს გადაწერილი ხელნაწერების ანდერძში ვკითხულობთ: „... სრულ იქმნა... ხელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისათა დასად პურისა მისა“²¹³ „პიტომაც, უფასოდ არაეინ წერდა. ამას ადასტურებს“ შავ ზაქარიას“ ცნობაც: „შემინდევით პირველისათვის, უცბად უმეცრად ჩხრეკისათვის, სხუაჲ ღონე არა მაქუნდა. საფასისაგან გლახაკად ვიყავ და უსასყიდლოდ არაეინ დამიწერდა და ლოცვა ყავთ ჩემ უბადრუკისათვის“.²¹⁴

ზოგი იძულებულია ღრმა მოხუცებულობაშიც განაგრძოს წერა. წყაროსთვის სახარების გადამწერი გვაუწყებს: „ღლითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ესე დავწერე და თუალითა სინათლეცა მომკლებია, ღმერთმან გარწმუნოს, სულისა ჩემისათვის, ლოცვა ყავთ. ს ა ს ყ ი დ ღ ი თ წ ე რ ა ჲ , დასტურ, არა მიშლის ლოცვასა“.²¹⁵

„მწერლები“ გასამრჯელოს მხოლოდ ფულადი სახით კი არ ღებულობდნენ, არამედ ნატურითაც. ზოგჯერ, მომგებლები მათ კვებაზედაც ზრუნავდნენ: „ღირს ვიქმენით . . . დაწერიებად ამის ოთხთავისა. . . ორმა სახლმა დავაწერიინეთ: მუჩათურმან და გავაზელთა, ჩუენითა ალაფითა, ჭელფასითა და პურ—წყლითა და ყოვლითა ჩუენითა საქმრითა...“²¹⁶

ერთი გადამწერი წყევლა—კრულვით იხსენიებს მის დამკვეთს, რომელიც მას უგულისყურად ექცეოდა: „ღმერთო, შეიწყალე მწერალი ამისი ზებედე ცოცხლებით და ცხოვნებით და დედ—მამათა ჩემთა შეუნდენეს ღმერთმან. ვინცა შენდლობით მომიქსენიოთ, თქუ-

213 R.P.B l a k e, Catalogue des manuscrits Géorgiens... a Jérusalem, N 75.

214 М.Г.Д ж а н а ш в и л и , Описание..., № 845,გვ. 61.

215 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია) II, №907, გვ. 325.

216 ხელნაწ. A – 281, 280გ.

ენცა შეგინდენეს ღმერთმან. თავისა ნაშრომისათჳს ნუ დამწყევთ, რამეთუ თჳთ ღმერთმან იცის, ამის წერაში არცა პატივი მქონდა და არცა ვინ იყო კელისა მპყრობელი. შიმშილითა, გლახ რუდუნებით ვსწერდი. ღმერთო დასწყევლე და წმიდაო ღმრთისმშობელო, თოხოზაჲ იოანე, არა მაქამა რაჲეადაც მომეყარა.²¹⁷

გასამრჯელოს სიმცირისა და ცუდი სამუშაო პირობების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს XVII—XVIII-სს. დათარიღებული სადღესასწაულოს გადამწერი: „შემოქმედმან უწყის, რაჲც ოდენ ძალ მედვა, სიმართლეს ვეცადე, მაგრამ დედნების ძებნამ ღიღად გამსაჯა. იბაკოჲ სხვაგან, სხუნაქსარი სხვაგან, სამოციქულო სხვაგან, სახარებაჲ სხვაგან. პატივი და კელფასი კიდევ უფრო სხვაგან. ვინცა მაგინოუღმერთმან დაგლოცოს“.²¹⁸

თუ კი წიგნი მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, მასზე გაღებულნი ხარჯები საერთო იყო: „ხოლო ხარჯი წიგნთა საქმოდ და სამონასტრო იყვეს. არა ხოლო მის წიგნისა, არამედ ყოველთა წიგნთა, რავდენიცა შეიკაზმა კელითა ჩუენითა“.²¹⁹

ნიკორწმიდის სიგელის მიხედვით. ივ.ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ X—XI სს—ებში ხელნაწერი დაახლოებით 30 დრამიანი ჯდებოდა.²²⁰

რა თქმა უნდა, ყველა ხელნაწერი ერთი ფასი არ ეღირებოდა, განსაკუთრებით ძვირი ჯდებოდა ცნობილი გადამწერების მიერ გადაწერილი და მდიდრულად შემკული ხელნაწერები, რომლებსაც უფრო საზეიმო დანიშნულება ჰქონდათ.

იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ თეოფანე

217 ხელნაწ. A—743, აბ, 212v.

218 ხელნაწერთა აღწერილობა (S' კოლექცია), II, № 1323, გვ. 150.

219 ნ.მ. ა. რ. ი., დასახ. ნაშრ., № 38, გვ. 80.

220 ივ.ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფილისი, 1907, გვ. 49.

ხუცესს, რომელიც იყო სათნოა უფლისა და სწავლული ფრიად და ჭელოვნებით მწერალი წიგნთა საღრთმოთა, უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერია წიგნი მონასტრისანი შინა და გარე²²¹ თუ რამდენად დიდ თანხას შეადგენდა იმ დროს ათას ხუთასი დრაჰკანი, იქიდანაც ჩანს, რომ სამას ორმოც დრაჰკანად იმავე ცხოვრების ცნობით, მონასტრის ყიდვა შეიძლებოდა.“²²²

მომდევნო საუკუნეებში ხელნაწერთა ფასის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. ქალაქის საწერ მასალად გავრცელებას არ შეიძლება არ დაეწია მისი ღირებულება. XVIII ს. გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის მომგებელი გვატყობინებს, რომ ანტონ მთავარეპისკოპოსის ოცდახუთი მარჩილი გადაუხდია ლაზარე მწერლისათვის.²²³

მეტი ცნობები ხელნაწერი წიგნების ფასების შესახებ მოღწეულია XVI ს. გასულიდან. მაგალითად, სახარება ღირდა ორი თუმანი, დავითნი — სამი მინალთუნი, კატილორია — თუმანი, ლოლიკა — ორი თუმანი, ვეფხისტყაოსანი „საუცხოო, გარსჯაზვარ შემოვლებული“ — ორი თუმანი, სამართლის წიგნი — თორმეტი მინალთუნი და სხვ.²²⁴

მომგებლები წიგნებს არა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის აწერინებდნენ, არამედ რომელიმე მონასტრისათვის შესაწირადაც. ხანდახან თვით „მწერლები“ არიან მომგებლები და საკუთარი სულის შესანდობად მონასტრებს ხელნაწერების სახით შესაწირავს უმზადებენ. ასეთ მწერალ-მომგებელთა რიცხვს ეკუთვნის Ier-ჰის გადამწერი დავითი. „ხოლო დაიწერა ქელითა დავითისათა ლავ-

221 ძეგლები, 11, გვ. 90.

222 იქვე, გვ. 80.

223 ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, 1, № 30, გვ. 129.

224 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, 111, გვ. 257.

რასა დიდსა ხახულისა, საყოფელისა წმიდისა ღმრთისმშობლისსა... და შეეწირე პალაერას, რომელ არს ხარიტონ წმიდაჲ. . . . ვისცა მიხუდეს, და მას წმიდა ადგილსა გამოაქუას ესე მცირედი ნაშრომი ჩუენი, და ესე ანდერძი ჩუენი შეეცვალოს, ანუ აკოცოს, ამჟოცილ არს წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა".²²⁵

შატბერდის მონასტრისათვის შეუწირავს „მწერალ“ დავით ჯიბისძეს ხელნაწერი A-] 35, რომლის ანდერძი ზემოთ იყო მოყვანილი.

ასევე „მწერალ-მომგებელია“ მაკარი ლეთეთელი, რომელმაც სინური მრავალთავი სინა წმიდას შესწირა: „და მე, გლახაკმან მაკარი, შეეწირე წმიდა ესე მრავალთავი წმიდათა—წმიდასა მთასა სინას საქსენებელად და სარგებელად თათა ჩუენთა და სულთა ჩუენთათჳს“. ²²⁶ ასეთი „შეწირულების“ ფაქტებს სხვა ანდერძებიც გვაწვდის: „წმიდანო ღმრთისანო მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გვრგენის ძემან დავჩხრიკენ წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი სტუდიელი, სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა სანახებსა წმიდისა იტრუსალიმისასა, მონასტერსა ჯუარისასა“. ²²⁷

„მე, ბერმან კლიმი, დ ა ვ წ ე რ ე ნ ჩუენითა საქმრითა ყოვლითურთ სრულნი და უნაკლულონი და შეეწირენ ეკლესიასა. . .“²²⁸

დაიწერა და განსრულდა წმიდა ესე წიგნი სულთა განმანათლებლისა ჳელითა უღირსისა ბერისა იოვანე დვალისაჲთა. . . შეესწირე მონასტერსა ჯუარისასა. . .“²²⁹

ზოგი „მწერალი“ რამდენიმე ხელნაწერს სწირავს მონასტერს: „სახელითა... ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი ონოფრე მოგებად

225 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრ., № 30, გვ. 68.

226 სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 281.

227 ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) I V, № 1347, გვ. 431.

228 R. P. B l a k e, Catalogue des manuscrits georgiens. . . de la lavre d'Iviron N63, გვ. 252

229 მისივე Catalogue... géorgiens... a Jérusalem, N14, გვ. 41.

წმიდათა ამათ პარაკლიტონთა, რვათავე ქმათა სრულთა, ორ წიგნად. პირუელი თვთ ქელითა ჩემითა დავსწერე და მეორე — სანატრელთა მამათა კვიციეს მიერ პათიოსნისა მღუდლისა და მარკოზ ცონცორიკაჲს ასულის წულისა ქელითა. . . ღმერთმან აკუთხნეს და შევწირე იერუსალიმს პათიოსანსა დედათა მონასტერსა ახალსა“. 230

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის შიომღვიმის სახარების ანდერძი: „განსრულდა წმიდა ესე და ყოვლითურთ საწადელი ოთხთავეი. . . მოვიგე და დავწერე ქელითა ჩემითა მე, გიორგი, . . . შევსწირენ მამასა შიოს ოთხთავეი სახარებაჲ, სრული ყოვლითა განგებითა, კამართა და ხატითა, ზანდუკითა და ბეკლითა და ერთი მარხვანი ეტრატსავე ზედა, ერთნი ზატიკნი ეტრატსავე ზედა“. 231

რადგან ხელნაწერი საკმაოდ ძვირი ღირდა, ამიტომ ასეთი შესაწირავის გაღებას ყველა ხელოსანი „მწერალი“ ვერ შეძლებდა. ჩვენ ვიცით, რომ მრავალი ხელოსანი ამ საქმეს მისდევდა „დასად პურისა“. მოყვანილი ანდერძების მიხედვით კი „მომგებელი—მწერლები“ სხვა ხელოსნების შრომასაც იყენებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ამ „დამხმარე“ ხელოსნებისათვის გასამრჯელო უნდა გადაეხადათ. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ IX—XII საუკუნეებში მწერალ ხელოსანთა შორის გამოიყოფოდა შედარებით „მდიდარ“ ხელოსანთა ფენა.

ხელნაწერი წიგნები მონასტრის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეწირული ხელნაწერების საფუძველზე მონასტერი ზოგჯერ შემწირველის სახელზე აღაპს აწესებდა. ათონის მონასტრის ერთი აღაპი (№) განწესებულია „მწერალ“ სკმეონ ხერკელის სახელზე: „ამისთჳს, რომელ ერთი დიდი მეტაფრასი და ერთნი გან-

230 R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens... de la lavre d'Ivion, N 63, გვ. 252.

231 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), 111, № 1344, გვ. 290.

ყოფილნი დაეითნი, ორი სათუჯოა, — მარტი და აპრილი, — დაწერნა და მოაჭსენნა ყოვლად წმიდასა, და გარდაიქადებოდის მისთვის აღაპი, ვითა სხუათა ყოველთა შემწირველთათვის აღესრულების“. 232

შეწირული ხელნაწერების რაოდენობა და ხარისხი თვით აღაპის შინაარსს განსაზღვრავდა. ათონის №32 აღაპი გვაუწყებს: „თუქა იანვარსა ივ აღაპი განგვწყესებია პეტრე ხუცისათვის მე, მამამან იონანე, და ყოველთა ძმათა. შემოწირნა ეკლესიასა ამან სახარებაჲ მოქედლილი, პავლე განთქსული და პერპერაჲ ლბ. კურთხელმან ძმამან ჩუენმან, პეტრე ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თვისთა ქელითა დაწერილნი შვდად წიგნად, ყოვლითურთ სრულნი, სტიქარონითა და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდასა მამის გიორგის ნუსხათა“ 233 შინა სწერია, უნაკლულოდ. და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისვე სანატრელსა მამისა გიორგის თარგმნილნი. და ამის ყოვლისათვის განვაწესეთ: დღესასწაულსა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანისცემისასა, რათა საუკუნოდ აღესრულებოდის აღაპი მისი ყოვლითა მოსწრაფებითა, პანაშვიდითა და ყოვლისა ლოცვისა წესითა, წესისაებრ და ანაფორითა და ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინის ცემითა. და ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი, და ვინცა ვინ შემდგომად ჩუენსა უღებ იქმნას და უგულებელს ყოს და არა გარდაიქადოს წლითი წლად, ანუ დააკლოს რაჲ ანუ ლოცუასა, ანუ ჟამის წირვასა, ანუ ძალისაებრ ნუგეშინის — ცემასა ძმათასა, ღმერთმან გასცეს პასუხი“. 334

X

X

X

ხელნაწერთა ერთი ნაწილი ინდივიდუალური შრომის ნაყოფია, ნაწილი კი ხელოსანთა ჯგუფების მიერ არის დამზადებული. ხელნაწერთა ჯგუფობრივი დამზადების შესახებ მრავალი ცნობა არსებობს.

232 ათონის კრებული, გვ. 217.

233 „ნუსხა“ აქ ნიშნავს ავტოგრაფს.

234 ათონის კრებული, გვ. 221—222.

„ახადია, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ერთი წერიტი განსწავლულობის და სკოლის წარმომადგენლებთან გვაქვს ხოლმე საქმე, რომელთაც ამ ხელოვნების ყველა მოთხოვნილება ერთნაირად ესმით და ერთი და იმავე ხელით წერა შეუძლიათ.“²³⁵

ყოველი ხელნაწერის შექმნა რამდენიმე ვიწრო სპეციალობის წარმომადგენელთა შრომას მოითხოვდა: ე ტ რ ა ტ ის შ ე ქ მ ნ ა ს. გ ა დ ა წ ე რ ა ს, წ ი გ ნ ე ბ ი ს შ ე კ ე რ ვ ა ს, კ ა ზ მ ვ ა ს. და სხვ.²³⁶ ინდივიდუალურად მომუშავე ხელოსანი ყოველივე ამას მარტო აკეთებდა, ჯგუფობრივი შრომისას კი სამუშაო დანაწილებული იყო ხელოსნებს შორის. ამ პროცესთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა, გაირკვეს ჯგუფობრივი გადაწყვერისას მიღებული შრომის დანაწილების წესები.

შრომის დაყოფა ხანდახან ემთხვეოდა ხელობის ვიწრო სპეციალიზაციას, სამუშაო დაყოფილი იყო მწერლებს, მმოსველებს, მკაზმველებს შორის. ეს დაყოფა არ არის ამომწურავი. ხშირად ხელნაწერთა ანდერძვაში მოხსენებულნი არიან „თანაშემწენი“, რომლებიც სამუშაოს გარკვეულ ნაწილს ასრულებდნენ.²³⁷ მათი „თანაშემწენა“ შეიძლება გამოიხატებოდა ეტრატის ან ქალაღლის დაქრავში, მელნისა და კალმების დამზადებაში. ერთი გადამწერი ლოცვა-კურთხევის უთვლის ვინმე პავლეს, რომელსაც „დანაჲ უღესავენ“²³⁸ ცალკე იხსე-

235 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 55.

236 შ. მ ე ს ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს., თბილისი, 1942, გვ. 5.

237 შრომის დანაწილებას ხელობის ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით ვხვდებით სომხურ მონასტერთა სკრიპტორიუმებში. სომხურ ხელნაწერთა მინაწერებში ცალ-ცალკე მოიხსენიებიან გადამწერები, ეტრატის შემქმნელები, საღებავების გამკეთებლები და ის პირებიც, რომლებიც ემსახურებოდნენ გადამწერს მუშაობის დროს. Т. А. Измайлова, Художественное убранство армянской рукописи 1053г. Բանբեր Բաղնի-Մաղաբանի 5, Երևան, 1960, გვ. 240-241.

238 ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია) V, N 2337 გვ. 232.

ნიებენ ზოგჯერ „მღესაგებსა“ და „მწებაგებს“. 2:39

ტერმინი „შემოსვა“ პირველად სინური მრავალთავის ანდერძში გვხვდება, რომელიც იოვანე-ზოსიმეს ეკუთვნის: „შ ე ი მ ო ს ა მე-სამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინა-წმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა...“ 240

ამ ანდერძის მიხედვით, შემოსვა უდის გაკეთებას ნიშნავს. თვით უდას კი სამოსი რქმევია: „უწყის უფალმან, ამას მეტი რა მოგასენოთ, რომ ამ წიგნის სამოსიც ვერ მიშოვეს და მე არა მქონდა რა, და ერთი მღდელი, მლოცავი სიმონ მოიწია შავშეთით, და იმან შე-მოაწია ს ა მ ო ს ი ამ წიგნსა, ჯვარმან პატროსანმან სასუფევე-ლი მისცეს ამის წილ“. 241

ივ. ჯავახიშვილის ქართულ პალეოგრაფიაში „მმოსველი“ რვეუ-ლების ამკინძველს ეწოდება, ხოლო უდის გამკეთებლის აღმნიშვნელ ტერმინად მიჩნეულია „მკაზმავი“. 242

ასეთი დასკვნის გამოტანისათვის ივ. ჯავახიშვილს საფუძველი მისცა ისეთმა მაგალითებმა, სადაც „მოსვა“ შეიცავდა აკინძვის გაგებასაც: „წმიდისა სახარებისა მათეს...ავისაჲ ოდენ თარგმანი სამ წიგნად შ ე ი მ ო ს ა...“ 243 ამ მაგალითში მოსვა ნიშნავს რვეულების აკინძვასაც და ხელნაწერის უდის გაკეთებასაც.

ასეთივე მნიშვნელობით ეს ტერმინი გვხვდება სხვაგანაც: „მე, გლახაკმან პროხორე, მოვიგენ წმიდანი ესე წიგნი სულთა განმ-ნათლებელი პარაკლიტონი და შევქმენ ორთავად სისუბუქისათვის. რო-

2 39 ამ ტერმინთა შესახებ. იხ. რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქალაღლის დამუშავების საკითხისათვის დეოდალურ საქართველოში, გვ. 49.

2 40 სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 282.

2 41 А.А.И а г а р е л и, К а т а л о г г р у з и н с к и х р у к о п и с е й м о н а с - т ы р я с в. К р е с т а б л и з И е р у с а л и м а, № 143, გვ. 41.

2 42 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

2 43 ი ქ ვ ე.

მელ პირველ აღმწერელსა ამისსა რეანივე ქმანი ერთად შეემა-
ნეს. და მე გაეყავ და ორ წიგნად შეექმენ და დაესხენ წმიდასა
კლესიასა ჯუარისასა სალოცველად სულისა ჩემისა და სულისა მოძ-
ლუართა და მშობელთა“. 244

„კაზმვა“ ნიშნავს რეეულების ან ფურცლების შეკერვას, აკინძ-
ვას, მოსვასა და კაზმვასთან დაკავშირებული მასალები ცხადყოფს,
რომ ეს ორი პროცესი თავდაპირველად ერთი ტერმინით აისახებო-
და. მოსველი იყო ერთდროულად რეეულების ამკინძავიც და ხელნა-
წერის ყდაში ჩამსმელიც. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სომხურ სკა-
ფაჟ-ს. იგი იყო რეეულების შემკერავი, წიგნის შემკერელი, ხელ-
ნაწერის ტყავში ჩამსმელი. 245

კაზმვის ტერმინად ქცევა ქართულში დაკავშირებული ჩანს ხელ-
ნაწერთა აღდგენა—განახლებით სამუშაოებთან. მრავალი მაგალითი
უჩვენებს, რომ მკაზმავები იყვნენ დაძველებული და დაშლილი ხელ-
ნაწერების ხელახლა შემკერავნი:

„ამ წიგნისა შეემაწავსა თევდოსიას და მისთა მშო-
ბელთა, ერმის, შურიას, შეუნდენენ ღმერთმან. თითო—თითო ფურ-
ცელი შემიყრია“. 246

„წიგნის ესე მცირედ შეკაზმისათვის შემინდევით,
მე, მახარებელს, ფრიად ცოდვილს შემინდევით. ერთობ და-
შლილი იყო და ვერაჲ მოუგუარე მეტი. და ვინც წაიკითხოთ,
თქუენცა შეგინდოს ღმერთმან, ამენ“. 247

244 R.P. B I a k e, Catalogue des manuscrits georgiens... a l'éru-
salem, N 48. †

245 P. A. n a f b i j a n, სკაფაჯიქი დარჯარძანს აქსუხთი მცენა-
დარჯანს ჯაკასთანილს, ჩანჩხერ სათხნარჯარჯანი 4, ხუბიანი,
1958, გვ. 183–184.

246 ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია) 11, №600, გვ. 54.

247 II. M a p p, Описание грузинских рукописей синайского
монастыря, № 96, Л. 1940, გვ. 275.

„ესე ოთხთავი და ერთი სახარებაა განთქსული კორინდელი და შლილი ვპოვე უამთა სიგარძისაჲთა. მე, ერისთავემან ბეშქენ შევპკა ზმე“. 248

მრავალი ხელნაწერი აღუდგენიათ და „უკაზმავთ“ ჯერის მამა ეპიფანეს, 249 ურბნელ მთავარეპისკოპოსს ვლასის, 250 თეოდოსეს 251 და სხვებს.

„კაზმვის“ სინონიმია „შეკერა“. ისიც ხელნაწერთა ფურცლების შეერთებას, აკინძვას ნიშნავს. კაზმვის მსგავსად, იგი აღდგენილ ხელნაწერთა ანდერძებში გვხვდება. „წმიდა ესე ხელით ნაწერი სახარება სიძველის გამო განვაახლებინე შეკერვითა შენმავე წინამძღვარმა ილუმენმა კირილე გაბუნიაშ“. 252

„ხელახლა ამ წიგნის განმაახლებელი და შემკვრელი ცოდვილი მღვდელი ლუკა ღმერთმან შეიწყალოს“. 253

„ესე მარხვანი და შლილი და წამხდარი იყო, მე, ღმერთრე დეკანოზმა, შევეკვრე ვინც ეს წაიკითხოთ, დღეგრძელობა უბრძანეთ“. 254

„წმიდანო მამანო. . . პირველად ამის მწერალსა კურთხეულსა, არ ვიცი, არ დაეწერაჲ, არ ვიცი, უამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო . . . ჯუარო პატროსანო, შემიწყალე მე, ცოდვილი. ამის შემკვრელი, ფრიად ცოდვილი დიაკონი გრიგოლ“. 255

განსაკუთრებით საინტერესოა ჯგუფობრივი შრომის ის შემთხ-

248 М. Г. Д ж а н а ш в и л и, Описание . . . , გვ. 243.

249 Ier — №1, 120 (ნომრები მითითებულია R. P. Blake — ის აღწერილობის მიხედვით).

250 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია) 1 V, №1661, გვ. 84, იქვე, V, №2336, გვ. 231. Ier-№51, 77, 141 (ნომრები მითითებულია ცაგარლის აღწერილობის მიხედვით).

251 Ath — N 4, 13.

252 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია) 1, №84, გვ. 98.

253 იქვე (Q კოლექცია) 11, №661, გვ. 133.

254 იქვე (S კოლექცია) 1, №109, გვ. 125.

255 იქვე, (H კოლექცია) V, №2339, გვ. 234.

ვევები, რომლებიც შრომის დანაწილებას გადამწერთა შორის უჩვენებენ. ე.ი. სამუშაოს დაყოფის დროს მხედველობაში იყო მიღებული სამუშაოს ის ნაწილი, რომლის შესრულება მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ასეთი კი იყო ტექსტის გადაწერა. ეს წესი შრომის ნაყოფიერების შედარებით ზრდას შეუწყობდა ხელს.

როგორც ჩანს, გადამწერთა შორის შრომის დანაწილების ასეთი წესი საქართველოს ეკლესია-მონასტრებში უძველესი დროიდან არსებობდა. ჩვენამდე პირვანდელი სახით მოღწეული ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტში უკვე ორი გადამწერის ხელი გაირჩევა, ხოლო 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავში შვიდი მწერლის ხელს გამოყოფენ.²⁵⁶

ქვემოთ მოგვჩვენებს ცნობები იმ ხელნაწერთა ანდერძებიდან, რომლებიც ხელოსანთა ჯგუფების მიერ არის შექმნილი.

Sin-38, 979 წ. ოთხთავი, ორი თავი გადაუწერია ეზრა დაუხდებულს, დანარჩენი ორი – იოვანე-ზოსიმეს.

Sin-30, X ს. გადაუწერიათ იოვანე-ზოსიმესა და გიორგი მწერალს, შეუმოსავეს იმავე იოვანე-ზოსიმეს.

გრაცი -3, გადაუწერია თევდორე წყუდეელს, შეუმოსავეს იოვანეს.

Sin-67 დაუწერია ბასილის, შეუმოსავეს თევდორეს.

Ath -4, 1008 წ. გადამწერებია: არსენი, იოვანე და ოქროპირი.

Ath -60, 1043 წ. გადამწერებია: მიქელი და გიორგი.

Ath -1, 978 წ. გადაუწერიათ: მიქელს, გიორგისა და სტეფანეს.

A -92, XI ს. „დაიწერა კელითა ზაქარიაჲსითა, არსენისითა და ბასილისითა“.

A-135, 1035 წ. შექმნილია ოთხი კაცის მიერ: „დავწერე კელითა სულაერითა ძმათა ჩემთაჲთა: საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და შევასრულე კელითა შვილისა ჩემისა იოვანესი-

256 ც.კ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, გვ. 61.

თა. . .“

A-1103, XI ს. გადამწერებია: იოვანე გრძელისძე, იოვანე ოქროპირი, საბაჲ და იოვანე გარერჩელი.

Q-907, 1195 წ. გადაუწერიათ იოვანე ფუკარაღაძეს და გიორგი სეთაჲ სძეს.

Ier-63, 1167 წ. გადამწერებია: ონოფრე, კვირიკე მღვდელი და მარკოზ ცონცორიკაჲ ს ასულის წული“.

Ier-148 გადაუწერია მიქაელს, შეუმოსავს ნისტერენს.

ხელნაწერთა ჯგუფური გადაწერა საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო გვიანაც, XVI – XIII – საუკუნეებში. საინტერესო ცნობას შეიცავს XVI საუკუნეში შექმნილი იოსიპიოს ფლავიოსის „წიგნი ჰურიისას“ ანდერძი: კათალიკოსი ეფთჳმი „ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითა გუაწერინებდა და გუაზრომებდა დიდითა პატივითა და წყალობითა“. 257

XVI საუკუნეშია გადაწერილი ხელნაწერი A-187. გადამწერი ოთხია: კერძოდიაკონი გაბრიელ ლომსიანიძე, მწერალი სიმონ გიორგიძე, კარგარეთელი ამბროსე, საბა ნაქოფაძე.

Q-652, XVI ს აგიოგრაფიული კრებული. გადამწერებია: მწერალი დავითი, მწერალი მღვდელი იოვანე, მწერალი თევდორე, დიაკონი ნიკოლოზ.

Q-56, 1736 წ. გადამწერებია: ნიკოლოზ, იოანე ასათიანი, მღვდელი მახარობელი.

A-167, 1754 წ. გადამწერებია: კახთა მდივანმწიგნობრის ძე დიაკონი იოანე და დავით ხუცესმონაზონი.

Q-105-a, XVIII ს. გადამწერებია: მახარობელი გვეჩია, დავითი, ახალმოსწავლე მთავარდიაკონი პეტრე პატარიძე.

Q-103, XVIII ს. გადაუწერიათ: მთავარდიაკონ იოანეს, ათანასე ქავჯარაძეს, საბა მღვდელს.

257 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა 1, № 10 გვ. 64.

A-186-ა და A-186ბ, XVIII ს. გადამწერებია: იოსებ კარგარეთელი, აბრამი, იოანე, დავითი.

სია, რა თქმა უნდა, არასრულია. ყველა ხელნაწერს არ შემოუნახავს გადამწერთა სახელები, მაშინ, როდესაც თვით ტექსტი, სრულიად აშკარად, რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი. ასეთებია მაგალითად S-1249, H-1760, S-1163, S-4933, S-272, H-242, Ier - 76 და მრავალი სხვ.

განსაკუთრებით ბევრი გადამწერი მონაწილეობდა გულანების შექმნაში. გულანები დიდი მოცულობის ხელნაწერებია. მათ გადასწერად ერთ პირს რამდენიმე წლის დაუღალავად მუშაობა დასჭირდებოდა. გურიანთული გულანის (Q 104 ა) გადამწერი საბა გვატყობინებს, რომ ღმრთაების გულანი მარტოს, 18 წლის განმავლობაში უწერია.²⁵⁸ ამიტომაც, გულანების გადაწერის ინიციატორები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გადამწერი ჩაებათ მუშაობაში. ამ მხრივ, საინტერესოა შემოქმედის გულანის ერთი ცნობა: „აწ ბედნიერმან კელმწიფემან გურიელმან მამია იგულსმოდგინა თავის გონებით პატროსანისა გულანისა აღწერა თავის ხალხის სალოცავად და საქებლად. მოიყვანა მისი საბატონოს მწერალი და თითო-თითო ყუცლას დასაწერათ უბოძა, დააწერინა“.²⁵⁹

ვინ იყო ხელნაწერთა შემქმნელი ჯგუფების ხელმძღვანელი და როგორი იყო ამ ჯგუფებში შრომის ორგანიზაცია?²⁶⁰ ამ საკითხს

258 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია) 1, №104-ა, გვ.124.

259 ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), 1, №103, გვ.119.

260 ჩვენამდე მოღწეული ძუნწი ცნობები ნათელ წარმოდგენას ვერ გვიქმნის გადამწერთა სახელოსნოებში მოქმედ წესებსზე. საკითხის შესასწავლად შეტ შესაძლებლობას იძლევა დასავლეთ ევროპის სამწერლო კერების შესახებ არსებული მასალები, რადგან შემონახულია გადამწერთა მიერ დატოვებული ფაქტობრივი მონაცემებით მდიდარი ცნობები და ასეთი სახელოსნოებისათვის შექმნილი წესდებებიც. იხ. Q. A. Д о б и а ш—Р о ж д е с т в е н с к а я, Мастерские письма на заре... გვ. 20-25, Р. Ш м е р л и н г, Художественное оформление... 1, გვ. 11.

თავდაპირველად ყურადღება ივ.ჯავახიშვილმა მიაქცია. იგი აღნიშნავდა: „ერთი ამ რამდენიმე გადამწერთაგანი გადაწერის ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყო და გადამწერთა ურთიერთშორის დამოკიდებულება გარკვეული წესებით იქნებოდა მოგვარებული. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ გადამწერთა ერთიანი ამხანაგობანი უნდა ყოფილიყო. X-XI სს., როდესაც საქართველოს კულტურულმა განვითარებამ უაღრეს საფეხურს მიაღწია, გადამწერლების ამხანაგობათა არსებობა და საზოგადოდ ამ ხელობის ფართოდ, სავაჭრო მიზნით ერობლივი წარმოება ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ.“²⁶¹

გადამწერთა ამხანაგობებს და ამ ამხანაგობებში შრომის ორგანიზაციას შეეხო შ.მესხია. მისი აზრით, „მწიგნობრობის „ჯელის“ მქონე ძმებიდან, რომლებიც ერთ „დასში“ იყვნენ მოქცეულნი, ერთი რომელიმე ამხანაგობის ხელმძღვანელი, „მწიგნობართა დასის“ უფროსი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ორგანიზაციის არსებობა კულტურულ ცენტრებში, მონასტრებში, უთუოდ საფიქრებელია, რადგან „მწიგნობართა დასი“, უფროსით სათავეში, სამეფო კარზედაც არსებულა“²⁶² ასეთი „დასის“ უფროსად მკვლევარს მიაჩნია გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში მოხსენიებული გიორგი, „მწერალთა ზედა მთავარი“.

ზემოთქმული ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს „მწიგნობარი“ და „მწერალი“ ერთი და იგივე შინაარსის ტერმინებია.

საკითხის მეტი სიცხადისათვის საჭიროა გაირკვეს, ვინ იყო „გიორგი, მწერალთა ზედა მთავარი“, იყო იგი ხელნაწერების შემქმნელ ხელოსანთა ჯგუფის უფროსი, თუ სხვა დანიშნულების მოხელე.

აქვე საჭიროა შევეხოთ იმ განსხვავებას, რაც „მწიგნობრებსა“ და „მწერლებს“ შორის არსებობდა.

„მწიგნობარი“ გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. ამ წიგნების ქართულ თარგმანში მწიგნობარი γραμματεὺς -ის მნიშვნე-

²⁶¹ ივ.ჯავახიშვილი, დასახ.ნაშრ.გვ. 56.

²⁶² შ.მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის ქართულ მონასტრებში, გვ. 71.

ნელობით არის ნახმარი²⁶³ γραμματεὺς განმარტებულია, როგორც სჯულისმცენიერი, კანონმცოდნე, მდივანი.²⁶⁴ სომხურ ბიბლიაში მწიგნობარს შეესატყვისება դაქი, რაც აგრეთვე ნიშნავს სჯულისმცოდნეს.²⁶⁵

პოლობიოს ეპისკოპოსის ეპიტანე კვიპრელის ცხოვრება გადმოგვცემს: „იყო ვინმე მწიგნობარი ჰურიად, სახელით ისაჰაკ, კაცი სახიერი და მართალ შჯულისაებრ მოსტისისა გამოკითხვით“.²⁶⁶

ბერძნულ ტექსტში მწიგნობარი გადმოცემულია ტერმინით σο-მიკός: Ἦ δὲ τις σομικὸς Ἰουδαῖος, Ἰσθαὶ ὀνόματι, ἀνὴρ ἀδλ-აბῆς καὶ φυλάττων τὸν νόμον τὸν Μοσσοῦκόν μετὰ ἀκριβείας²⁶⁷

ასეთივე შესატყვისობა გვაქვს სხვა ძეგლებშიც: „შიავლინა და მოუწოდა მწიგნობარსა ეკლესიისასა თუსაგან... მაშინ ჰრქუა მას აპოლინარიოს პატრეაქმან: წარვედ აწ და დაწერი გელი ორმეოც-დაათისა ლიტრისაჲ...“²⁶⁸

ბერძნულშია: καὶ πέμφας ἦγαγε τὸν σομικὸν τῆς ἁγιοτάτης ἐκκλησίας καὶ λαμβῶν αὐτὸν κατ' ἰδῆσαν...²⁶⁹

ბერძნული σο მიკός ნიშნავს: კანონმცოდნე, კანონმდებელი, მოსიეს წიგნების მცოდნე. უკანასკნელ მაგალითში „მწიგნობარი“ არის იურიდიული განათლებების მქონე პირი, რომელსაც ევალეზოდა ვალის წიგნის შედგენა.

ამავე დროს, „მწიგნობარი“ ქართულ დიპლომატიკაში ცნობილი,

263 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

264 W. F. Arndt, F.W.Gingrich, Greek-English lexicon of the New testament, გვ. 164.

265 Ա ն ա դ ხ ა-ն, Արմատასკან რაդარან II, გვ. 614.

266 საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 11, გვ.125

267 Migne P.G. t.41, გვ.84.

268 ი ო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, გვ. 78.

269 Migne, P. G. t.87, გვ. 3073.

ძველთაგანვე დამკვიდრებული სამოხელეო ტერმინია. „მწიგნობარი“ უკვე ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს არის მოხსენიებული, ვითარცა მოხელე, რომელიც მთავრის ბრძანებით „ქარტას“, საბუთებს ადგენს.²⁷⁰

X–XY საუკუნეებში საბუთების შემდგენ მოხელეებად ყველგან „მწიგნობრებო“ იხსენიება.

„მწიგნობარი“ გვხვდება გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც. აქ იგი, ივ.ჯავახიშვილის აზრით, საგანგებო მინდობილობათა აღმსრულებელი მოხელეა.²⁷¹

„მწიგნობრის“ მოვალეობას განმარტავს ივ.სურგულაძე: „მწიგნობარი ნიშნავს მდივანს, მწერალს. მმართველობის ყველა დარგში იყო დაწესებული მწიგნობრის თანამდებობა.

მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქალაქებს, ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას და ასრულებდა სხვადასხვა დავალებას.“²⁷²

მწიგნობართა შესახებ არსებული მასალა არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ „მწიგნობრის“ თანამდებობა თითქოს მმართველობის ყველა დარგში ყოფილიყო დაწესებული, და რომ იგი ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებასაც.

„მწიგნობართა“ საქმიანობას ფეოდალურ საქართველოში წარმართავდა მწიგნობართუხუცესი. ეს უკანსკნელი ტერმინი პირველად XI ს. ღრტილას კრებაზე იხსენიება,²⁷³ შემდეგ 1085 წ.გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში.²⁷⁴ მწიგნობართუხუცესის ინსტი-

270 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, 11, წ.1, თბილისი, 1928, გვ. 134.

271 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 134.

272 ივ.ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი, 1970, გვ. 23.

273 საქართველოს სამოთხე, გვ. 616.

274 თ.უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები 1, ტფილისი, 1892, გვ.232.

ტუტთან დაკავშირებული საკითხები აღძრული და შესწავლილია ივ.ჯა
ვახიშვილისა და ნ.ბერძენიშვილის გამოკვლევებში.²⁷⁵ მწიგნო-
ბართუხუცესებს ეკითხებოდან ყველა საქმე ეკლესიების, მონასტრ
ბის, სამღვდელთა და მოწესთა შესახებ. მათვე უნდა გაერჩიათ
ობოლთა და ქვრივთა სამართალი, მწიგნობართუხუცესი სცემდა
ლაშქართა წვევის ბრძანებას და სხვ.²⁷⁶ მწიგნობართუხუცესს, ვი
თარცა სჯულისმეცნიერებაში და ღვთაბატონის საკითხებში ღრმად
განსწავლულ პიროვნებას, ევალებოდა ეროვნული სარწმუნოებრივი
ღირსების დაცვა ოფიციალურ კრებებზე. ღრტილას კრებაზე მომხ-
დარ პაექრობაში სომეხ სოსთენსა და ქართველ ეფთვიმე გრძელს შ.
რის მონაწილეობა მიუღია წმიგნობართუხუცეს ეფთვიმის. იგი კრე-
ბის ძეგლისწერაში რისხვით არის მოხსენიებული, რადგან ყოფილა
„იგიცა თანაზიარ ბოროტისა მის წულალებისა მათისა და შინაგან
განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა“.²⁷⁷

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა იმ ფუნქციების ხაზგასმა, რომ
ლებიც „მწიგნობრებს“ გააჩნდათ.

„მწიგნობრები“ არიან მეფეთა ან მსხვილ ფეოდალთა მიერ გა-
ცემული იურიდიული დოკუმენტების შემდგენი პირები. მეფე გიორ-
გი მეორის მწიგნობარს 1078 წ. შეუღვენია „ბრძანება და სიგელი“²⁷
გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების მიხედვით „მწიგნობარს“ განსაკუ-
თრებით საბატო დავალებებს აძლევენ. მწიგნობრები მონაწილეო-
ბენ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობათა გაფორმებაში
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „.. აგკსტო-
სა ოცსა მოვიდეს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ნ ი ანელთა თავადთან და

275 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.124-140, ნ.ბ ე -
რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში,
წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, 11, თბილისი,
1966, გვ. 5-7.

276 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 132.

277 საქართველოს სამოთხე, გვ. 616.

278 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 134.

მოაქსენეს, მიცემა ქალაქისა და ციხეთა ბოუანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა“²⁷⁹

ერთიანობის ხანის შემდეგ „მწიგნობართა“ ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. იგი შესწავლილია ა.ბაქრაძის მიერ.²⁸⁰ ამ ხანაში საკუთარი მდივანმწიგნობარი ჰყავს ყოველ პოლიტიკურ—ადმინისტრაციულ ერთეულს. მათ ევალეზობდათ დოკუმენტების იურიდიული გაფორმება.²⁸¹ მწიგნობართა შორის, ა.ბაქრაძის დაკვირვებით, დარგობრივი დაყოფა არ ჩანს.

მწიგნობრების უფლება—მოვალეობანი და მათი როლი სახელმწიფოს მართვა—გამგეობის სისტემაში საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ხანაში არ არის ერთნაირი, მაგრამ იგი ყოველთვის აღნიშნავდა იურიდიული განათლების მქონე მოხელეს, რომელსაც სამართლის სხვადასხვა დარგის სამსახურში შეეძლო მდგარიყო.

„ქართულ დიპლომატიკაში“ ივ.ჯაფარიძის მიერ აღნიშნავს: „ქართული საბუთების მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობრებსა და მდივნებს წინასწარ შესაფერიის სწავლა უნდა ჰქონოდათ მიღებული და სათანადოდ გაწვრთნილი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი რთული და პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად ასასრულებლად.“²⁸² სამწუხაროდ, არავითარი ცნობები

279 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 344.

280 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართველ მდივან—მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 11, 1960, გვ.გვ. 67-79; მისივე, მდივან—მწიგნობრის სახელს საკითხისათვის, მაცნე, 1966, 6, გვ. 269-293; მისივე, XVI—XVII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან—მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი, პალეოგრაფიული ძიებანი, 1, გვ.გვ. 7-32.

281 ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართველ მდივან—მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, გვ. 71.

282 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთა—მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, ტფილისი, 1926 გვ. 66.

არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ სად ზღებოდა მწიგნობართა კადრების მომზადება. რამდენიმე ძეგლში გვხვდება მხოლოდ ტერმინი „სამწიგნობრე“, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება ინტერეს-მოკლებული არ იყოს.

სახელდობრ, ეს ტერმინი დასტურდება ტოპის წიგნში: „და მოვედ ნინევედ, რამეთუ აქიქაროს იყო ღვინს-მნე, და ბექედსა ზედა და განმგებელ და სიტყვს -მყოფელ, ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ე ს ა მ წ ე რ ა ლ“. 283 აქ „სამწიგნობრე“ სპეციალური სამოხელეო დაწესებულებაა, სადაც თანამშრომლობდნენ „მწერლები“.

„სამწიგნობარე“ გვხვდება პეტრე იბერიის ცხოვრების ქართულ თაგრმანშიც: „და ვითარ იქმნა ყრმაჲ იგი სამის წლის, მისცეს სამწიგნობრედ, და დაისწავლა მან ყოველივე სწავლაჲ და გულის-ქმის - ყოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილისა ლა იწურთინ მას ღლე და ღამე“. 284

თუ ჩვენ აღნიშნული ცხოვრების ცნობას დავეუჯერებთ, პეტრე იბერიის მამის, ბაკურის სამეფო კარზე არსებულა სკ ლა, სადაც მეფის შვილებს, და შესაძლოა, სხვა წარჩინებულთა შვილებსაც, ასწავლიდნენ საღვთო წერილს და სჯულისმეცნიერებას. ყოველ შემთხვევაში, ამ თხზულების თარგმნის დროისათვის (XIII ს.), ამ ტერმინს ქართულ სინამდვილეში რეალური ნიადაგი უნდა ჰქონოდა.

სეიმეონ მესვეტის ცხოვრებაში გკითხულობთ: „და ყრმანი, რომელნი იყვნეს სამწიგნობრესა, მოვიდეს ყოველთა ადგილთაგან“. 285

„სამწიგნობრე“ გვხვდება „იერუსალიმის წარტყუნებაშიც“: „და ვპოვე ეკლესიასა შინა წმიდათა კოზმან და დამიანეთასა ორათას და ათორმეტი სული. და ვპოვეთ სამწიგნობრესა ნია წმიდისასა

283 ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები 1, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე მ, თბილისი, 1970, გვ. 117.

284 ძეგლები, 11, გვ. 217 რედაქცია.

285 G. G a r i t t e, Vies géorgiennes de S. Syméon. Stylite..., გვ. 68.

სამეოცდა ათი სული“. 286

„წარტყუნვამს“ შესაბამის არაბულ ტექსტში „სამწიგნობარეს“ შესატყვისად მოცემულია مكتة- რაც ნიშნავს ადგილს, სადაც ასწავლიან წიგნს, ქითაბს: من المكتبة سبعين و حررم من المكتبة سبعين و وكان اخر انه اقبر الذين قتلوا و دار القباية مايتي. 287

„წარტყუნვამს“ ამ ადგილის შესახებ ნ.მარი წერს: „В арабском тексте مكتة место писания, школа, училище... В грузинском самწიგნობრე — училище, образовано от мწიგნობარი — писец, книжник. Так как в армянском դպրոց — школа, училище от դպիր — писец, книжник, грамотей; но в армянском դպիր имеет и специальное, церковно—служебное значение: анагност, чтец, причетник, писаломышк, По всей вероятности, речь—о профессиональной школе для подготовки служителей церкви“ 288

თუ ჩვენ „სამწიგნობრეს“ შინაარსის გაგების დროს ამოვალთ „მწიგნობრის“ მნიშვნელობიდან, მაშინ სამწიგნობრე უნდა იყოს სკოლა, სადაც ასწავლიან სჯულისმეცნიერებას, კანონმდებლობას, დოგმატიკას. სკოლის მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს იოანე ოქროპირის ცხოვრებაში: „და ვითარცა დაისწავლა ეს ყოველი კეთილად და აღორძნდა ჰასაკითა, გამოვიდა ანტიოქიამთ და მოვიდა ათენა ქალაქსა და მოიცალა მუნ თმენითა კითხვასა წიგნთასა... აღმოიწრიდა სწავლამ იგი სამწიგნობრესა, ვიდრემდის მუნცა დაუკვრდა მყოფთა მის ქალაქისათა“. 289

გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში მოხსენიებულია გიორგი მწერალი, რომელიც ყოფილა კურაპალატის კარზე „მწერალთა ზედა მთავარი“. მაგრამ „ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ,

286 А п т и о х — С т р а т и г, Пленение Иерусалима персами в 1614 г. изд. Н.М а р р а, Спб., 1909, გვ. 2 ბ.

287 იქვე, გვ. 9.

288 იქვე, გვ. 34.

289 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში. ვენიკის მოამბე, XI Y, გვ. 62.

თუ რა ევალეზობდა „მწერალთა ზედა მთავარს“. ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით, „მწიგნობარი“ და „მწერალი“ სხვადასხვა დანიშნულების მოხელენი იყვნენ.²⁹⁰

ნ.ბერძენიშვილის აზრით, „გიორგი მწერალი“ იმ ორგანიზაციის სათავეში მდგომი პირი უნდა ყოფილიყო, რომელიც კურაპალატის კარზე იყო შექმნილი ათონიდან (თუ სხვა ადგილებიდან) მოსული ნათარგმნი წიგნების გადასაწერ-გასავრცელებლად. თუმცა, ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ საბოლოოდ დადგენილი არაა, თუ ვის ეწოდებოდა ამ დროს მწერალი, წიგნების გადამწერს, თუ საქმიანი საბუთების შემდგენელს.²⁹¹

ივ.ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ცნობაზე, რომ „გიორგი მწერალი“ ჯერ ერისკაცი ყოფილა, ხოლო შემდეგ (ალბათ თანამდებობის მიტოვების შემდგომ), ბერად აღკვეცილა.²⁹² რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული მასალები უჩვენებს, პროფესიონალი მწერლები (ხელობის სპეციფიკური ბუნების გამო) XIV საუკუნემდე მაინც, სასულიერო წრეს ეკუთვნიან და თავიანთი საქმიანობით ეკლესიებთან და მონასტრებთან არიან დაკავშირებული. ამიტომაც საეპქოა, რომ სამეფო კარზე მოღვაწე „გიორგი მწერალი“, ერისკაცი, ხელნაწერების დამამზადებელი ამხანაგობების ხელმძღვანელი იყოს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ სამეფო კარზე არსებობდა „მწერალთა“ სახელო, უფროსით სათავეში. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მოხელე „მწერლებს“ ხელნაწერთა გადამწერი „მწერლებისაგან“ განსხვავებული ფუნქცია გააჩნდათ. ამ ფუნქციის დაახლოებით მაინც განსაზღვრა დამატებით მასალას საჭიროებს.

მოხელე „მწერალთა“ შესახებ უფრო გვიანი ცნობებიც მოგვეპოვება. XIII-XVI საუკუნეებში ცნობილია სამოხელეო ტერმინი

290 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია 11, ნ.1, გვ.135.

291 მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, გვ. 12, 9.

292 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 135.

ქალაქის მწერალნი²⁹³ ეახუშტის ცნობის მიხედვით, „მწერალნი იყუნენ, რომელნი სწერდნენ შემოსაეალსა და წარსაგებელსა ყოველთავე, და ტომართა, და სხვათა“.²⁹⁴ ამ ცნობის მიხედვით, „მწერლები“ მეურნეობის ხარჯთაღრიცხვას აწარმოებენ.

„მწერლის“ სინონიმად ზოგჯერ იხმარება მუშრიბი. მუშრიბი ნახსენებია ხელმწიფის კარის გარეგებაშიც. იგი სახელმწიფო საქურკლის მსახურია და ბაჟისა და საგაქრო გადასახადის საქმეს განაგებს.²⁹⁵

მუშრიბის, ანდა „მწერლის“ მოვალეობას, როგორც ამას შ.მე-სხია განმარტავს, შეადგენდა ქალაქის მკვიდრთა აღწერა მათი სოციალური კუთვნილების აღნიშვნით. აგრეთვე საზღების, კარმიდამოების, საბაჟოში შემოსული საქონლის აღწერა. დასტურლამალში განსაზღვრულიც არის მუშრიბის სასარგებლო გადასახადი, რომელსაც „მუშრიბანა“ ეწოდებოდა.²⁹⁶

ეს განმარტება საკმაოდ ნათლად უჩვენებს მუშრიბების მრავალფეროვან მოვალეობას. ისინი სრულიად სხვადასხვა დაწესებულებების სამსახურში შეიძლება მდგარიყვნენ. ამიტომ არის, რომ ა.ბაქრაძე, რომელსაც „მწერალი“ და მუშრიბი სინონიმურად ესმის, აღნიშნავს: „მდივანთა შორის დარგობრივი დაყოფის შესახებ გვიანფეოდალურ ხანაში ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება. დარგობრივ დაყოფას ჩვენ ვხვდებით მწერლის თანამდებობაზე. დოკუმენტებიდან ცნობილია სალაროს მუშრიბი დავით ყანდურალაშვილი, თოფხანის მწერალი ვასილ კოტეტოვი. ეს პირები ძირითადად ემსახურებიან გარკვეულ დარგებს, ადგენენ ამ დაწესებულებათა საბუ-

293 Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

294 ეახუშტი, საქართველოს აღწერა სამეფოსა საქართველოსათბილისი, 1941, გვ. 17.

295 ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 11, გვ. 176.

296 Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

მუშრიბები იხსენიებიან დავთარხანის მოსამსახურეთა შორის²⁹⁸ ერეკლე მეფის დაკრძალვის განწესებაში სალაროს მწერლებს სამ-გლოვიარო რიტუალში თავისი ადგილი აქვთ მიჩენილი: „ამასთან მო-ლარეთუხუცესნი და მოლარენი, სალაროს მწერალნი და ფეშქაშნი-ვისნი, მარჯენივ და მარცხნივ განყოფით“.²⁹⁹

1789 წლის ერთ საბუთს ეწოდება „ბარათი იოსებ მწერლისა სე-სიასადმი“.³⁰⁰

როგორც ა.ბ.ა.ქ.რ.ა.ძ.ე აღნიშნავს, „მწერლები“ (ან მუშრიბები,თა-ვიანთი ძირითადი საქმიანობის გარდა, სხვა ხასიათის დოკუმენტებ-საც ადგენენ.³⁰¹ მაგალითად, საბუთებში გვხვდება მწერალი მალ-ქუა.³⁰² მწერალი ფარსადან ზურაბაშვილი,³⁰³ მწერალი არუთინა,³⁰⁴ მწერალი მიქელი (ეს უკანასკნელი შეილი ყოფილა მწერლისა)³⁰⁵ და სხვ. ეს საბუთები უმთავრესად წარმოადგენენ კერძო პირთა შორის დადებულ პირობას, ან ნასყიდობის წიგნებს. მათი შედგენა „მწე-რალთა“ სამსახურეობრივ მოვალეობაში არ შედიოდა, ისინი მასში დამატებითი გასამრჯელოს შოვნის გზას ხედავდნენ.

მწერალთა სახელო, რა თქმა უნდა, XVII–XVIII სს.არ შექმნილა. ამას ადასტურებს „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული მუშრიბი და კიდევ უფრო ადრე, გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების

297 ა.ბ.ა.ქ.რ.ა.ძ.ე, მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხი-სათვის, გვ. 283.

298 ქართული სამართლის ძეგლები, 11, გვ. 263.

299 იქვე, გვ. 536.

300 სსცა. ფ. 1448, ს. № 368.

301 ა.ბ.ა.ქ.რ.ა.ძ.ე, დასახ.ნაშრ., გვ. 283.

302 სსცა, ფ. 1448, ს. № 4826, ფ. 1459, დ.1, ს.№ 118, 182.

303 იქვე, ფ. 1449, ს. № 2239, ფ. 1450, დ. 13, ს. № 24; დ.16, ს. № 67.

304 იქვე, ფ. № 1448, ს. № 5421.

305 სსცა, ფ. 1450, დ. 15, ს. № 154.

ცნობა „გიორგი მწერალთა ზედა მთავრის“ შესახებ. როგორ იყო განაწილებული ფუნქციები XI ს-ში მწერალთა შორის, არ ვიცით. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათ საქმიანობას განაგებდა „მწერალთა ზედა მთავარი“.

შუა საუკუნეებში გავრცელებული წესის თანახმად, ხელოსნურ ორგანიზაციებში ხელობის მასწავლებელი და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირი იყო. რადგან საზოგადოდ ყოველგვარი ხელობის მასწავლებელს და კერძოდ, „მწერლობის“ მასწავლებელსაც მოძღვარი ეწოდებოდა, მოსალოდნელია, რომ იგი იქნებოდა აგრეთვე ჯგუფურად მომუშავე ხელოსანთა უფროსიც.

„მოძღვარი“ არა მარტო მწერალთა ჯგუფის, არამედ როგორც სხვა პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფის უფროსის აღმნიშვნელი ტერმინი, არ არის იშვიათი ძველი ქართული მწერლობის ძეგლთათვის. „ორმეოცთა წამების“ ქართულ თარგმანში ვხვდებით „მესაპყრობილეთ მოძღუარს:“, „და ვითარ განთენა, მოვიდეს უღმრთონი იგი მძღავრნი და იხილეს მ ე ს ა პ ყ რ ო ბ ე ლ ე თ - მ ო ძ ლ უ ა რ ი“ იგი შორის მათსა“³⁰⁶ აშკარაა, რომ „მესაპყროელეთ მოძღუარი“, ამ მაგალითში ნიშნავს მესაპყრობილეთა ჯგუფის უფროსს. მეტი სიცხადისათვის შეიძლება დავიმოწმოთ სომხური ტექსტი: *ხւ իրքս առասայտ ხիւն ხիւին ամպաբիշտ բոնաս-ոբնի, ხւ. օնսხալ գբսն տա պսնն հա ընդ մտսս*.²⁰⁷

სომხური *բանտապանროմლის* შესატყვისია „მესაპყრობილეთ — მოძღუარი“, ნიშნავს საპყრობილის დაცვის უფროსს.

საკმაო მასალის უქონლობის გამო ძნელია გადამწერთა ჯგუფების შესაგანი წყობის გარკვევა, შეგვიძლია მხოლოდ ორი ძირითადი მხარე გამოვყოთ მათში: „მოძღუარი“ და „მოწაფე“ (სავალდებულო არ იყო, რომ ჯგუფში მხოლოდ მოძღვრის „სულიერი შვილები“, ანუ მოწაფეები ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი. ზოგჯერ, მოწაფეებთან ერთად, ჯგუფის წევრებს წარმოადგენენ „სულიე-

306 ი. ა. ბ. ლ. ა. ძ. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 140.

რი ძმები“. ეს უკანასკნელები, როგორც ჩანს, გასამრჯელოს შოვნის მიზნით მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ჯგუფურსამუშაო-ობებში).

მოძღვრის თაოსნობით ჯგუფებში ისეთი მწერლები უნდა გაერთიანებულიყვნენ, რომლებიც შეძლებდნენ „ერთ ჭელზე აღწერას“.³⁰⁸ ამიტომაცაა, რომ ერთი ხელნაწერის ფარგლებში სხვადასხვა ხელის გარჩევა ხშირად განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს.

ჯგუფის ხელმძღვანელის მოვალეობას შეადგენდა გადასაწერი მასალის შერჩევა და დანაწილება ჯგუფის წევრებს შორის. მას თვალყური უნდა ედევნებინა, რომ მასალის თანმიმდევრობა დაცულიყო: „ეს თავის კუთხის მეტაფრასი აქ არ უნდოდა, მაგრამ დედანში ასე ეწერა და მის ალაგს რომ დაგუცწერა, იმ დროს ნუსხა ვერ ვიშოვნე და დაკლებას ეს ვარჩიე, და ნუ მიზრახავთ“.³⁰⁹ ხელნაწერი რამდენიმე კაცის მიერ არის გადაწერილი. მინაწერის ავტორია იოვანე. სხვა ადგილას იგივე იოვანე თავის თავს უწოდებს „ქელისუფალს“.³¹⁰ ცხადია, იგია გადამწერთა ჯგუფის ხელმძღვანელი. იგი ხელმძღვანელობს ხელნაწერის გაფორმების საქმესაც. მინიატურების გვერდით, აშიებზე გვხვდება ამგვარი მინაწერები: „ამაზიდ მეზერე და ფარისეველი დახატე“³¹¹, „ლიდი ანდრია დახატე“.³¹² ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა დაერიგებინა გასამრჯელო ჯგუფის წევრებს შორის შესრულებული სამუშაოს სიდიდისა და ხარისხის მიხედვით. მასვე უნდა გაევერცელებინა მონასტრის საერთო კონტროლი ჯგუფის წევრებზე.³¹³

308 ხელნაწ. H-972, მინაწერი: „არცა სხვაა წიგნი დამეწერა და მისთვის ერთს ჭელზე. ვერ აღეწერე“, 1643v.

309 ხელნაწ. Q-103, 784 v.

310 იქვე, 712v.

311 იქვე, 433v.

312 იქვე, 510v.

313 შ.მ.ე.ს.ხ.ი.ა, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის..., გვ. 72.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჯგუფურად შესრულებულ ხელნაწერთა ანდერძების ავტორები უმეტეს შემთხვევაში ჯგუფის მეთაურები არიან. ისინი გვაწვდიან ცნობებს ჯგუფების სხვა წევრთა შესახებ. ამ რიგის ანდერძთა რიცხვს მიეკუთვნება დავით ჯიბისძის, მაკარი ლეთელას, Ier.30-ის გადამწერ დავითის ზემომოყვანილი ანდერძები. ამათ შეიძლება დავემატოთ იოვანე გრძელისძის ანდერძ³¹⁴ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სანიმუშოდ მოყვანილი ხელნაწერები შესაწირადაა გამიზნული. რადგან ხელნაწერი საკმაოდ ძვირი ჯდება, მისი შეწირვა სულის საოხად რიგით ხელოსან „მწერალს“ არ შეეძლო. ამის შესაძლებლობა ექნებოდათ მხოლოდ ცნობილ ხელოსნებს, რომლებიც, ალბათ, მრავალ შეკვეთას იღებდნენ და მატერიალურადაც დაწინაურებულნი იქმნებოდნენ. საესებით მოსალოდნელია, რომ ასეთთა რიცხვში უპირველესად მოძღვრები მოხედებოდნენ.

გადამწერთა ამხანაგობებში შრომის ორგანიზაციის საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია ტერმინი თაბუნი. იგი გვხვდება გურიანთული გულანის ანდერძში: „ამის წერაში ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა“.³¹⁵ ანდერძის ავტორია დიაკონი საბა. მას მარტოს გადაუწერია ორი გულანი, თვით გურიანთული და ღმრთაებისა. როგორც ანდერძი უჩვენებს, საბა მწერალი თვით არის თაბუნის ხელმძღვანელი. ამ ანდერძს ყურადღება მიაქცია ივ.ჯავახიშვილმა. იგი აღნიშნავს: „თაბუნი“ და „ასნაფი“ ერთი და იგივე სიტყვაა და XVI 1–XVI 11 სს–ში ამქრის მნიშვნელობით იხმარებოდა, აქედან ცხადი ხდება, რომ გადამწერთა ამხანაგობას „თაბუნი“ რქმევია“.³¹⁶

ტერმინ თაბუნის მნიშვნელობა დაწვრილებით აქვს განმარტებული შ.მესხიას. XVI 1–XVI 11 საუკუნეებში თაბუნი ეწოდებოდა ერაი

314 ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია) I V, 1103, გვ.82-83.

315 იქვე, (Q კოლექცია), I, N 104), გვ. 124.

316 ივ.ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ.56.

ხელობის მიმდევარ ადამიანთა ყოველგვარ გაერთიანებას.³¹⁷

ენობილია, მაგალითად, მუშრების თაბუნი, მდივნის თაბუნი, მე-
ითრის თაბუნი, მდივანბეგის თაბუნი და სხვ.³¹⁸

ამავე დროს, თაბუნი ისევე, როგორც ასნაფი და ამქარი, სახელო-
სნო და სავაჭრო ორგანიზაციებს ეწოდებოდა.

თაბუნები ერქვა აგრეთვე დიდი ცეხების შემადგენელ ნაწილებს.
ზოგჯერ, თაბუნებად დაყოფა ხელობის ვიწრო სპეციალიზაციით იყო
გამოწვეული. ხოლო ზოგჯერ, ამქარში თაბუნის სახით შედიოდნენ
მომიჯნავე ხელობის ხელოსნებიც.³¹⁹

მოყვანილ მაგალითებში თაბუნები გადამწერ ხელოსანთა გაერ-
თიანებას ეწოდება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასულიერო წო-
დების წარმომადგენელთა ხელოსნურ ორგანიზაციასთან, რომლის ში-
ნაგანი წყობა იმდროინდელ სხვა ხელოსნური გაერთიანებების ანა-
ლოგიებში უნდა ვეძებოთ.

317 III. A. Месхиа, დასახ.ნაშრ., გვ. 323-325.

318 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. გვ. 297, 405.

319 III. A. Месхиа, დასახ.ნაშრ., გვ. 328.

დასკვნა

წერის პროცესის აღმნიშვნელი ტერმინები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავეყოთ: 1. ტერმინები, რომლებიც წერის ტექნიკურ პროცესს გამოხატავენ მხოლოდ (წერა, ჩხაბვია/ჩხიბვია) და ზოგ შემთხვევაში ნაწერის გრაფიკულ ნაირსახეობათა გაჩენის მიზეზს ხსნიან (წმიდად. წერა, წურილ კელ წერა, წურილად ჩასხმა, მსხუილა წერა); 2. ტერმინები, რომლებიც ხელნაწერის შინაარსობრივ მხარეს და მისი შექმნის დროს „მწერლის“ მიერ არჩეულ სახელმძღვანელო მეთოდს ასახავენ (სუბუქად წერა, ჩხრეკა).

საქართველოში გავრცელებულ საწერ მასალას წარმოადგენდა ეტრავი და ქალაღი. ეს უცხოური სახელწოდებანი მათი შემოტანის გზებზე მიუთითებს. „შექმნაღ ეტრავისაღ.“ ადგილობრივადაც ხდებოდა, ხოლო ქალაღი ნახევარფაბრიკატის სახით შემოჰქონდათ და მას საბოლოოდ ადგილზე ამუშავებდნენ. ქართულ ხელნაწერებს დაუცავთ ცნობები ეტრავის და ქალაღის მეორადი დამუშავების შესახებ.

ქართული ხელნაწერები სხვადასხვა შეფერილობის მელნით არის ნაწერი. საიდანაც ჩანს, რომ გადამწერები მელნის მდიდარ რეცეპტურას იცნობდნენ. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ რამდენიმე მათგანი. ძირითად ფერებს წარმოადგენდა შავი და წითელი. მელნის სახელწოდებად გვხვდება უცხოური (მელანი, ზანდუკი, კინაბარი, სინგური) და ქართული (შავო, ოქრო, წითელი) სიტყვები. ზოგიერთი სახელწოდება უჩვენებს მელნის მომზადების წესსაც (შემგბარი).

საწერ იარაღად ქარონოლოგიური თანმიმდევრობით იყენებდნენ ლერწმის, ფრთისა და ფოლადის კალმებს. კალიგრაფიულ სტილთა თავისებურებანი კალმის წვერის სათანადო გამოქრით იყო მიღწეული.

ხელნაწერის ყველაზე გავრცელებული სახელწოდება იყო „წიგნი“. წიგნის ცალკეულ ნაწილებს თავ-თავისი სახელები გააჩნდათ (ფურცელი, კერძო, ნაკუთი, წიგნის პირი). ცალკე ჯგუფს ქმნის აგრეთვე ხელნაწერის შინაარსობრივი მხარისა და თვით გვერდის ნაწილების ამსახველი ტერმინები (თავი, ზანდუკი, საძიებელი, მკვიდრი, სტიქონი, აშია, პატივი). თითოეულ მათგანს გარკვეული მხატვრული და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ხელნაწერთა შემქმნელები ტექსტის ტექნიკური გაფორმების დროს მიზანშეწონილად უფარდებდნენ ერთმანეთს მხატვრულ-ესთეტიკურსა და პრაქტიკულ საჭიროებებს.

ხელნაწერთა დამზადება უძველესი დროიდან ხელოსნობის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენდა. XIY საუკუნემდე ხელნაწერთა დამზადების საქმე მოქცეული იყო სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ხელში, რომლებიც საამისო ცოდნას ეკლესია-მონასტრებში ან მონასტრებისადმი დაქვემდებარებულ სკოლებში იძენდნენ. XIY საუკუნის შემდეგ „მწერალთა“ შორის საერო წოდების ხელოსნებიც გვხვდებიან.

„მწერალთა“ პროფესია საკმაოდ რთული იყო. გარდა ხელოსნობის წმინდა „ხელოსნური“ მხარისა, პროფესიონალ მწერლებს მოეთხოვებოდათ საკმაოდ მნიშვნელოვანი თეორიული ცოდნაც.

ყველაზე რთულ საქმეს ხელნაწერის დამზადების დროს ტექსტის გადაწერა წარმოადგენდა. გადამწერებს წინასწარ უნდა დაემუშაებინათ გადასაწერი მასალა, შეემოწმებინათ მისი ვარგისიანობა. გადამწერთა გარკვეული კატეგორია („მჩხრეკალები“) თავისი დროის ლიტერატურულ და იდეოლოგიურ მოთხოვნილებათა მიხედვით არჩევდა მასალას, კრებდა და აჯგუფებდა, ზოგჯერ გარკვეული მოსაზრებით ცვლიდა ტექსტის ზოგიერთ ადგილებს, ე.ი. ქმნიდა ახალ რედაქციას.

ხელნაწერთა დამზადების საქმე, როგორც მრავალი სხვა ხელობა ფეოდალიზმის ეპოქაში, მემკვიდრეობით ხელობას წარმოადგენ-

და საქართველოში უძველესი დროიდან.

ხელნაწერები იქმნებოდა ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის შედეგად. ხელნაწერთა ჯგუფური დამზადების დროს მიღებული იყო შრომის ორგვარი დანაწილება: ხელობის ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით და გადამწერთა შორის სამუშაოს დაყოფის გზით. ეს უკანასკნელი წესი შრომის ნაყოფიერებას საგრძნობლად ზრდის პირველთან შედარებით.

გადამწერთა ჯგუფებს ხელმძღვანელობას უწევდნენ „მოძღვრები“. ისინი იყვნენ ამავე დროს ხელობის მასწავლებლებიც.

ხელნაწერთა გადამწერი „მწერლები“ უნდა განეასხვაოთ მოხელე „მწერლებისაგან“, რომელთა ინსტიტუტის არსებობა საქართველოში დადასტურებულია X საუკუნიდან. მოხელე „მწერლებს“ შორის XVI—XVIII საუკუნეებში დარგობრივი დაყოფა შეინიშნება და მათი ფუნქციები მკვეთრად განსხვავდებოდა „მწიგნობართა“ ფუნქციებისაგან.

„მწერალთა“ ხელობის განვითარება საქართველოში თავისი სპეციფიკური გზით მიმდინარეობდა. ეს სპეციფიკა გაპირობებული იყო საქართველოს ისტორიაში სოციალურ—პოლიტიკური და კულტურული ძვრებით.



შენიშვნა: ტექნიკური მიზეზების გამო მრავალთაგების შედგენილობის საკითხზე მსჯელობისას ნაშრომში ვერ აისახა 1974 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ბარმინთა სამიებალი

ამქარი	149
არშია	63
ასნაფი	159
ალმოკოდით წერა	18-19
გამოქანდაკებით წერა	18-19
გამოწერა	14-15, 8, 14-15, 18-19
დეღაჲ	77-80
დიტკქონი	58-59
ეტრიატი	31-33
ზანდუკი	44, 65 -66
თაბუნნი	149 -150
თავდგმულობა	64 -65
თავი	64
კაზმვა	35, 138, 140 -141
კალამი	49 -54
კერძოჲ	57 -58
კიდე	60
კიდური	63
მელანი	42 -48
მკაზმაფი	131 -132
მკვიდრი	61 -62
მმოსველი	131-132
მომგებელი	83, 134
მოქალაქე	113-114
მოძღვარი	99, 100 -106, 147, 149
მოწათე	99, 101, 103 -106, 147
მსხუილა წერა	23
მუკლი	67 -68

მუშრობი	81, 126, 155
მჩხაბავეი— მჩხიბავეი	24 – 27
მჩხრეკალი	80 – 94
მწერალი	70 – 76, 137, 144 – 148
მწერალთა ზედა მთავარი	137
მწიგნობართუხუცესი	148
მწიგნობარი	136
მჭედრულის კალამი	53
ნაკუეთი	62 – 63
ნუსხურის	52
პატივი	59 – 61
საკალმე	53
სამოსი	139
სამწიგნობრე	142 – 143
სასინგურე კალამი	53
საძიებელი	66
საწერელი	49 – 51
სინგური	42, 48
სტრიქონი	66 – 67
სუბუქად წერა	214
სწრაფასა შინა მწერალი	21
ტანი	63
ტომარი	28, 59
ფურცელი	56 – 57
ქარტა	29 –
ქალალდი	38 – 42
შაჟი	42
შეცეგბარი	44
შემკვრელი	133, 141
შილი	104, 121
ჩხაბვა ჩხიბვა	24 – 28

ჩხრეკა	80 – 99
წამალი	43 – 44
წერა	8 – 18
წიგნი	54 – 56
წიგნის მცველი	81
წიგნის პირი	63 – 64
წიგნის ტყავეისაჲ	31
წითელი	42 – 43
წმიდად წერა	21 – 22
წმიდა კელით წერა	22
წურილად წერა	23
წურილად ჩასხმა	23
ხშირად წერა	23

შემოკლებათა ახსნა

- სსცა — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი
ძეგლები I, II — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგ-
ლები, I — თბილისი, 1964; II — თბილისი, 1967.
- ხელნაწ. — კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი.
- K — ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის
ხელნაწერი.
- Migne, P.G. — I.P.Migne, Patrologia Graeca.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	3
თ ა ვ ი 1. წერის პროცესის ამსახველი ტერმინები ----	8
თ ა ვ ი 11. საწერი მასალა და იარაღები -----	29
თ ა ვ ი 111. წიგნი და მისი შედგენილობა -----	54
თ ა ვ ი 1V. ხელნაწერთა გადამწერები და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები-----	69
დასკვნა -----	151
ტერმინთა საძიებელი -----	154
შემოკლებათა ახსნა -----	157

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ელ.მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი

გამომცემლობის რედაქტორი ელ.ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი

ტექნორედაქტორი ნ.ო კ უ ჯ ა ვ ა

კორექტორი ო.გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 1.12.1978. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.7.1978;

ქალაქის ზომა 60X90 $\frac{1}{4}$ სმ; ქალაქი №1; ნაბეჭდი თაბახი 10,0;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,57;

უე 01125 ;

ტირაჟი 1500;

შეკვეთა № 3868.

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство "Мецинерება", Тбилиси, 380060, ул Кутузова, 19

საქ.სსრ მეცნ.აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Груз.ССР. Тбилиси, 380060, ул.Кутузова, 19